პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 13—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხებსა, წითელ-არმიელებისა, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღებ., 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირს 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—25 და 20 მ.

პარასკევი, 19 ოქტომბერი 1928 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 243 (2286)

დღიური

- „როტე ფანე" ჯავშნოსანის აგების საწინააღმდეგო კამპანიის შედეგების შესახებ.
- მაკდონალდი ინგლის-საბჭ. კავშირის ურთიერთობის შესახებ.
- დააპატიმრეს ამერიკის კომპარტიის კანდიდატი საპრეზიდენტო არჩევნებში ამხ. ფოსტერი.
- დაპატიმრებანი და სიკვდილით დასჯა ჩინეთში.
- ახალი ცნობები ამუნდსენის შესახებ.
- მომავალ წელს ეწყობა ახალი ექსპედიცია ჩრდ. პოლიუსისაკენ.
- ამხ. პიატაკოვი დაინიშნა საკავშირო სახ. ბანკის თავმჯდომარედ.

ამიერ-კავკასიის მუშათა, გლეხთა, წითელ-არმიელთა და წითელფლოტელთა დეპუტატების საბჭოთა

ცაკის მე-IV სესია მოწვეულია თბილისში

სასახლის წითელ დარბაზში, 1928 წლის
29 ოქტომბერს, დილის 10 საათზე
დღის წესრიგშია შემდეგი საკითხები:

1) ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკისა და მასში შემავალი რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებები—მომხსენებელი ამხ. შ. ელიავა.

2) ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკის მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტი—მომხსენებელი ამ.-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკის ფინანსთა სახკომისარი მ. დ. ჰუსეინოვი; თანამომხსენებელი ამ.-კ. ცაკ-ის საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ა. ნაზარეტიანი.

3) საბჭოების გადარჩევის შესახებ 1928—29 წ.—მომხსენებელი ამხ. ი. ტაგიევი.

4) ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (მე-4 მოწვევის) პრეზიდიუმის მიერ მე-3 და მე-4 სესიებს შორის მიღებული დადგენილებების შესახებ—მომხსენებელი ამხ. ა. შავერდოვი.

ა.-კ. ცაკის მდივანი ა. შავერდოვი

საჭიროა სისტემატიური და ენერგიული მუშაობა

(შინასამრეწველო კოოპერაციის მუშაკთა თათბირის გამო)

შინამრეწველობას თვალსაჩინო ადგილი უკავია ჩვენს სახალხო მეურნეობის სისტემაში. წარმოების ამ დარგის განვითარებისათვის ყოველნაირად ხელის შეუწყობის შესახებ არა ერთი დადგენილება გამოუტანია პარტიისა და ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებს. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა სამეურნეო აღმშენებლობის ძირითადი გეზი მიმართულია ინდუსტრიალიზაციის განხორციელებისაკენ, წვრილი საწარმოო უჯრედების განვითარებისათვის ხელის შეწყობა მიჩნეულია ერთ-ერთ მორიგ საყურადღებო ამოცანად. პარტიის გენერალური ეკონომიური ხაზის განვითარების ინტერესები, პირდაპირ გვიკარნახებენ შინამრეწველობის წარმატების აუცილებლობას. ბაზრის მოწესრიგების, სოფლად და ქალაქად უმუშევრობასთან ბრძოლის, გლეხის პროდუქციის ადგილობრივად გადამუშავების საკითხები მჭიდროდ არის დაკავშირებული არა მარტო საფაბრიკო-საქარხნო არამედ წვრილ საწარმოო ერთეულების განვითარებასთანაც.

ხშირია შემთხვევები, როცა შინამრეწველობის ამგვარ მნიშვნელობას სათანადოთ ვერ გრძნობენ ბევრი ის ადგილობრივი და ცენტრალური ორგანოები, რომელთაც თავიანთ მდგომარეობით ევალებათ ხელი შეუწყონ შინამრეწველობის განვითარებას. ასეთი განწყობილება სათანადო უარყოფით პრაქტიკულ შედეგებს იძლევა. ამას ერთხელ კიდევ მოწმობს შინასამრეწველო კოოპერაციის მუშაკთა ამიერ-კავკასიის თათბირზე გამოაშკარავებული სურათი. ასე მაგალითად, შინამრეწველობის მდგომარეობისადმი უყურადღებობას ყველაზე უფრო მჭერმეტყველურად გამოხატავს ის ფაქტი, რომ დღემდე ჩვენ ამ დარგში რამდენადმე მაინც მოწესრიგებული არა გვაქვს აღრიცხვის საქმეც კი.

ამიერ-კავკასიის და ცალკე რესპუბლიკების სტატისტიკური და ეკონომიური ორგანოების ციფრობრივი მასალა შინამრეწველობის შესახებ. ბევრ შემთხვევაში დიდათ განსხვავდება ერთმანეთისაგან. არანაკლებ საგულისხმოა მეორე გარემოებაც. დღემდე არ არის, სხვათა შორის, განსაზღვრული შინასამრეწველო კოოპერაციისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ურთიერთობა. ფუნქციათა აღრევა, აქ ხშირ შემთხვევას წარმოადგენს.

აშკარაა, რომ ასეთ პირობებში სარეწაო კოოპერაციის მთავარი ორგანიზაციული მუშაობა, შინამრეწველთა მასიური კოოპერატიული დარაზმვა ჯერ კიდევ დიდად მოიკოჭლებს. შინამრეწველთა დაბეჩავებული მდგომარეობა სათავეს ღებულობს წვრილ ხელოსანთა დაქსაქსულობაში ეს უხსნის ხელფეხს კერძო კაპიტალს, რომ მას შინამრეწველნი დაუზოგავად ყვლიფოს, ეს აფერხებს შინამრეწველთა ნედლეულით მომარაგებასა და მზა პროდუქციის გასაღების საქმეს. ამიტომ მთავარი, რასაც უნდა მიექცეს ყურადღება ამ დარგში, ეს იყო და არის ენერგიული და სისტემატიური მუშაობა შინამრეწველთა დასარაზმავად. არ არის საჭირო სტატისტიკური ცნობები იმისათვის, რომ ჩვენთვის აშკარა იყვეს შემდეგი გარემოება: შინამრეწველთა დიდი მასა ჯერ კიდევ ყოველგვარ გაერთიანების გარეთაა. ამ მასის გასაერთიანებლად დიდი მუშაობის ჩატარება მართებს შინასამრეწველო კოოპერაციას.

გარდა ამისა, საჭიროა ამ დიდ მუშაობაში შინასამრეწველო კოოპერაციას მეტი ყურადღება მიაქციონ ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებმა. უნდა აღინიშნოს, რომ წვრილ მწარმოებელთა ის მცირერიცხოვანი გაერთიანებანიც კი, რომელნიც ჩვენ ამჟამად მოგვეპოვება, ზოგ შემთხვევაში ვერ ამართლებენ თავიანთ დანიშნულებას. არის შემთხვევები, როცა შინასარეწაო ორგანიზაციებს საფარად იყენებენ კერძო კაპიტალი და კულაკური ელემენტები. მოიპოვებიან ისეთი გაერთიანებანიც, რომელნიც უწყობენ ხელს კაპიტალისტურ ელემენტების ზრდას. ამიტომ შინასამრეწველო კოოპერაციის შემდგომ ორგანიზაციულ ზრდასთან ერთად, საჭიროა მიღებულ იქნას ზომები არსებულ ფაქტიურ გაერთიანებების წინააღმდეგ, საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს ღარიბ და მცირე შეძლების წვრილ ხელოსნების კულტურულად დარაზმვას.

შინასამრეწველო კოოპერაციის მუშაკთა ამიერ-კავკასიის თათბირი უნდა გახდეს სისტემატიურ და ენერგიულ მუშაობის დასაწყისად შინამრეწველობის დარგში. საჭიროა გაიფანტოს ის გულგრილობის განწყობილება, რომელიც ახასიათებს ბევრ პარტიულ და სამეურნეო ორგანიზაციებს შინამრეწველობის მიმართ, საჭიროა მეურნეობის ამ დარგის მნიშვნელობის მეტი პოპულიარიზაცია. შინამრეწველობამ ფაქტიურადაც უნდა მოიპოვოს ის უფლება ჩვენს მეურნეობაში, რომელიც მას ფორმალურად უკვე აქვს.

საბჭოების გადარჩევა--მასიური პოლიტიკური კამპანიაა

უკანასკნელი გადარჩევის კამპანიიდან დაახლოვებით ორმა წელმა განვლო. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ თვალსაჩინო წარმატებებს მივაღწიეთ სოციალისტური აღმშენებლობის ფრონტზე, მიუხედავად სამეურნეო დაბრკოლებებისა, მიუხედავად ჩვენი მტრების მახინაციებისა. სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდა, კაპიტალურ მშენებლობაში დაბანდებული თანხების ზრდა, სოციალისტური რაციონალიზაციის წარმატება, სოციალისტური სექტორის მნიშვნელოვანი განმტკიცება სოფლის ეკონომიკაში (კოლმეურნეობათა ზრდა კოოპერაციის განმტკიცება, ახალი საბჭოთა მეურნეობის მოწყობა), მუშათა კლასისა და გლეხობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, —ყოველივე ეს საკმაოდ მოწმობს ჩვენს ზრდას. საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი პოლიტიკურად და კულტურულად გაიზარდა, მოხდა პროლეტარიატის ძირითადი მასების კონსოლიდაცია. გაიზარდა მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა პოლიტიკური აქტივობა და შეკავშირება.

ჩვენ ეს მიღწევები გვაქვს, მიუხედავად სოფლისა და ქალაქის კაპიტალისტური ელემენტების მედგარი წინააღმდეგობისა. კაპიტალისტური ელემენტები ცდილობდნენ ყოველმხრივ გამოეყენებიათ ჩვენი სამეურნეო სიძნელეები და ყოველ ღონისძიებას მიმართავდნენ, რათა ჩაეშალათ ჩვენი სოციალისტური მშენებლობა, როგორც ჩვენ ენერგიულად ვანხორციელებთ პარტიის მე-15 ყრილობის გადაწყვეტილებას კაპიტალისტურ ელემენტებზე შეტევის შესახებ, ეს უკანასკნელნი გააფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევენ. სოფლისა და ქალაქის კაპიტალისტური ელემენტები აქტიურ წინააღმდეგობას უწევენ ჩვენი პოლიტიკის გატარებას. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ გადარჩევის კამპანიის დროს კაპიტალისტური ელემენტების ანტისაბჭოთა მუშაობა გაძლიერდება და რომ გადარჩევა კლასობრივი ბრძოლის გამწვავების პირობებში ჩატარდება.

კაპიტალისტური ელემენტების პოლიტიკურ აქტივობას უნდა დაუპირისპირდეს მუშათა კლასის, მოჯამაგირეებისა და ღარიბი გლეხობის გაასკეცებული პოლიტიკური აქტივობა, შეკავშირება და დარაზმვა.

უნდა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ პროლეტარიატს, მოჯამაგირეებს და ღარიბ გლეხებს, რომლებიც შეკავშირებულნი არიან კომუნისტური პარტიის ირგვლივ, ერთსულოვნად გაჰყვენ გლეხობის ძირითადი მასები — საშუალო გლეხები. ჩვენ უნდა შევსძლოთ, რომ პოლიტიკურად კიდევ უფრო განვამარტოვოთ და განვაიარაღოთ კაპიტალისტური ელემენტები.

ამისათვის საჭიროა მაქსიმალური ყურადღება მიექცეს გადარჩევის კამპანიას. უწინარეს ყოვლისა საჭიროა, რომ ყველა ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციამ, პარტიის ყოველმა წევრმა მკაფიოდ შეიგნოს გადარჩევის კამპანიის სიძნელენი და სავსებით გაერკვეს იმაში, თუ როგორ პირობებში ჩატარდება ეს კამპანია.

რატომ მიგვაჩნია ჩვენ გადარჩევის კამპანიის წარმატების პირობად, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი საკუთარი რიგების სიმტკიცე. იმიტომ, რომ ცალკე ამხანაგები სათანადოდ ვერ აფასებენ მომავალი კამპანიის სიძნელეებს, სათანადოთ ვერ აფასებენ კაპიტალისტური ელემენტების აქტივობასა და ძალებს. ამ ამხანაგებს სურთ თავი აარიდონ აშკარა შეტაკებას კლასობრივ მტერთან და საბჭოების გადარჩევის მასიური და პოლიტიკური კამპანია გადააქციონ აპარატულ და ბიუროკრატიულ კამპანიად.

პარტია გადაჭრით უკუაგდებს სწორი კლასობრივი ხაზის გადამახინჯების ცდებს, კლასობრივი ბრძოლის მიფუჩეჩების მისწრაფებებს და ოცნებას „კლასთა თანამშრომლობის" შესახებ. პარტია იბრძოდა და იბრძოლებს როგორც ასეთ განწყობილებებთან, ისე იმათ წინააღმდეგ, ვინც პანიკას ეძლევა კულაკების აქტივობის გამო, სიძნელეების გამო, ვისაც არ სურს შეამჩნიოს საშუალო გლეხი.

ჩვენ მნიშვნელოვანი მიღწევები გვაქვს ქალაქის საბჭოების მუშაობის გაცხოველების დარგში, საბჭოების პლენუმების, სექციების და კომისიების მეშვეობით საბჭოთა მშენებლობის პრაქტიკულ მუშაობაში ჩაბმულია სოციალისტურ სახელმწიფოს მრავალი ათასი ახალი მშენებელი მუშათა კლასის წიაღიდან. მაგრამ ჯერ კიდევ მრავალი საბჭო არ აწარმოებს მუშაობას კულტურულ - სამეურნეო მშენებლობის ყველა დარგში, ჯერ კიდევ საკმაო არ არის საბჭოების კავშირი ფართო მასებთან. განსაკუთრებით ცუდად არის დაყენებული საუბნო საბჭოების მუშაობა. მრავალი გარკვეული დირექტივის მიუხედავად, ამ დარგში ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ ისეთ მდგომარეობას, რომ საბჭო სათანადოდ უძღვებოდეს მუშათა უბანს, რომ მუშებს საუბნო საბჭო მიაჩნდეთ მუშათა ხელისუფლების ჭეშმარიტ ორგანოდ.

გადარჩევამ ხელი უნდა შეუწყოს ქალაქის საბჭოების მუშაობის შემდგომ გაცხოველებას. გადარჩევის კამპანიამ მუშათა კლასის ახალი ფენები უნდა ჩააბას საბჭოების პრაქტიკულ მუშაობაში, უშუალო მონაწილეობა მიაღებინოს მათ სოციალისტურ მშენებლობაში. საბრძოლველი პრაქტიკული ლოზუნგი უნდა იყოს: მუშა-ამომრჩეველთა 100 პროცენტი დაესწროს საანგარიშო კრებებს და საბჭოების გადარჩევას. დაზგის საუკეთესო მუშები არჩეულ იქნან საბჭოებში.

გასულ წელს ჩატარებული მრავალი დიდი სამეურნეო კამპანია წარმოადგენდა ქვედა საფეხურის საბჭოების მასიური მუშაობის შემოწმებას, მათ კლასობრივი სიმტკიცის შემოწმებას. ამ შემოწმებამ ცხადჰყო, რომ იმ ენერგიულმა მუშაობამ, რომელსაც ჩვენ რამდენიმე წლის განმავლობაში ვაწარმოებთ საბჭოების გამოსაცოცხლებლად, დადებითი შედეგები გამოიღო. მრავალმა სოფლის საბჭომ სავსებით დამაკმაყოფილებლად ჩააბარა პოლიტიკური გამოცდა, მკაფიოდ ჩაატარა მთელ თავის მუშაობაში კლასობრივი პროლეტარული ხაზი. მაგრამ ქვედა საფეხურის საბჭოების ერთმა ნაწილმა ვერ გაუწია წინააღმდეგობა კულაკების შეტევას და, სხვადასხვა საბუთებით, არა თუ ხელს არ უწყობდა სამეურნეო კამპანიების წარმატებით ჩატარებას, არამედ ხშირად პირდაპირ წინააღმდეგობასაც კი უწევდა. ჩვენთვის სრულებით არ არის საჭირო იმის დამალვა, რომ საბჭოების სისტემის ქვედა საფეხურების მთელი რიგი მუშაკები დაუკავშირდნენ კაპიტალისტურ ელემენტებს და ეს უკანასკნელნი ყოველმხრივ იყენებდნენ ზოგიერთ ცალკე საბჭოს თავისი კლასობრივი ინტერესების სასარგებლოდ. ღარიბი გლეხების გამათრახება ლუდორვაიში პროლეტარული რევოლიუციის მეთერთმეტე წლის თავის წინ, ნაციონალიზაციაქმნილი მიწით ვაჭრობა ბრიანსკის გუბერნიის ცალკე სოფლის საბჭოებში, კულაკების ბანდების დაუსჯელი პარპაში (სკოლების და სოფლის აქტივისტთა შენობებისათვის ცეცხლის წაკიდება), ვორონეჟის და ელეცის ოლქებში — ყველა ასეთი აღმაშფოთებელი ფაქტი შესაძლებელი იყო მხოლოდ იქ, სადაც სოფლის საბჭოები ცუდად მუშაობდნენ.

საბჭოების გადარჩევის კამპანიის გზით ჩვენ უნდა მივაღწიოთ ქვედა ორგანოების განმტკიცებას მედგარი და კლასობრივად გამოწრთობილი მუშაკებით. პირველ რიგში აქ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ საბჭოებში, ჩავაყენოთ სოფლის მოჯამაგირეთა და სოფლის ღარიბების ახალი ძალები. პარტიულმა ორგანიზაციებმა ფართოდ უნდა ჩაატარონ დიდი მუშაობა სოფლის ღარიბთა და მოჯამაგირეთა შორის.

ჩვენი პარტიის მე-15 ყრილობამ წინადადება მოგვცა, „გაძლიერდეს მუშაობა მუშათა, საბჭოთა და პარტიული დემოკრატიის განხორციელების შესამოწმებლად, ამასთან დაჟინებით უნდა გადალახულ იქნას ყველა დაბრკოლება მის გასატარებლად ცხოვრებაში და დასჯილ იქნას დამნაშავენი მის დარღვევაში". ყრილობამ საჭიროდ სცნო „შემოწმება ნამდვილი არჩევნების განხორციელებისა, შემოწმება დეპუტატების გაწვევის უფლების განხორციელებისა და მუშებისა და მუშა - ქალების დაწინაურებისა მმართველობის სამუშაოზე". ყრილობის ეს მითითებანი უსათუოდ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მომავალი საარჩევნო კამპანიის დროს. საბჭოების გადარჩევის კამპანია, როგორც საანგარიშო - საარჩევნო კამპანია, უნდა ჩატარდეს საბჭოთა დემოკრატიისა და ქვევიდან წარმოებული თვითკრიტიკის ნიშნით. ჩვენ გადაჭრილი წინააღმდეგობა უნდა გავუწიოთ კულაკის კრიტიკას და ანტი - საბჭოთა კრიტიკას, ამავე დროს სავსებით უნდა უზრუნველვჰყოთ ისეთი პირობები რომ თვითეულ მუშას, მუშა - ქალს, წითელარმიელს, სოფლის თვითეულ მოჯამაგირეს, ღარიბსა და საშუალო გლეხს შეეძლოს რაც შეიძლება ფართო და აქტიური მონაწილეობა მიიღოს საბჭოს მუშაობისა და ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ყველა უმნიშვნელოვანესი საკითხის განხილვაში, რომ მათ შეეძლოთ მისცენ ხმა იმ კანდიდატებს, რომელთაც უფრო ენდობიან, შეეძლოთ მისცენ დეპუტატს საქმიანი დავალება.

უნდა გადამჭრელი ბრძოლა გამოეცხადოს იმათ, ვინც შეეცდება შეკვეცოს საბჭოთა პროლეტარული დემოკრატია, ვინც შეეცდება შესცვალოს იგი ადმინისტრატიული ძალდატანებით, ადმინისტრატიული შემახებით. ვინც შეეცდება დააბრკოლოს იგი, ხელი შეუშალოს მას.

თვითეულ პარტიულ ორგანიზაციას, თვითეულ კომუნისტს უნდა ახსოვდეს, რომ საბჭოთა გადარჩევის დროს ჩვენ წარმატებას მივაღწევთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ გადარჩევას საბჭოთა ფართო თვითკრიტიკის საფუძველზე ჩავატარებთ. თავის - თავად ცხადია. ეს არა თუ არ ეწინააღმდეგება, პირიქით, პირდაპირ გულისხმობს პარტიის მხრივ კამპანიისთვის მტკიცე და მოხერხებული ხელმძღვანელობის გაწევის საჭიროებას.

საბჭოთა წარსული გადარჩევის კამპანიის დროს ჩვენ შევნიშნეთ, რომ ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია ცდილობდა თავი დაეღწია ხელმძღვანელობისათვის. ამ გარემოებას გადაჭრით ბოლო უნდა მოეღოს. ჩვენი პარტია ხელმძღვანელობას უწევს პროლეტარული დიქტატურის ორგანოებს - საბჭოებს და ხელმძღვანელობს ამ საბჭოების გადარჩევას. საბჭოთა გადარჩევაზე პარტია მიდის თავისი პროლეტარული ბრძოლის ლოზუნგებით. პარტია მიდის მშრომელ მასებთან თავისი მიღწევებით და დეფექტებით და არ უმალავს მათ იმ სიძნელეებს, რომელნიც გზაზე გვხდებიან. მასების განსახილველად ჩვენ ვსვამდით წარსულში და მომავალშიაც დავსვამთ პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხს. ამ საკითხებს ჩვენ ვაყენებდით წინ იმ მიზნით, რომ დაგვერწმუნებია მუშები — ერთსულოვნად მიეცათ ჩვენთვის ხმა.

უნდა უზრუნველყოფილ იქნას პარტიული ხელმძღვანელობა საარჩევნო კამპანიის ყველა საფეხურზე — მომზადება, ანგარიშები, საარჩევნო კომისიების მუშაობა, საარჩევნო კრებები, დავალებები და სხვ.

გადარჩევის კამპანიის წინ ჩატარდება ფართო საანგარიშო კამპანია. თვითეულმა საბჭომ, თვითეულმა დეპუტატმა ანგარიში უნდა ჩააბაროს თავისი მუშაობის შესახებ, უნდა მოხსენება გააკეთოს, თუ რა შესრულდა ამომრჩეველთა დავალებებიდან, რა გააკეთა საბჭომ საბჭოთა ხელისუფლების განსამტკიცებლად, მშრომელთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად; ჩვენ უნდა მოვუთხროთ მასებს ჩვენ მიღწევათა და ნაკლთა შესახებ. უნდა მოვუთხროთ, თუ რა დაბრკოლებები შეგვხვდა გზაზე, გვხვდება და შეგვხვდება წელს. საანგარიშო კამპანია თვითკრიტიკის ლოზუნგით უნდა ჩატარდეს და დასაწყისი უნდა გახდეს ფართო თვითკრიტიკისა ქვევიდან. მასიურმა კრიტიკამ უნდა გააშუქოს საბჭოთა მთელი მუშაობა, გვიჩვენოს ჩვენი მიღწევები და დეფექტები. მშრომელთა ფართო მასების მონაწილეობა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უმნიშვნელოვანესი საკითხის განხილვაში იქნება პირველი ნაბიჯი გადადგმული იქითკენ, რომ ჩვენს წინაშე წამოჭრილ ამოცანათა გადაჭრის დროს სიძნელეებთან ბრძოლაში უშუალო მონაწილეობა მიიღონ მუშების ახალმა ფენებმა, სოფლის მოჯამაგირეთა, ღარიბთა და საშუალო გლეხთა აქტივმა. სოციალისტური მშენებლობის საქმეში მილიონი ახალი მშენებლის უშუალოდ ჩაბმა იქნება სიძნელეებთან ჩვენი გამარჯვების თავდები.

საბჭოების გადარჩევას დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. ჩვენი კლასობრივი მტრები მთელს მსოფლიოში თვალყურს ადევნებენ გადარჩევის კამპანიას. კაპიტალიზმის ლაქიები — სოციალ - დემოკრატები გააძლიერებენ შხამის გადმონთხევას პროლეტარული სახელმწიფოს მისამართით. საბჭოების გადარჩევის დროს საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი ერთხელ კიდევ გამოააშკარავებს თავის ძალას და კლასობრივ შეგნებას და საბჭოთა გადარჩევაში კომპარტიის ლოზუნგებით, ერთსულოვანი მონაწილეობის ფაქტით, ამ შემთხვევაშიაც დაამსხვრევს ჩვენი მტრების ილიუზიებს.

პროლეტარული დიქტატურის ორგანოები — ქალაქისა და სოფლის საბჭოები — გადარჩევის კამპანიიდან კიდევ უფრო განმტკიცებულნი გამოვლენ; ამომრჩეველთა ფართო მასებთან ისინი კიდევ უფრო გააძლიერებენ კავშირს. გადარჩევის კამპანიის ჩატარებით ჩვენი პარტია კიდევ უფრო განამტკიცებს თავის ავტორიტეტს მშრომელ მასებს შორის და გადარჩევის კამპანიიდან გამოვა უფრო მეტად გაკაჟებული, უფრო მეტად განმტკიცებული.

„პრავდა", 18 ოქტომბერი.

გერმანიაში გრძელდება ს.-დ. მუშების გადასვლა კომპარტიაში

პოლონეთის მემაღაროეთა გამარჯვება

მრეწველებმა დააკმაყოფილეს დომბროვის მემაღაროეთა მოთხოვნა ხელფასის მომატების შესახებ

პუანკარეს მთავრობა აფართოვებს ეკლესიის უფლებებს

გარბიან გერმანიის სოც.-დემოკრატიულ პარტიიდან

ბერლინი, 17 ოქტომბერი. მუშები განაგრძობენ გადასვლას სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან კომუნისტურ პარტიაში. ამ დღეებში დომგარტენის ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის თავმჯდომარემ **საჯაროთ განაცხადა, რომ იგი კომპარტიაში შედის.** ასეთივე განცხადებით გამოვიდა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ბევრი წევრი. დომგარტენში კომპარტიის ამ ახალი წევრებისაგან შეიქმნა კომუნისტური ორგანიზაცია. იქ ასეთი ორგანიზაცია დღემდე არ არსებობდა. (ადს).

„როტე ფანე"-ს წერილი

ხელმოწერის შეკრების შედეგის შესახებ

ბერლინი, 17 ოქტომბერი. ხელმოწერის შეკრების შედეგი—სწერს „როტე ფანე",—საუკეთესოდ ამტკიცებს ყველა იმის რევოლიუციონერობას და პირად გმირობას, ვინც ხელი მოაწერა მოთხოვნას საყოველთაო კენჭის ყრის შესახებ ჯავშნოსანის აგების წინააღმდეგ, ვინაიდან ამით ყოველმა ხელისმომწერმა აშკარად გამოაცხადა თავისი თავი კომპარტიის მომხრედ. **კამპანიის** მნიშვნელობა, პირველ ყოვლისა, გამოიხატა იმაში, რომ მან **ხელი შეუწყო მასების გამოფხიზლებას იმპერიალისტებისა და რეფორმისტების სამხედრო მზადების წინააღმდეგ.** კამპანიამ უფრო მეტს მიაღწია, ვიდრე ამას ციფრები გვეუბნებიან. ახალი მებრძოლნი ათასობით შეემატნენ კომპარტიის რიგებს, ნაწილობრივ სოციალ-დემოკრატიის რიგებიდანაც, ხოლო კომუნისტურმა პრესამ ათასობით შეიძინა ახალი მკითხველი.

ამავე დროს კამპანიამ გამოარკვია პარტიული მუშაობის მრავალი სუსტი მხარე და დეფექტი. კამპანიის უდიდესი გაკვეთილი მდგომარეობს, პირველ ყოვლისა, იმაში, რომ, როგორც გამოირკვა, გერმანიის მშრომელი მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ არაფერი იცის ომის საფრთხის, წარმოებული შეიარაღების და რეფორმისტების ღალატის შესახებ, მეორე—იმაში, რომ ეს მასები იმპერიალისტების იარაღად რჩებიან იმ დრომდე, სანამ მათ არ აუხელენ თვალებს და არ დაანახვებენ საქმის ნამდვილ ვითარებას. ხელმოწერის შეგროვების კამპანია, ეყრდნობა რა ფართო მასების სიმპატიებს, აფართოებს და აძლიერებს თავის გავლენას. ასწორებს თავის შეცდომებს. თვითკრიტიკის გზით და მიჰყავს გერმანიის პროლეტარული მასები ახალი რევოლიუციონური ბრძოლებისაკენ". (ადს).

გაფიცვების ტალღა

დომბროვის სამთა-მადნო მუშების გამარჯვება

ვარშავა, 17 ოქტომბერი. პრესის ცნობით, **დომბროვის ქვანახშირის რაიონში კონფლიქტი დამქირავებლებსა და მუშებს შორის მოგვარებულ იქნა. მრეწველებმა დააკმაყოფილეს მუშების მოთხოვნა სამუშაო ხელფასის გადიდების შესახებ.** (ადს).

შეტევა გაფიცულთა წინააღმდეგ

პარიზი, 17 ოქტომბერი. ლილში მუშაობის განახლების შემდეგ ფეიქართა გაფიცვა გრძელდება მხოლოდ მდინარე ლისის დაბლობში, სადაც გაფიცულია 13.000 კაცი. „ლიუმანიტე"-ს სიტყვით, დამქირავებლების და რეფორმისტების მთელი ძალ-ღონე მიმართულია ამ ყველაზე უფრო მედგარ გაფიცულთა წინააღმდეგ, განსაკუთრებით ალუენის ფეიქრების წინააღმდეგ. ალუენის ფეიქრები თავიანთ დამარცხებაში პასუხისმგებლად სთვლიან რეფორმისტებს. (ადს).

ეკლესიის უფლებათა აღდგენა საფრანგეთში

პარიზი, 17 ოქტომბერი. მთავრობამ მიიღო კომპრომისული გადაწყვეტილება ბიუჯეტის პროექტის 70 და 71 მუხლების გამო. ეს მუხლები ითვალისწინებენ ეკლესიის უფლებათა აღდგენას შემდეგ შემთხვევებში: მოძრავი და უძრავი ქონება, რომელიც წინათ ეკლესიას ეკუთვნოდა და დღემდე არავის გადასცემია, გადაეცემა იმ რელიგიურ საზოგადოებებს, რომელნიც საზღვარგარეთ მუშაობენ; ნებადართული იქნება მისიონერების მოსამზადებლად დაწესებულებათა გახსნა და შენახვა საფრანგეთში.

დეპუტატთა პალატაში მიღებულ გადაწყვეტილებათა თანახმად, ამ მუხლების დასასაბუთებლად გამოვლენ პრემიერი პუანკარე, საგარეო საქმეთა მინისტრი ბრიანი და შინაგან საქმეთა მინისტრი სარო.

„ჟურნალ დე დება" ეჭვობს, რომ „მთავრობის ასეთმა ფორმალურმა დათმობამ დააკმაყოფილონ ზოგიერთი მისი ცრუ-მეგობრები, რომლებიც ნამდვილად უარს არ იტყვიან ამ მთავრობის ჩამოგდებაზე". (ადს)

მაკდონალდის განცხადება

ბერლინი, 17 ოქტომბ. ბერლინში მყოფმა მაკდონალდმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ **ინგლისის მუშათა პარტია მოითხოვს დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობის აღდგენას საბჭოთა კავშირთან.** ეს, მაკდონალდის სიტყვით, ნიშნავს „მხოლოდ საბჭოთა რუსეთის არსებობის ცნობას და არა არსებული მდგომარეობისა და საბჭოთა პოლიტიკის ცნობას".

შემდეგ მაკდონალდმა განაცხადა, რომ მუშათა პარტიის აზრით, „მან ბოლშევიზმის საწინააღმდეგოთ გააკეთა ათასჯერ უფრო მეტი, ვიდრე ევროპის ქვეყნების ნაციონალისტურმა პარტიებმა, მათ შორის ინგლისის კონსერვატორებმაც" (ადს).

ბერლინი, 17 ოქტომბ. ბერლინში მყოფ მაკდონალდს ესაუბრა სოციალ-დემოკრატიული „ფორვერტს"-ის თანამშრომელი. სხვათა შორის, გაზეთის თანამშრომელი მაკდონალდს შეეკითხა —მისი აზრით, ევროპაში რომელი ადგილები წარმოადგენენ „საფრთხის კერას", მაკდონალდმა უპასუხა: „ასეთი კერა რამდენიმეა, მათგან ზოგიერთი ჩვენთვის კარგადაა ცნობილი, სხვები კი ჯერ-ჯერობით ბურუსით არიან მოცულნი. ასეთია, მაგალითად, უკრაინა: არსებობენ გეგმები, რომელთა მიხედვითაც ცდილობენ გარედან მხარი დაუჭირონ მოძრაობას, რომელიც მიზნად ისახავს უკრაინის გადაქცევას სხვა სახელმწიფოებისაგან დამოკიდებულ სახელმწიფოდ, თუ ფორმალურად არა, ფაქტიურად მაინც". (ადს).

ცვლილებები ნანკინის მთავრობაში

შანხაი, 17 ოქტომბერი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ნანკინის მთავრობის საბჭომ სამხედრო მინისტრად დანიშნა ფინ-იუ-სიანი. შინაგან საქმეთა მინისტრად ენ-სი-შანი, გზათა მინისტრად—სუნ-ფო.

ჩჟან სიუე-ლიანის დანიშვნა

პეკინი, 17 ოქტომბერი. ამერიკის გაზეთი „ნორდ ჩაინა სტანდარტ"-ი ეხება ცნობებს ნანკინში არსებული უთანხმოების შესახებ კერძოდ ცნობას იმის შესახებ, რომ ჩჟან სიუე-ლიანის დანიშვნა მთავრობაში ფინ იუ-სიანისთვის სილის გაწვნას უდრის და სწერს, რომ ეს ცნობები უცხოეთის სააგენტოების ტენდენციური გამოგონებაა. (ადს).

მოლაპარაკება ნანკინსა და პარიზს შორის

შანხაი, 17 ოქტომბერი. გამოქვეყნდა ნოტები, რომლებიც გაუგზავნეს ერთმანეთს ნანკინმა და პარიზმა ნანკინის ინციდენტის ლიკვიდაციის შესახებ. ნანკინის მთავრობა იმ ამბებში, რომელთაც 1926 წელს ჩან ცზუ-ჩინის ჯარების უკან დახევის დროს ადგილი ჰქონდათ, ბრალსა სდებს კომუნისტებს, და თანხმობას აცხადებს აუნაზღაუროს ფრანგებს ზარალი. მხარეთა თანასწორობისა და სუვერენობის საფუძველზე ხელშეკრულებათა გადასინჯვის შესახებ წინადადების საპასუხოდ საფრანგეთი გამოსთქვამს იმედს, რომ „თავის თავად გახდება შესაძლებელი სათანადოდ, ერთმანეთის თანხმობით, გადაისინჯოს ის დადგენილებები, რომლებიც ზედმეტი და გამოუსადეგარი აღმოჩნდება". (ადს).

იწონებენ კომინტერნის გადაწყვეტილებას

ბერლინი, 17 ოქტომბერი. გერმანიის კომპარტიის ბადენის საოლქო კომიტეტმა მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც იგი **იწონებს კომინტერნის აღმასკომის გადაწყვეტილებას ჰამბურგის საქმის გამო.** (ადს).

განაჩენი მაჯორისა და სპანდონის საქმის გამო

რომი, 17 ოქტომბერი. ლუკაში საგანგებო ტრიბუნალმა გაარჩია საქმე კომუნისტების მაჯორისა და სპანდონისა, რომელთაც ბრალდებოდათ ორი ფაშისტის მოკვლა. ტრიბუნალმა მაჯორის დახვრეტა მიუსაჯა, ხოლო სპანდონს — 18 წლით დაპატიმრება.

ლიტვის იმედები

ბერლინი, 17 ოქტომბერი. ლიტვის ელჩმა ბერლინში სიძიკაუსკასმა „კენიგსბერგერ ალგემეინე ცეიტუნგ"-ის კორესპონდენტთან საუბრის დროს იმედი გამოსთქვა, რომ **ვილნოს პრობლემას საერთაშორისო კონფერენცია განიხილავს გერმანიისა და საბჭოთა კავშირის მონაწილეობით.** (ადს).

ინგლისის კარნახით

თეირანი, 17 ოქტომბერი. გაზეთი „შაფაგ-სორხი" იუწყება: ინგლისის ხელისუფლებას ირაქში წარედგინა პეტიცია იმის შესახებ, რომ ბასრა ჩამოშორდეს ირაქს პეტიცია, ვითომც, „ბასრის მოსახლეობისაგან" მომდინარეობს.

ბასრა ირაქის ერთ-ერთი პროვინციაა. ასეთივე სახელი ჰქვია ამ პროვინციის მთავარ ქალაქს, რომელიც თვალსაჩინო ნავთსადგურია სპარსეთის უბეში.

პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ პეტიცია შედგენილია ინგლისის ხელისუფლების კარნახით, რომელიც ცდილობს ბასრას პროვინცია ოფიციალურად გადააქციოს ინგლისის კოლონიად, ხოლო ქალაქი ბასრა საბაჟო საავიაციო და რკინის გზის ცენტრად. (ადს)

ახალი ცნობები ამუნდსენის შესახებ

ოსლო, 17 ოქტომბერი. ვალდერსუნდში მივიდა გემი „ლაიფ", რომელმაც ზღვაში იპოვა გიდროპლან „ლატამის" (ამ გიდროპლანით გაფრინდნენ ამუნდსენი, გილბო და დიტრიხსენი) ბენზინის ბაკი. ბაკზე, რომელშიც არის 80 ლიტრი ბენზინი, არის სპილენძის თხელი დაფა წარწერით: „600 ლიტრი ბენზინი, გიდროპლანი „ლატამ".

ბაკზე არის კვალი ფანქრით გაკეთებული წარწერის, რომელიც თითქმის წაშლილია. წარწერის წაკითხვა თითქმის შეუძლებელია. იმათი სიტყვით, ვინც ბაკი დაათვალიერა, გარჩეულია შემდეგი ნაწყვეტები: „აკსი. არაბული ციფრი—20, რომაული ციფრი—10.1" ფიქრობენ სიტყვა „აკსი" არის დაუმთავრებელი ფრანგული სიტყვა „აკსიდან", რაც „უბედურ შემთხვევას" ნიშნავს. ციფრები კი უჩვენებენ იმ ადგილის კოორდინატებს, სადაც „ლატამი" იმყოფებოდა და რომელიც შეეფერება ადგილს დათვის კუნძულიდან აღმოსავლეთით.

გემი „ლაიფ" 18 ოქტომბერს მივა ტრონდჰეიმში.

საუბარი პროფ. სამოილოვიჩთან

მოსკოვი, 18 ოქტომბერი. როგორც იუწყებოდნენ, იპოვნეს აეროპლანის „ლატამი"-ის ბენზინის ბაკი. ამასთან დაკავშირებით, „კრასინი"-ს ექსპედიციის უფროსმა ამხ. სამოილოვიჩმა საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა:

„ამ ბაკის პოვნა საბოლოოდ ადასტურებს აეროპლანის „ლატამ"-ის დღუპვას, წინედ კი ჯერ კიდევ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ „ლატამ"-ი სადმე მყუდრო ადგილას იმყოფება, მაგრამ დღეს ბენზინის ბაკის პოვნა მოწმობს, რომ „ლატამ"-მა კატასტროფა განიცადა. თუ დავუშვებთ, რომ ფანქრით წარწერილი დაღუპულ ამუნდსენს ან მის თანამგზავრს ეკუთვნის, მაშინ ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ აეროპლანი წყალში ჩავარდნის შემდეგ, ჩაძირვამდე ერთხანს წყლის ზედაპირზე იმყოფებოდა". (ადს).

ამხ. ზარზარის განცხადება

მოსკოვი, 18 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარმა ინსპექტორმა ზარზარმა საუბარში საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან განაცხადა:

„მოსკოვის საავიაციო წრეები „დარწმუნებული არიან, რომ „ლატამ"-ის ბაკის პოვნა საბოლოოდ ადასტურებს ამუნდსენისა და მისი თანამგზავრების დაღუპვას. მაგრამ ამ საკითხში ჯერ ბევრი რამე გაურკვეველია. ჯერ კიდევ ადრე, როდესაც იპოვეს „ლატამ"-ის გვერდის საცურავი, გაოცებას იწვევდა ის გარემოება, რომ საცურავი თითქოს განგებ იყო დან მას არ ეტყობა (როგორც ეს ჩანს პარიზის პრესაში მოთავსებული ფოტოგრაფიული სურათიდან) დამტვრევის ნიშნები, სავსებით შესაძლებელია, რომ საცურავი უბედურების სიგნალი იყო, ეხლა, როდესაც იპოვეს „ლატამ"-ის ბაკი, რომელიც, ეჭვს გარეშეა, გამოშვებულია გაჭირვებაში მყოფი ხალხის მიერ, ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამუნდსენმა და მისმა თანამგზავრებმა გაგზავნეს რამდენიმე მცურავი ნიშანი, რომ შეეტყობინებიათ მსოფლიოსათვის თავიანთი მდგომარეობა. ეს გადაუვალი ფაქტია აეროპლანის ავარიის პირობების და ამუნდსენისა და მისი თანამგზავრების ბედის გამოსარკვევად. ავარიის შემდეგ, რომელიც შეიძლებოდა გამოეწვია მოტორების გაფუჭებას ან მეტეოროლოგიურ მიზეზებს, „ლატამ"-ის ეკიპაჟი მაგარ ნიადაგზე მოხვდა. ამუნდსენი და მისი თანამგზავრები ცოცხლები იყვნენ და, როგორც ამუნდსენის ენერგიას შეეფერება, მათ გადასწყვიტეს აეროპლანის დაშლა, რათა გამოეგზავნათ მცურავი სიგნალები. აგრეთვე უეჭველია, რომ ავარია მოხდა სადღაც დათვის კუნძულის რაიონში. დათვის კუნძულის სამხრეთით არის ზღვაო დინება, რომელიც სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიემართება. შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ საცურავი და ბაკი ამ დინებამ წამოიღო, შემდეგ კი ისინი გოლფშტრემმა მიიტანა ნორვეგიის ნაპირებთან.

თუ „ლატამ"-ის მგზავრებს შეეძლოთ მიეღწიათ დათვის კუნძულამდე, სრულიად გაუგებარია, რატომ ვერ ნახეს ისინი საფრანგეთის კრეისერმა „სტრასბურგ"-მა და სხვა გემებმა, რომლებიც ამ რაიონში დაეძებდნენ „ლატამ"-ს. აგრეთვე გაუგებარია, რატომ ნახეს „ლატამ"-ის ეკიპაჟი სადმე მცურავ ყინულებზე, დათვის ყინულის აღმოსავლეთით. ამუნდსენი არ დაჰკარგავდა დროს აეროპლანის დაშლაზე და სიგნალის გამოგზავნაზე, რომ არ ჰქონებოდა ოკეანეს ზედაპირზე ერთხანს გაძლების საშუალება. დადასტურებულ ფაქტად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ამუნდსენი და მისი თანამგზავრები ავარიის დროს არ დაღუპულან. და თუ ისინი მაინც დაიღუპნენ, ყოველ შემთხვევაში ავარიის შემდეგ კიდევ დიდხანს ცოცხლები იყვნენ". (ადს).

ამუნდსენის ხსოვნის დღე

ოსლო, 17 ოქტომბერი. ნორვეგიის მთავრობამ დაადგინა, გამოაცხადოს 14 დეკემბერი ამუნდსენის ხსოვნის დღედ. ნორვეგიის მთავრობამ ეს დღე იმიტომ ამოირჩია, რომ ამუნდსენმა სამხრეთი პოლიუსი 1911 წლის 14 დეკემბერს აღმოაჩინა. (ადს).

რეპრესიები ჩინეთში

შანხაი, 17 ოქტომბერი. გაზეთების ცნობით, უსში დააპატიმრეს 50 მუშა და გლეხი, რომელთაც ჰბრალდებათ კომპარტიის წევრობა. ჩანშაში იმავე მიზეზით დააპატიმრეს ადგილობრივი საფეიქრო ფაბრიკების 16 მუშა. დაპატიმრებულნი სამხედრო სასამართლოს გადასცეს.

სიკვდილით დასაჯეს **ჩან მინ-გუანი** და სხვები, რომელთაც ჰბრალდებათ საბჭოთა ხელისუფლების მოწყობა ჩინეთში.

ამხ. ფოსტერის დაპატიმრება

ნიუ-იორკი, 17 ოქტომბერი. ვილმინგტონში (დელავერი) კომუნისტების კანდიდატი პრეზიდენტის თანამდებობაზე ფოსტერი, როდესაც იგი მიტინგზე გამოვიდა, პოლიციამ დააპატიმრა და წინადადება მისცა, დასტოვოს ვილმინგტონი. თავის სიტყვაში, რომელიც დაპატიმრებით შეაწყვეტინეს, ფოსტერი თავს ესხმოდა ასაფეთქებელ ნივთიერებათა ტრესტს „დიუპონ დე ნემურა"-ს, რომელსაც ფაქტიურად ეკუთვნის ძალა-უფლება დელავერის შტატში, და კიცხავდა კაპიტალისტებს ზანგების ჩაგვრისათვის, ფოსტერი გაანთავისუფლეს

ახალი ექსპედიცია ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ

ბერლინი, 17 ოქტომბერი. არქტიკულ ქვეყნების შემსწავლელ საზოგადოების „აერო-არქტიკის" სესიამ, რომელიც ამჟამად ბერლინში მიმდინარეობს შეიმუშავა გეგმა ახალი პოლიარული ექსპედიციისა, რომელიც მოეწყობა „გრაფ ცეპელინის" ტიპის დირიჟაბლით. ექსპედიცია შესდგება მომავალი წლის აპრილში ან მაისში. დირიჟაბლი არქტიკას გადაფრინდება ორ ჯერ—მარშრუტი ჩრდილოეთ-ევროპა—ალიასკა და უკან. ექსპედიციის ბაზა იქნება ლენინგრადში ან მურმანსკში და ამერიკაში (ქ. ნომში, ალიასკა), მანძილი ჩრდ. ევროპისა და ალიასკას შუა უდრის 7.000 კილომეტრს. ექსპედიციისათვის დანიშნულ დირიჟაბლს კი შეუძლია 12.000 კილომეტრის გავლა დედამიწაზე დაუშვებლად.

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ჯავშნოსანის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიის შედეგები

მოსკოვი, 18 ოქტომბერი. გაზეთ „პრავდა"-ს ბერლინელი კორესპონდენტი იტყობინება შემდეგს:

გერმანიის ყველა კუთხეში უკვე დასრულდა საყოველთაო კენჭის ყრის სასარგებლოთ ხელის მომწერთა აღრიცხვა. როგორც ეს მოსალოდნელი იყო, ყველაზე მეტი ხმა ჯავშნოსანის აგების წინააღმდეგ კენჭის ყრის დანიშვნის სასარგებლოთ მისცა ბერლინმა. აქ ხელი მომწერთა საერთო რიცხვი 414 კაცს უდრის, უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვნად გაიზრდა ხმების რაოდენობა სხვა მსხვილ ქალაქებშიაც.

მიუხედავად იმისა, რომ საყოველთაო კენჭის ყრა, როგორც უკვე გამოირკვა, არ შესდგება, რადგან არ იქნა შეკრებილი ხმების სათანადო რაოდენობა, გერმანიის კომპარტიის მიერ ჩატარებულ კამპანიამ დიდათ შეუწყო ხელი მასების მობილიზაციას და სოციალ- დემოკრატიის მოღალატეობის გამომჟღავნებას.

ლოძის ამბებმა შეაშფოთა პოლიტიკური პარტიები

მოსკოვი, 18 ოქტომბერი. გაზეთ „იზვესტია"-ს ვარშაველი კორესპონდენტი გადმოგვცემს:

ლოძის გრანდიოზულ გაფიცვებმა დიდათ შეაშფოთა ყველა ბურჟუაზიული პარტიები. არეულია ყველა პოლიტიკური დავთრები. პოლონეთის სოციალისტური პარტიის ცდამ, რომ გაფიცვის ინიციატივა გადაეცა მთავრობისათვის, დიდი აღშფოთება გამოიწვია მუშათა მასებში. გაფიცვის ფაქტიურ ხელმძღვანელებათ უკვე აღარ შეიძლება ჩაითვალონ გაფიცვის ოფიციალური ლიდერები. კომპარტიის გავლენა დღითი-დღე თვალსაჩინო ხდება,

საქართველოს დელეგაციის სიტყვა გამასწორებელ სახლთა მუშაკების ყრილობაზე.

მოსკოვი, 17 ოქტომბერი. ამ დღეებში მოსკოვში გაიხსნა პენიტენციარული (გამასწორებელი დაწესებულება) მუშაკების სრულიად საკავშირო ყრილობა. საქართველოდან ყრილობაზე ილაპარაკა ამხ. დუმბაძემ, რომელმაც თავის სიტყვაში განსაკუთრებით აღნიშნა, გამასწორებელ სახლების მეტის-მეტად დატვირთვა სისხლის სამართლის წესით გასამართლებულ პირებით. ორატორის სიტყვით, ეს უმთავრესად გამოწვეულია სასამართლოს ორგანოების მუშაობის სისუსტით. სასამართლოები, იმის გამო, რომ ისინი მეტად დატვირთულნი არიან საქმეებით, თუ იმიტომ, რომ ზოგჯერ თვით მუშაკები არ არიან იქ თავიანთ დანიშნულებისათვის შესაფერისი, ზოგჯერ ვერ ერკვევიან საქმეებში და გამასწორებელ სახლში გზავნიან მცირე დამნაშავეებს. ასეთი პირები არ წარმოადგენენ დიდ საშიშროებას საზოგადოებისათვისა და სახელმწიფო დაწესებულებისათვის. მათი იზოლიაცია არ არის გამოწვეული საქმის ინტერესით. ამგვარი დამნაშავეების გამოსწორება შეიძლება სხვა წესითაც.

ორატორი მოითხოვს, რომ გამასწორებელ სახლთა მუშაობის მოწესრიგება დაკავშირებულ იქნას სასამართლოს ორგანოების საქმიანობის გაჯანსაღებასთან.

პარტაქტივის მოსამზადებელი კურსები

მოსკოვი, 18 ოქტომბერი. საკავშირო კომპარტიის ცეკამ დაამტკიცა პარტიულ კურსების ქსელი, რომელშიაც უნდა მომზადდეს ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკების კადრები.

ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის კურსების მსმენელთა რიცხვი ცეკას დადგენილებაში განსაზღვრულია 350 კაცით.

ჟურნალი „ჩვენი მიღწევები"

მოსკოვი, 18 ოქტომბერი. რუსეთის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოაცხადა ხელისმოწერა მაქსიმ გორკის ინიციატივით დაარსებულ ჟურნალ „ჩვენ მიღწევებზე".

ჟურნალის რედაქცია მიმართავს მოწოდებით მუშა და გლეხ კორესპონდენტებს, რომ ენერგიული დახმარება გაუწიონ ჟურნალს დასახულ ამოცანების შესრულებაში.

85 მილიონი მეორე ინდუსტრიალიზაციის სესხისათვის

მოსკოვი, 18 ოქტომბერი. მოსკოვის საბჭოს საფინანსო განყოფილების ცნობით უკანასკნელ ხანებამდე მარტო მოსკოვმა შეიძინა 85 მილიონი მანეთის მეორე ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციები.

ჯავშნოსანის საწინააღმდეგო კამპანიის შედეგები

დამთავრდა ხელისმოწერის შეგროვება იმ მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც საყოველთაო კენჭის ყრას უნდა გადაეწყვიტა ბედი სამხედრო გემების შესახებ კანონპროექტისა. 4 მილიონი ხელმოწერა, ე. ი. მინიმუმი, რომელსაც კონსტიტუცია მოითხოვს, ვერ შეგროვდა. მაშასადამე, კენჭის ყრა აღარ მოხდება.

წინასწარი ცნობებით, ამჟამად შეკრებილია 2—2 ნახ. მილიონი ხელმოწერა. ეს ნაკლებია ხმების იმ რაოდენობაზე, რომელიც კომპარტიამ მიიღო უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებზე მიმდინარე წლის მაისში, ნაკლებია აგრეთვე იმ რიცხვზე, რომელიც შეგროვილ იქნა საყოველთაო კენჭის ყრის მოსაწყობად 1926—27 წელს. მაგრამ ყოველი შედარება მაინც ნაჩქარევი იქნება, თუ მხედველობაში არ მივიღეთ ის განსაკუთრებული პირობები, რომლებშიაც მიმდინარეობდა ეხლანდელი ხელისმოწერა.

1926 წელს ბრძოლა სწარმოებდა ლოზუნგით—არც ერთი კაპეიკი ყოფილ მიწათმფლობელ თავადებს მათთვის ჩამორთმეული ქონების სამაგიეროდ. ეს ლოზუნგი პოპულიარული იყო და არა მარტო მუშათა მასებში, არამედ წვრილი ბურჟუაზიის ფართო ფენებშიაც, ვინაიდან ეს საქმე წვრილი ბურჟუაზიის მატერიალურ ინტერესებსაც ეხებოდა. ამჟამად ამომრჩევლის წინაშე წამოყენებული იყო მხოლოდ ანტი-მილიტარისტული, არსებითად უაღრესად რევოლიუციონური კომუნისტური ლოზუნგი: არც ერთი ჯავშნოსანი, არც ერთი კრეისერი გერმანიის კაპიტალს. ასეთ ლოზუნგს არ შეეძლო ერთბაშად, მით უმეტეს გააფთრებული ანტიკომუნისტური კამპანიის პირობებში, მიეზიდა წვრილი ბურჟუაზიის ხმები, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ უკანასკნელ წლებში გერმანიაში ადგილი აქვს კოლონიალურ-იმპერიალისტურ განწყობილებათა გაცხოველებას.

მაშინ, 1926 წელს, საერთო განწყობილების ზეგავლენით პირველ ხანებში ყოყმანის შემდეგ სოციალ-დემოკრატიაც კი იძულებული გახდა მხარი დაეჭირა საყოველთაო კენჭისყრისათვის. ამჟამად კენჭის ყრას მოითხოვდა მხოლოდ კომპარტია, მის წინააღმდეგ დარაზმული იყო შეიარაღების დამცველთა მთლიანი ფრონტი—სოციალ-დემოკრატებიდან ნაციონალისტებამდე, ჰილფერდინგიდან გრაფ ვესტარპამდე. სახელმწიფო ხელისუფლების მთელი აპარატი, ცენტრალური დაწესებულებები, ქალაქის თვითმართველობანი, მრეწველები, პროფკავშირების მეთაურები, ეკლესია, პროფესორები,—ყველა აღვირახსნილ აგიტაციას ეწეოდა საყოველთაო კენჭის ყრის წინააღმდეგ, არ უკადრისობდა არავითარ საშუალებას და უტიფრად უწევდა საბოტაჟს ხელმოწერის შეგროვებას.

„ვინც ხმას მისცემს საყოველთაო კენჭის ყრის სასარგებლოდ, ის კომუნისტიაო“, მუქარით განაცხადა სოციალ-დემოკრატმა დიტმანმა, ამავე დროს ხმის მიცემა საყოველთაო კენჭის ყრის სასარგებლოდ ფარულად კი არ ხდება, როგორც საპარლამენტო არჩევნებს დროს, არამედ საჯაროდ. იმ გააფთრებული კამპანიის პირობებში, რომელიც სწარმოებს კომპარტიის წინააღმდეგ, რევოლიუციონური გამბედაობაა საჭირო იმისათვის, რომ თავისი გვარი შეიტანო შეიარაღების მოწინააღმდეგეთა სიაში.

დასასრულ, წინა საყოველთაო კენჭის ყრის შედეგებს არ შეიძლებოდა რამდენიმედ გული არ გაეტეხა გერმანიის შეიარაღების ყველაზე უფრო გაბედულ მოწინააღმდეგეებისათვისაც კი. 1926 წლის საყოველთაო კენჭის ყრის დროს ყოფილი თავადებისათვის ანაზღაურების გადახდის წინააღმდეგ ხმა მისცა თითქმის 16 მილიონმა კაცმა (ანაზღაურების გადახდის სასარგებლოდ მხოლოდ 500 კაცმა მისცა ხმა). მაგრამ ეს მაინც საკმაო არ აღმოჩნდა, იმიტომ, რომ, როგორც ამას წინად გერმანიის რადიკალურმა ყოველკვირეულმა ჟურნალმა „ტაგებუხ“-მა განმარტა, დადგენილებები საყოველთაო კენჭის ყრის შესახებ, რომლებსაც ვეიმარის კონსტიტუცია შეიცავს, უტიფარ მოტყუებას წარმოადგენენ. კონსტიტუცია მოითხოვს, რომ კენჭის ყრაში მონაწილეობა მიიღოს ამომრჩეველთა ნახევარმა მაინც, წინააღმდეგ შემთხვევაში კენჭის ყრა უშედეგოდ ჩაითვლება. მაგრამ, როგორც პრაქტიკამ ცხადჰყო, ეს პირობა განუხორციელებელია, ვინაიდან კენჭის ყრაში მონაწილეობას არ იღებს არა მარტო ის, ვინც საყოველთაო კენჭის ყრის პრინციპიალური მოწინააღმდეგეა, არამედ რამდენიმე მილიონი პასიური ამომრჩეველიც.

ასეთ პირობებში 2—2 ნახ. მილიონი ხმა, რომელიც მიიღეს გარკვეულმა რევოლიუციონურმა ლოზუნგებმა შეიარაღების წინააღმდეგ, იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ომის საფრთხის წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირის დასაცავად, მოასწავებს იმ კამპანიის წარმატებას, რომელსაც კომპარტია აწარმოებდა. რა თქმა უნდა, კამპანიის ჩატარების ტექნიკურმა დეფექტებმა, გერმანიის კომპარტიის ორგანიზაციულმა სისუსტემ სოფლად და აგრეთვე ჰამბურგის საქმემაც (ვიტორფის მიერ პარტიული ფულის გაფლანგვა) ხელი შეუშალეს კამპანიის უფრო ფართოდ გაშლას. ეს პირობები რომ არა, ალბად მეტი ხმა შეგროვდებოდა. მაგრამ კომპარტიამ ეხლაც შესძლო მასების ამოძრავება და მათ წინაშე ომის საფრთხის პრობლემის წამოყენება.

„პრავდას“-ს მიმოხილვიდან.

მოსკოვი, 18 ოქტომბერი.

წყალთა მეურნეობის მოწესრიგება მებამბეობის რაიონებში

მოსკოვი, 18 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭომ განიხილა ის ღონისძიებანი, რომელნიც დაკავშირებულნი არიან წყალთა მეურნეობის მოწესრიგებასთან საბჭოთა კავშირის მებამბეობის რაიონებში. სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო, რომ მოკავშირე რესპუბლიკების მებამბეობის რაიონებში წყალთა მეურნეობის ნაგებობათა მშენებლობის გეგმაში შეტანილ იქნას ის დიდი სამუშაოები, რომლებიც ამჟამად დაწყებულია, აქვთ დამტკიცებული პროექტები და ხარჯთაღრიცხვები და რომელთა ეფექტიურობის საკითხი გამორკვეულია. წყალთა მეურნეობის საგეგმო ორგანოებს წინადადება ეძლევათ მუშაობის გეგმის შედგენის დროს მხედველობაში მიიღონ მიტოვებული სარწყავი მიწების მოკლე დროში აღდგენის საჭიროება. ამასთან ერთად წყალთა მეურნეობის ორგანოებმა ყოველი ზომა უნდა მიიღონ ბამბის ნათესის სივრცის მაქსიმალურად გაფართოებისათვის. შემდგომი მშენებლობისათვის მოსამზადებლად მაქსიმალურად უნდა გაძლიერდეს წინა წლების გამოკვლევებით მიღებული მასალის დამუშავება, აგრეთვე უნდა გაძლიერდეს ახალი კვლევაძიებაც. სახკომსაბჭომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმას, რომ დაჩქარებულ იქნას რაიონული წყალთა მეურნეობის სქემების დამუშავება.

სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო, რომ 1928-29 წელს უცხოეთში გაიგზავნონ წყალთა მეურნეობის ახალგაზრდა სპეციალისტები კვალიფიკაციის ასაწევად. ამასთან ერთად შუა-აზიის და ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოებს წინადადება მიეცათ მიიღონ ზომები ახალგაზრდა სპეციალისტების დაწინაურებისათვის აგრეთვე ადგილობრივ სამუშაოდ მიიწვიონ სპეციალისტები მოსკოვიდან და საბჭოთა კავშირის სხვა ცენტრებიდან.

სახკომსაბჭომ დაავალა წყალთა მეურნეობის ორგანოებს, რომ ირიგაციის უმნიშვნელოვანეს საკითხების განხილვაში მონაწილეობა მიაღებინონ მთელ საბჭოთა საზოგადოებრიობას. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიას წინადადება მიეცა წყალთა მეურნეობის საპერსპექტივო გეგმის შედგენის დროს პირველ რიგში შეიმუშაოს კვლევაძიებისა და პროექტების მტკიცე კალენდარული პროგრამა, რომელიც უნდა ემყარებოდეს მებამბეობის განვითარების გენერალურ გეგმას.

ბამბის ნათესების გაფართოების ამოცანა უნდა ხორციელდებოდეს არა მარტო ირიგაციის მეთოდებით, არამედ საერთო სამეურნეო და აგრიკულტურული ღონისძიებებით. ირიგაციის გეგმები მჭიდროდ უნდა იყვნენ დაკავშირებულნი მოკავშირე რესპუბლიკების საერთო სამეურნეო გეგმებთან. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ სარწყავ მიწებზე მოეწყოს კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი. წყალთა მეურნეობის სამუშაოების ფინანსებით უზრუნველსაყოფად საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო დაინტერესებულ სამეურნეო ორგანოთა საშუალებების გამოყენება. ამ მიზნით უნდა შეიქმნან სახელმწიფო სააქციო საზოგადოებები სარწყავი მიწების საექსპლოატაციოდ შუა-აზიაში და ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკაში.

საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭომ დაამტკიცა წყალთა მეურნეობის სამუშაოებისათვის ფინანსების მიწოდების გეგმა, რომლის მიხედვითაც 1928-29 წლის პირველ კვარტალში მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტით გადაიდება 8,314.100 მანეთი, აქედან ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკაში სამუშაოდ—1.709.000 მან. და შუა-აზიაში და კაზაკსტანში სამუშაოდ — 6.525.100 მან.

საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია წყალთა მეურნეობის სამუშაოებზე შრომის პირობების გაუმჯობესებას. შუა-აზიის და ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოებს, შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოებს პროფორგანიზაციებთან ერთად, დაევალათ სასწრაფოდ შეუდგნენ შრომის პირობების მოწესრიგებას და გაუმჯობესებას წყალთა მეურნეობის სამუშაოებზე. მათ უნდა შეიმუშაონ და ცხოვრებაში გაატარონ ღონისძიებები მუშათა საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად, მათთვის სურსათის მისაწოდებლად. საექიმო დახმარების მოსაწყობად, მათ შორის კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის საწარმოებლად და სხვ. (ადს)

ტრესტის და წარმოების ურთიერთობის გადასინჯვა

წარმოების და ტრესტის სწორი ურთიერთ დამოკიდებულება სამეურნეო მუშაობის გაჯანსაღების ერთ ფრიად მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს. წარმოების გაუმჯობესების საქმეში ამ ურთიერთობის მიზანშეწონილად ჩამოყალიბებას შეუძლია საგრძნობი როლი ითამაშოს. ცალკე საწარმოო ერთეულის მუშაობა შეფერხდება, თუ წარმოების საქმეში ხელმძღვანელობის მაგივრად ტრესტი წვრილმან საქმეებში ერევა, თუ წარმოების ადმინისტრაცია უმნიშვნელო საკითხებშიც დამოკიდებულია ტრესტისაგან და მის დაუკითხავად არ შეუძლია ნაბიჯის გადადგმა. ტრესტში შემავალ წარმოების ადმინისტრაცია განსაზღვრულ ფარგლებში უნდა იყოს თავისუფალი, რომ მან გამოიჩინოს ინიციატივა და რომ ფორმალური პასუხისმგებლობის მაგივრად ის არსებითად იყოს პასუხისმგებელი ამ წარმოების მუშაობისათვის. მთლიანად წარმოების ყველა საკითხის გადაჭრის საქმის ტრესტში ცენტრალიზაცია ყოველგვარ ინიციატივას უკარგავს წარმოების ხელმძღვანელს, ხდის მას უშუალო ტეხნიკურ მომუშავეთ, რომელიც აკეთებს მხოლოდ იმას, რასაც მას უბრძანებენ. ასეთ პირობებში არა მარტო ხელი შეეშლება წარმოების რაციონალიზაციას, არამედ, პირიქით, ამ წვრიმალ ჩარევამ შეიძლება გამოიწვიოს მუშაობის გაუარესება და ზარალიც. ამის მაგალითები ჩვენს სინამდვილეში ხშირია.

წარმოებათა უფლებების გაფართოების საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ამის შესახებ გასულ 1927 წლის ივნისში საკავშირო მთავრობამ სპეციალური დეკრეტი გამოსცა. წარმოებების უფლებები ამ დეკრეტით საგრძნობლად ფართოვდება ტრესტების ხარჯზე. ტრესტში შემავალი თვითეული წარმოება წარმოადგენს ცალკე სამეურნეო ერთეულს, რომელიც თავის საკუთარ სამეურნეო ანგარიშზე არსებობს. დამოკიდებულება ტრესტსა და წარმოებას შორის დაფუძნებულია დაკვეთის სისტემაზე. ტრესტი სამეურნეო წლის დასაწყისში წარმოებასთან შეთანხმებით აწესებს, თუ რამდენი და რა სახის პროდუქცია უნდა გაკეთდეს ამ წარმოებაში. შემდეგ წინასწარ გათვალისწინებულ თვითღირებულებით წარმოება ტრესტს აბარებს თავის პროდუქციას. წარმოების ხელმძღვანელი (დირექტორი) სრულიად თავისუფალია ადმინისტრატიულ-ტეხნიკურ პერსონალის შერჩევის საქმეში. ეს საშუალებას აძლევს დირექტორს იყოლიოს ისეთი თანამშრომლები, რომელთაც ის სავსებით ენდობა.

ხსენებული დეკრეტის მიხედვით წარმოების ადმინისტრაცია დამოუკიდებლად აწარმოებს წვრილ და საშუალო რემონტს, იმ თანხების ფარგლებში, რომლებიც დამტკიცებული იყო წლის დასაწყისში საწარმოო-ფინანსიური გეგმით. ამჟამად წვრილი და საშუალო შეკეთების საკითხი ყოველ კერძო შემთხვევაში სწყდება ტრესტში. ასეთი წესი ხელს უწყობს საქმის გაჭიანურებას და წარმოებას ზარალს აყენებს, ვინაიდან წარმოების დროზე შეუკეთებლობა მუშაობის პროცესის შეფერხებას იწვევს.

ნედლი და დამხმარე მასალების მიწოდების საკითხიც მწვავედ სდგას ჩვენს წარმოებებში. ხშირია შემთხვევები, როცა წარმოება სდგას ან მთლიანად ან ნაწილობრივად ნედლი და დამხმარე მასალების დროზე მიუწოდებლობის გამო. მასალების მიწოდების საქმის ცენტრალიზაცია ტრესტში, როგორც წესი, მიზანშეწონილია, მაგრამ შესაძლებელია ამ საქმის ნაწილობრივი დეცენტრალიზაცია და წარმოებათათვის გადაცემა. ეს დააჩქარებს მასალების მომარაგებას და შეამცირებს წარმოებათა შეჩერებას, რასაც მასალების უქონლობა იწვევს. ტრესტის ხელში უნდა დარჩეს მხოლოდ ისეთი მასალების მომარაგება—მიწოდების საქმე, რომელთა დამზადება წარმოებებს არ ძალუძთ და რომელნიც მოითხოვენ შორეულ ადგილებში დამზადებას. მომარაგების საკითხში ამჟამად ადგილი აქვს გადაჭარბებულ ცენტრალიზაციას. ამ მხრივ ანეგდოტურ შემთხვევებსაც აქვს ადგილი. (ზოგიერთ წარმოებებში უბრალო ლურსმნის ყიდვის უფლება არ აქვთ ტრესტის ნებადაურთველად).

არსებული კანონით წარმოების განკარგულებაში უნდა დარჩეს იმ ეკონომიის განსაზღვრული ნაწილი, რომელსაც წარმოება ღებულობს ნავარაუდევ თვითღირებულების უფრო მეტი შემცირებით. მაგალითად, თუ წლის დასაწყისში ტრესტმა რაიმე ნაწარმოების ერთეულის თვითღირებულება ივარაუდა, ვსთქვათ, 1 მ. 50 კ. და წლის განმავლობაში წარმოების ადმინისტრაციის ღონისძიებებით ეს ნაწარმოები უფრო ნაკლები დაჯდა,—განსხვავება ნავარაუდევსა და ფაქტიურ თვითღირებულების შორის დარჩება წარმოების ადმინისტრაციის სრულ განკარგულებაში. ეს თანხა შეიძლება მოხმარდეს წარმოების გაუმჯობესებას, რაციონალიზაციის ღონისძიებათა გატარებას და აგრეთვე მუშათა ყოფა ცხოვრების და კულტურულ მდგომარეობის გაუმჯობესებას. ეს კანონი თითქმის არც ერთ წარმოებაში არ ტარდება. მნიშვნელობა მას კი ფრიად დიდი აქვს. ის ხელს შეუწყობს თვითღირებულების უფრო ჩქარი ტემპით შემცირებას.

მუშათა გამოგონების და გამოგონებათა წახალისების საკითხებსაც, ხსენებულ დეკრეტის თანახმად, უნდა სწყვეტდეს წარმოების ადმინისტრაცია დამოუკიდებლივ. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როცა გამოგონების გატარებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი თანხები, საკითხი უნდა გადატანილ იქნეს ტრესტში. არც ამ მხრივ სრულდება კანონი. წარმოებებს გამოგონებათა გამოყენების საკითხებში არავითარი უფლებები არ აქვთ. ტრესტში კი ამ საკითხების გადაჭრა მეტად ჭიანურდება, რაც წარმოების რაციონალიზაციის საქმეს აფერხებს და ახშობს მუშათა ინიციატივას.

სამუშაოთა ნორმების და შეფასებათა დაწესების საქმის ტრესტებში თავმოყრა ზიანს აყენებს ჩვენს წარმოებებს. ტრესტებში გამომუშავებული ნორმები ხშირად არ შეეფერებიან რეალურად არსებულ პირობებს, რასაც მოსდევს მუშაობის არევ-დარევა და შრომის ნაყოფიერების დაცემა.

მიუხედავად იმისა, რომ კანონი წელიწადზე მეტი არის გამოცემული, საქართველოში მის გატარებაზე სამეურნეო ორგანოები ჯერ-ჯერობით არც ფიქრობენ. ტრესტების აპარატებს არ სურთ ამ კანონის ცხოვრებაში გატარება, ვინაიდან ის მათ უფლებებს საზღვრავს და თვით აპარატებს ამოკლებს. წარმოების დირექტორებიც ამ საკითხს არ სვამენ, რომ არ გააფუჭონ პირადი დამოკიდებულება ტრესტთან. ზოგიერთ წარმოების დირექტორმა სრულებით არ იცის ამ კანონის არსებობა.

ვინაიდან აღნიშნულ კანონს ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს წარმოების გაუმჯობესებისათვის, საჭიროა მისი სასწრაფოდ გატარება. ამ საქმეში მუშათა მასებმა უნდა მიიღონ აქტიური მონაწილეობა. საკავშირო პროფსაბჭოსა და მუშა-გლეხთა ინსპექციის დავალებით ეს საკითხი გადატანილ უნდა იქნეს მუშათა მასებში და საწარმოო თათბირების საშუალებით გამომჟღავნებული იქნეს, თუ სად არ ტარდება კანონი, რა ზარალი მოაქვს ტრესტების გადაჭარბებულ ცენტრალიზაციას და ცალკე წარმოებათა ინიციატივას და თვითმოქმედების შეზღუდვას.

ს. გოდაბრელიძე.

უკანასკნელი ცნობები

ლოძის მუშების გაფიცვა

ლოძში მდგომარეობა არ შეცვლილა

ვარშავა, 19 ოქტომბერი. გუშინ ლოძში მდგომარეობა უცვლელი იყო. გუშინ დილას გაფიცვას საბოლოოდ შეუერთდნენ ვიძევის მანუფაქტურის მუშები. დღეს ლოძში გაიფიცნენ პარიკმახერები. ლოძის ტრამვაის მუშებმა გუშინ მიტინგზე კვლავ გადასწყვიტეს განაგრძონ გაფიცვა, სანამ საყოველთაო გაფიცვა არ შესწყდება პროფკავშირების განკარგულებით. პროფკავშირთა საოლქო კომისიის დადგენილებით, გუშინ გაფიცვა შესწყვიტეს საავადმყოფო კასის მოსამსახურეებმა. მუშაობას შეუდგა შეუკავშირებელი კელნერების, თეატრების მოსამსახურეების და საზოგადოებრივ სამიწათმოქმედო სამუშაოში ჩაბმულ უმუშევართა ნაწილი. ლოძის მელითონეები, რომლებიც პირველი დღიდანვე შეუერთდნენ საყოველთაო გაფიცვას, მოითხოვდნენ ხელფასის გადიდებას 20 პროცენტით. მრეწველებმა ეს მოთხოვნა უარჰყვეს. მაშინ მელითონეთა დელეგატებმა განაცხადეს, რომ ამიერიდან მელითონეები გაფიცულნი არიან არა მარტო ფეიქრებისადმი სოლიდარობის ნიშნად, არამედ საკუთარი მოთხოვნის დასაცავად. შტრეიკბრეხერთა ორგანიზაციები, რომლებიც გრძნობენ, რომ მათი ცდები ლოძში სრულიად უმიზნოა, ყველ ღონისძიებას მიმართავენ, რომ ჩაშალონ გაფიცვა ლოძის ოლქში. (ადს).

მასების ზეგავლენით

ვარშავა, 18 ოქტომბერი. პროფკავშირთა საოლქო კომიტეტმა ბელოსტოკში ხვალისათვის გამოაცხადა ფეიქართა გაფიცვა. კომიტეტმა გაფიცვა გამოაცხადა მუშათა მასების ზეგავლენით. მუშებმა მოითხოვეს ლოძის ფეიქრებისათვის თანაგრძნობის გამოცხადება. ჟირარდოვის ფაბრიკაში მუშებმა იტალიური გაფიცვა გამოაცხადეს ფაბრიკის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ, თუ გაფიცვა გაგრძელდა, ლოკაუტს გამოუცხადებს მუშებს.

საყოველთაო გაფიცვის მოთხოვნა პოლონეთში

ვარშავა, 18 ოქტომბერი. მრავალმა პროფკავშირმა მოსთხოვა პროფკავშირთა ცენტრალურ კომისიას, რომ ლოძის ფეიქრებისათვის მხარის დასაჭერად მთელ პოლონეთში გამოცხადდეს საყოველთაო გაფიცვა. კომისიას პროფკავშირთა ეს მოთხოვნა უკვე რამდენიმე დღის წინად წარედგინა, მაგრამ ჯერ კიდევ არ განუხილავს იგი. მუშათა მემარცხენე წრეების აზრით, კომისია იმიტომ აყოვნებს ამ მოთხოვნის განხილვას, რომ იმედი აქვს არბიტრაჟის საშუალებით ჩაშალოს ლოძის ფეიქართა გაფიცვა. მიუხედავათ პოლონეთის სოციალისტური პარტიის წევრთა ენერგიულ წინააღმდეგობისა, ვარშავაში დიდი ფაბრიკის „ვოლია“-ს შემდგომ ლოძის ფეიქართა გაფიცვას შეუერთდნენ წვრილი საფეიქრო წარმოების მუშები. ვარშავის მელითონეებმა ეკონომიური მოთხოვნილება წარუდგინეს მწარმოებლებს. პოლონეთის სოციალისტური პარტიის წევრები ყოველ ღონეს მიმართავენ რომ არ დაუშვან გაფიცვის გამოცხადება. (ადს).

საალყო წესები ლოძში

ვარშავა, 18 ოქტომბერი ლოძში საალყო წესებია დამყარებული, თუმცა ეს ფორმალურად გამოცხადებული არ არის. ქალაქის ქუჩებს იცავენ პოლიციის რაზმები. გამვლელებს გაჩერების ნებას არ აძლევენ. პოლიციის პატრულები მცირე ჯგუფებსაც კი დაუყოვნებლივ ფანტავენ. პოლონეთის სოციალისტური პარტიის ცდამ, რომ ჩაეშალა გაფიცვა არბიტრაჟის საშუალებით, აღშფოთება გამოიწვია, რასაც მოჰყვა რამდენიმე შეტაკება. პროფკავშირთა ორგანიზაციების შენობებში არ უშვებენ იმ მუშებს, რომლებზედაც ეჭვი აქვთ, რომ ისინი მემარცხენეები არიან. გაფიცულებმა, რომლებიც პროფკავშირების შენობის წინ შეიკრიბენ, აიძულეს ფეიქართა პროფკავშირის თავმჯდომარე—პოლონეთის სოციალისტური პარტიის წევრი შერკოვსკი გაეკეთებია საანგარიშო მოხსენება, მაგრამ შერკოვსკის გარშემო მყოფი მუშები იმდენად აღელვებულნი იყვნენ, რომ შერკოვსკიმ ვერ ილაპარაკა. მოსულმა კომუნისტებმა საშუალება მისცეს შერკოვსკის ეთქვა სიტყვა, მაგრამ მან სიტყვა მაინც ვერდაამთავრა. მუშებმა „ინტერნაციონალის“ სიმღერით შეაწყვეტინეს სიტყვა. ლოძის სასაკლაოში მოხდა შეტაკება შტრეიკბრეხერებისა და გაფიცულებს შორის. შეტაკების დროს დანით დასჭრეს სასაკლაოს ექიმი. პოზნანსკის ფაბრიკის წინ შესდგა მუშების დემონსტრაცია, რომელსაც კომუნისტები ხელმძღვანელობდნენ. დემონსტრაცია შესდგა აგრეთვე იმ სახლის წინ, რომელშიაც მოთავსებულია პროფკავშირთა საოლქო კომისია. დემონსტრანტები პოლიციამ გაფანტა. აღნიშნავენ, რომ პოლიციასთან შეტაკებების დროს მუშების წინააღმდეგობა ყველგან ძლიერდება. გაფიცულნი უკიდურეს გაჭირვებას განიცდიან. ქალაქის თვითმმართველობა გაფიცულებს ყოველდღე აძლევს პურის 5.000 ულუფას და 10.000 სადილს, მაგრამ ეს წვეთია სილატაკის ზღვაში. მუშათა ორგანიზაციებისაგან დახმარება გვიანდება. მუშების ღარიბული საოჯახო მოწყობილობა ჩალის ფასად იყიდება ბაზარზე.

„კურიერ პორანი“-ს ლოძელი კორესპონდენტი სწერს, რომ საღამოობით მხოლოდ ქალაქის ცენტრია განათებული. ქალაქის ყველა მეორეხარისხოვანი ქუჩა და განაპირა უბანი ბნელით არის მოცული. ქუჩებში ავტომობილები არ სჩანან. კორესპონდენტი სწერს, რომ მან ძლივს მოახერხა ავტომობილის შოვნა და როდესაც ქალაქში დადიოდა, მუშები მას უყვიროდნენ: „ბუჟუი“; ალბად მთავრობის დელეგატია, ვარშავიდან ჩამოსულიო“-ო.

შემდეგ კორესპონდენტი აწერს მშიერ და გამხდარ მუშებს, რომლებიც ხარბად ეტანებიან ქალაქის თვითმმართველობის მიერ დარიგებულ პურს. კორესპონდენტი ამტკიცებს, რომ მუშები მევახშეებს მყიდიან თავიანთ ღარიბულ საოჯახო მოწყობილობას, მაგრამ კაპიტულიაციაზე არ ფიქრობენო. კორესპონდენტი აწერს რევოლიუციონური განწყობილების ზრდას მუშათა მასებში. ის სწერს: „ლოძის ქუჩებში თანდათან უფრო ხშირად გაისმის ხმები—გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს! გაფიცულთა აღელვება თანდათან ძლიერდება“. (ადს).

მუშათა სახალხო პარტიაც ღალატობს გაფიცვებს

ვარშავა, 18 ოქტომბერი. როგორც ლოძიდან იუწყებიან, პოლონეთის სოციალისტურ პარტიას გაფიცვის ჩაშლის საქმეში უკვე უწევს დახმარებას მუშათა სახალხო პარტიაც. მუშათა სახალხო პარტიის წევრები ურჩევენ მუშებს გაფიცვის შერბილებას, ვინაიდან მრეწველებსა და მუშების წარმომადგენლებს შორის უკვე დაიწყო მოლაპარაკება შრომის სამინისტროში. საგაფიცვო კომიტეტმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც მკიცხავს მუშათა სახალხო პარტიის სამარცხვინო შტრეიკბრეხერულ ცდებს. მუშათა მასების ზეგავლენით ასეთივე რეზოლიუცია ძალაუნებურად მიიღო პროფკავშირთა საოლქო კომისიამაც, რომელიც პოლონეთის სოციალისტური პარტიის წევრებისაგან შესდგება“. (ადს).

შეღავათები კერძო საამშენებლო კანტორებს

მოსკოვი, 10 ოქტომბერი. საბინაო მშენებლობაში კერძო კაპიტალის გამოსაყენებლად, საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა, რომ კერძო საამშენებლო კანტორები, საამშენებლო მასალის დამამზადებელი კერძო [illegible] და საურთიერთო საამშენებლო კრედიტის კერძო საზოგადოებები დაიბეგრებიან საშემოსავლო გადასახადით იმავე წესით, რომელიც მიღებულია სახელმწიფო წარმოებებისა, კოოპერატიული ორგანიზაციებისა და ისეთი სააქციო საზოგადოებებისათვის, რომლებშიაც მონაწილეობას იღებენ სახელმწიფო ან კოოპერატიული კაპიტალი.

საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა შესაძლებლად სცნო აგრეთვე მიენიჭოს საერთო-საქალაქო საბინაო-საამშენებლო კოოპერატივებს უფლება—ის შენობები და ნაგებობანი, რომელნიც მათ ეკუთვნით, დააგირაონ კერძო საურთიერთო საამშენებლო-საკრედიტო საზოგადოებებს, რომლებშიაც ისინი წევრად შედიან. (ადს).

ამხ. პიატაკოვის დანიშვნა

მოსკოვი, 18 ოქტომბერი. საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა, სავაჭრო წარმომადგენელი საფრანგეთში ამხ. **პიატაკოვი** დანიშნოს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის თავმჯდომარის მოადგილედ და ფინსახკომის კოლეგიის წევრად. (ადს).

მრეწველობის განვითარების პერსპექტივები

თურქესტან-ციმბირის რკინის გზის რაიონში

მოსკოვი, 18 ოქტომბერი. თურქესტან-ციმბირის რკინის გზის გაყვანის ხელშემწყობი კომიტეტის პრეზიდიუმმა მოისმინა რ.ს.ფ.ს.რ.-ის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მოხსენება თურქესტან-ციმბირის რკინის გზის რაიონში მრეწველობის განვითარების პერსპექტივების შესახებ უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში. სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოს გეგმაში, პირველ ყოვლისა, ყურადღება აქვს მიქცეული ხე-ტყის მრეწველობის განვითარების საჭიროებას. ცემენტის დამუშავების გასაძლიერებლად სახ. მეურნ. უმაღლ. საბჭოს განზრახული აქვს ცემენტის დიდი ქარხნების აგება ყირგიზეთისა, კაზახსტანისა და ნოვო-სიბირსკში. ცხვრის ტყავის მრეწველობა თურქესტან-ციმბირის რკინის გზის რაიონის ერთ-ერთი ძირითადი დარგია. ამჟამად უკვე თავდება სემიპალატინსკის ქარხნის აგება 100.000 ტყავისათვის. ნავარაუდევია ქარხნის აგება აგრეთვე ალმა-ატაში; იქვე განზრახულია ფეხსაცმელის ფაბრიკის აგება. ყირგიზთა რესპუბლიკაში მალე დამთავრდება ტყავეულობის ქარხნის აგება 40.000 ტყავისათვის და სხვ.

მთავრობის დადგენილებით, რკინის გზის გაყვანილობა უნდა დამთავრებულიყო 1931 წელს. ახლა კი, თურქესტან-ციმბირის რკინის გზის რაიონების ეკონომიკის განვითარების გამო, აღძრულია საკითხი, რომ იგი დამთავრდეს 1930 წლის დამლევისათვის. (ადს)

ფოსტა-ტელეგრაფის მუშაობის გაუმჯობესებისათვის

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას წერილი

მოსკოვი, 18 ოქტომბერი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკამ გამოაქვეყნა წერილი პარტკომების მიმართ ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებათა მუშაობისადმი ყურადღების გაძლიერების შესახებ. წერილს ხელს აწერს ცეკას მდივანი ამხ. კაგანოვიჩი. წერილში ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირისათვის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის როლი თვალსაჩინოდ იზრდება არა მარტო ტეხნიკის დარგში, არამედ პოლიტიკურ დარგშიაც, აგრეთვე კულტურული რევოლიუციის გატარების საქმეში. ამავე დროს ადგილებზე ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის მეურნეობა და მუშაობა საკმაოდ არ არის დაკავშირებული ადგილობრივ საბჭოთა და პარტიულ ორგანიზაციებთან. პარტკომები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ ამ უმნიშვნელოვანეს საქმეს. ამიტომ ცეკა წინადადებას იძლევა: მეტი ყურადღება მიექცეს მშენებლობის საკითხებს ფოსტა-ტელეგრაფის მეურნეობის დარგში, რეალური დახმარება გაეწიოს ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის მუშაობას, უფრო ძლიერი კანტროლი გაეწიოს ფოსტა-ტელეგრაფის ადგილობრივი დაწესებულებების, კონტორების და საოლქო სამმართველოების ადმინისტრაციის მუშაობას, გადამჭრელი ბრძოლა ჩატარდეს იმ დეფექტების აღმოსაფხვრელად, რომლებიც აფერხებენ ფოსტა-ტელეგრაფის მეურნეობის წარმატებით განვითარებას, მიღებულ იქნას ყოველი ზომა ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებების, საოლქო კანტორების და საოლქო სამმართველოების ხელმძღვანელი შემადგენლობის გასაძლიერებლად ისეთი მუშაკებით, რომლებსაც აქვთ სამეურნეო და პოლიტიკური გამოცდილება, და უზრუნველყოფილ იქნას პარტიული ხელმძღვანელობა რადიო-გადაცემის საქმეში.

ხის დამმუშავებელთა ყრილობა

სატყეო მრეწველობის ტრესტის მუშაობა

სატყეო ტრესტის მუშაობის შესახებ ყრილობაზე მოხსენებით გამოვიდა ტრესტის თავმჯდომარე ამხ. **ნ. ბრეგვაძე**.

თავის მოხსენებაში ამხ. ბრეგვაძე აღნიშნავს, რომ 1927-28 სამეურნეო წლის განმავლობაში სატყეო ტრესტი სცდილობდა აღმოეფხვრა ის დეფექტები, რომლებიც შემჩნეული იყო სატყეო მრეწველობის წარმოებებში. ნაწილობრივათ ტრესტმა ამ მიზანს კიდევაც მიაღწია: სახერხმა ქარხნებმა გასული საანგარიშო წლის განმავლობაში პროგრამა შეასრულეს 107 პროცენტით; თბილისის ავეჯის ფაბრიკაში პროგრამა შესრულებულ იქნა სრული ასი პროცენტით, წინანდელთან შედარებით პროდუქცია გადიდებულია 45 პროც.

გარდა ამისა მთელ რიგ წარმოებებში, სამუშაო პროგრამის შესრულებასთან ერთად შესაძლებელი გახდა პროდუქციის თვითღირებულების დაკლებაც, ასე, მაგალითად ბორჯომის სატკეპნ ქარხანაში ტკეპნის კომპლექტი 1926-27 წელს ჯდებოდა 1 მ. 73 კაპ. გასულ საანგარიშო წელს ღირებულება დაყვანილ იქნა 1 მ. 69 კაპეიკამდე.

განვლილი ხუთი წლის განმავლობაში ტრესტის მუშაობა ასეთ სურათს იძლევა: შემოსა და ნედლი ხე-ტყის მასალის დამზადებამ იმატა 452 პროცენტით, ხე-ტყის წარმოებათა საერთო პროდუქცია გაიზარდა 983 პროცენტით, ხოლო ტრესტის წარმოებათა ძირითადი კაპიტალი — 700 პროცენტით. შრომის ხელფასი ამავე დროის განმავლობაში იძლევა ზრდას 140 პროცენტით.

გასული საანგარიშო წლების განმავლობაში ტრესტი ფინანსიურ დაბრკოლებებს განიცდიდა, მაგრამ უკანასკნელ თვეებში მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა და ახალი წლის დასაწყისისათვის უკვე დაფარული იყო ტრესტის დავალიანებათა დიდი ნაწილი. თავის მუშაობაში ტრესტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა საგარეო ვაჭრობის საქმეს. ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატთან დადებული ხელშეკრულებით გასულ წელს საზღვარგარეთ უნდა ყოფილიყო გატანილი 160.000 მანეთის ხე-ტყის მასალა. მიუხედავად იმისა, რომ შექმნილი ობიექტიური პირობების წყალობით ტრესტს არ შეეძლო ეს პირობა შეესრულებია სავსებით, მაინც საგანგებოთ მიღებული ღონისძიებების წყალობით ტრესტმა შესძლო ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატისთვის ჩაებარებია 190000 მან. ხე-ტყის საექსპორტო მასალა.

დასასრულ მომხსენებელი შეეხო იმ ღონისძიებებს, რომელთაც ღებულობს ტრესტი არსებულ წარმოებათა, მუშაობის გასაუმჯობესებლად.

შემდეგ ყრილობამ მოისმინა ინჟ. ავალიანის თანამოხსენება სატყეო მრეწველობის 5 წლიანი პერსპექტიული გეგმის შესახებ.

პარტიაში

საქ. კ. პ. (ბ) ა.-კავკ. საოლქო კომიტეტის პლენუმი

გუშინ მთელი დღის განმავლობაში, გრძელდებოდა კამათი ამხ. **რუბენის** მოხსენების გარშემო. გამოვიდა ოცდაათამდე ორატორი. საღამოს სხდომა დამთავრდა ამხ. რუბენის საბოლოო სიტყვით.

დღეს, დილის სხდომაზე მოსმენილი იქნება ამხ. **სუტირინის** მოხსენება პარტიის პოლიტიკის შესახებ მხატვრულ ლიტერატურაში.

პარტკომების მდივნების გადამზადება

მოსკოვი, 18 ოქტომბერი. პარტორგანიზაციების მდივანთა შემადგენლობის დამატებითი შევსებულების უფრო მიზანშეწონილად გამოყენებისათვის და მათი კვალიფიკაციის გაძლიერებისათვის, ც.კ.-მა დაადგინა: მოეწყოს უმაღლეს კომუნისტურ სასწავლებლებთან და საბჭოთა-პარტიულ სკოლებთან მუდმივი თვენახევრიანი კურსები — კონფერენციები, რომელზედაც წინასწარი მომზადება მსმენელთა დაუსწრებლად იწარმოებს. საოლქო და საგუბერნიო კომიტეტების მდივნების გადამზადების საქმე მოეწყობა მოსკოვში, მარქსიზმის კურსებთან და კომუნისტურ აკადემიასთან. კურსებზე მეცადინეობამ უნდა უზრუნველჰყოს დაუსწრებლად მომზადების განმტკიცება, თვით კურსანტების მიერ თავისუფლად ამორჩეულ სხვადასხვა თეორეტიული დისციპლინების შესწავლა, პარტმშენებლობისა და პარტიის მიმდინარე პოლიტიკის, ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის ტეხნიკის, მრეწველობის და კულტურული მშენებლობის საკითხთა დამუშავება საბჭოთა კავშირის შესაფერი ოლქისა ან რაიონის თავისებურებათა გათვალისწინებით.

ც.კ.-მა დაავალა ც.კ.-ის საგიტაციო-საპროპაგანდო და ბეჭდვითი განყოფილებას, მოაწყოს უმაღლეს კომუნისტურ სასწავლებლებთან დაუსწრებელი მეცადინეობა იმ ვარაუდით, რომ მუშაობა ამ დარგში დაწყებულ იქნას 1928 წლის ნოემბრიდან.

ც.კ.-მა დაამტკიცა კურსების შემდეგი ქვედა ხელმძღვანელი პარტაქტივის (საფაბრიკო-საქარხნო უჯრედების, თემკომების, სასოფლო-სარაიონო კომიტეტების, ქალაქის სარაიონო კომიტეტების და სამაზრო კომიტეტების მდივნების) კვალიფიკაციის ასამაღლებლად: ლენინგრადში — კომუნისტურ უნივერსიტეტთან — კურსანტების წლიური კონტინგენტი — 400 კაცი; მოსკოვში—სვერდლოვის უნივერსიტეტთან — 1.125 კაცი; სვერდლოვსკში — კომუნისტურ უნივერსიტეტთან — 400 კაცი; როსტოვში — კომუნისტურ უნივერსიტეტთან — 225 კაცი; ხარკოვში — კომუნისტურ უნივერსიტეტთან— 750 კაცი; ტაშკენტში — კომუნისტურ უნივერსიტეტთან — 20 კაცი; კზილორდაში — საბჭოთა პარტიულ სკოლასთან — 175 კაცი; ყაზანში — კომუნისტურ უნივერსიტეტთან — 150 კაცი; ტომსკში — საბჭოთა პარტიულ სკოლასთან — 400 კაცი; ხაბაროვსკში — საბჭოთა პარტიულ სკოლასთან — 100 კაცი; ვორონეჟში — საბჭოთა პარტიულ სკოლასთან — 250 კაცი; სარატოვში — კომუნისტურ უნივერსიტეტთან — 200 კაცი; სამარაში — საბჭოთა პარტიულ სკოლასთან— 175 კაცი; თბილისში — კომუნისტურ უნივერსიტეტთან — 350 კაცი.

ამგვარად, ქვედა ხელმძღვანელ პარტაქტივის კვალიფიკაციის გაძლიერების საქმეში მიმდინარე სასწავლო წელს ჩაბმული იქნება 5.650 კაცი. საოლქო კომიტეტებისა და საგუბერნიო კომიტეტების მდივანთა კურსებზე (მარქსიზმის კურსებთან და კომუნისტურ აკადემიასთან) წლიური კონტინგენტი დამტკიცებულია 100 კაცის რაოდენობით. (ადს)

ქალთა განყ. გამგ. რესპუბლიკანური თათბირი

გლეხ-ქალთა ჩაბმა კოოპერაციაში

(ამხ. დუგლაძის მოხსენება)

18 ოქტომბერს დილის სხდომაზე ამხ. დუგლაძემ გააკეთა მოხსენება გლეხ-ქალთა სას. სამ. კოოპერაციაში შეკავშირების შესახებ.

დღიდან სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის არსებობისა—ამბობს მომხსენებელი, —ქალთა კოოპერაციაში შეკავშირების საკითხი პირველად ისმება იმ მომუშავეთა თათბირზე, რომლებიც ამ ღონისძიების პრაქტიკულ გამტარებლებად ითვლებიან.

დღემდე ჩვენი მუშაობა ქალთა კოოპერატიულად შეკავშირების დარგში ზოგად ხასიათს ატარებდა. ეს მუშაობა მხოლოდ იმით ამოიწურებოდა, რომ 8 მარტის დღესასწაულის დროს ვაკრავდით პლაკატებს და დეკლარატიულად ვლაპარაკობდით ქალთა კოოპერატიულ შეკავშირების მნიშვნელობაზე.

ამ მიზეზის გამო ამჟამად კოოპერატიულ მოძრაობაში ჩაბმული ქალთა რაოდენობა სრულებით არ შეეფერება იმ როლს, რომელსაც ქალები თამაშობენ სოფლის მეურნეობაში საქართველოს პირობებში.

მომავალში, იმისათვის, რომ უფრო ჩქარის ტემპით წავიდეს ღარიბ გლეხ-ქალთა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში გაერთიანება, საჭიროა როგორც „სოფლის კავშირში“, ისე „კოლმეურნეობათა ცენტრში“ ვიყოლიოთ სპეციალური მუშაკები ქალთა შორის სამუშაოდ. სხვა გზით შეუძლებელია რაიმე ნაყოფიერ შედეგების მიღწევა ამ დარგში.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქალთა მარტო კოოპერატიული შეკავშირება არაა საკმარისი, საჭიროა მიღებული იქნეს მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი კოოპერაციაში ჩაბმულ ქალთა მასების აქტივობის გასაცხოველებლად და ასაწევად. უნდა ვაწარმოოთ კულტურულ განმანათლებელი მასიური მუშაობა კოოპერაციის წევრ-ქალთა შორის, ამისათვის აუცილებელია სისტემატიურად იწვეოდეს [illegible] თათბირები სათანადო დღის წესრიგის შერჩევით.

ქალთა სადელეგატო კრებები უნდა გადაიქცნენ იმ ძირითად უჯრედებათ, რომლებიც მოამზადებენ კოოპერატიულ მუშაკებს ქალებიდან.

ამხ. დუგლაძის მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო ამხ. თევზიშვილმა, ლეთოდიამ, ბრეგვაძემ, ოტიაშვილმა, ჩიჩუამ და იაგორაშვილმა.

ქალთა სადელეგატო კრებების საქმიანობა

(ამხ. ვარო ჯაფარიძის მოხსენება)

ქალთა სადელეგატო კრებები—ამბობს მომხსენებელი,—წარმოადგენს საუკეთესო სკოლას, სადაც იზრდებიან აქტიური, საზოგადოებრივი მუშაკები მუშა და გლეხ ქალებიდან. გარდა ამისა ქალთა სადელეგატო კრებები გადაიქცა ერთ-ერთ მსხვილ მასიურ ორგანიზაციად.

მას შემდეგ, რაც ჩვენი პარტიის უკანასკნელმა ყრილობამ დაგვისახა ახალი ამოცანები სოციალისტურ მშენებლობის დარგში, განსაკუთრებით მეტი მნიშვნელობა მიეცა სადელეგატო კრებების მუშაობას.

მე-15 ყრილობის დადგენილების თანახმად გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს ბიუროკრატიზმს, საბჭოთა აპარატის გაუმჯობესების მიზნით. ამავე ყრილობამ ჩვენი მუშაობის დღის წესრიგში დასვა კულტურული რევოლიუციის საკითხი.

ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ რთულ ამოცანათა გადაჭრა შეიძლება, მხოლოდ ფართო მშრომელ მასების უშუალო აქტიური მონაწილეობით, მაშასადამე—მუშა და გლეხ ქალთა უახლოესი მონაწილეობით.

მე საჭიროდ მიმაჩნია ხაზი გაუსვა ქალთა შორის წარმოებულ მუშაობის ნაკლოვანებებს.

ქალთა სადელეგატო კრებების სოციალური შემადგენლობა არ არის დამაკმაყოფილებელი. მათში არ არის ჩაბმული ღარიბების და მოჯამაგირე ქალთა და ეროვნულ უმცირესობების ქალთა საკმაო რაოდენობა, ქალაქად დელეგატ ქალთა საერთო რიცხვში მცირეა მუშა ქალთა პროცენტი. აი ეს არის უმთავრესი ნაკლი, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ჩვენმა ქალთა განყოფილებებმა.

ქალთა სადელეგატო კრებების სოციალური შემადგენლობის გაუმჯობესება არ არის საკმარისი. საჭიროა გაუმჯობესებულ იქნას მათი მუშაობის შინაარსიც. სადელეგატო კრებებზე გარდა პროგრამულ საკითხებისა, ადგილობრივი ცხოვრების პრაქტიკული საკითხებიც უნდა ირჩეოდეს.

უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს დელეგატ ქალების მიმაგრებას სხვადასხვა დაწესებულებებზე პრაქტიკული მუშაობისათვის. ეს მიმაგრება არ უნდა სწარმოებდეს მექანიკურად. მიმაგრებულ დელეგატების მუშაობა ხშირად უნდა იქნეს შემოწმებული. გარდა ამისა მიღწეულ უნდა იქნეს, რომ დაწესებულების ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა სათანადო ყურადღება მიაქციონ მიმაგრებულ დელეგატ ქალს.

ქალთა შორის მუშაობას დიდათ ხელს უშლის კიდევ ის გარემოება, რომ ქალთა განყოფილებები არ აწარმოებენ წარსულ მოწვევის დელეგატთა აღრიცხვას, მათ შესწავლას. ამას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს. სკოლებში, ან რაიმე სამუშაოებზე გაგზავნის დროს ვის უნდა მიეცეს უპირატესობა? ცხადია სადელეგატო კრებების მიერ გამოზრდილ ქალებს. აი სწორედ ეს გარემოება უნდა იქნეს გათვალისწინებული ჩვენს შემდგომ მუშაობაში.

ჩვენ ნაკლები მიღწევები გვაქვს მასიურ თვითკრიტიკის გაშლის დარგში. ამ ნაკლის გამოსასწორებლად საჭიროა ახალ მოწვევის ქალთა სადელეგატო კრებებზე ჩატარდეს სპეციალური მოხსენება აღნიშნულ საკითხის შესახებ. პრაქტიკულ სამუშაოებისათვის მიმაგრებულ დელეგატებს კი შეუძლიათ უდიდესი როლი ითამაშონ ამა თუ იმ ორგანიზაციაში შემჩნეულ ნაკლთა დაუზოგავი მხილებით.

ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე სადელეგატო კრებების ხელმძღვანელთა შერჩევას. ხელმძღვანელთა კადრის დამაკმაყოფილებელი შემადგენლობა უზრუნველჰყოფს სადელეგატო კრებების წარმატებით მუშაობას.

ჩვენს მუშაობაში გამომჟღავნებული დეფექტები არ შეიძლება მთლიანად პარტიული ხელმძღვანელობის სისუსტეს მიეწეროს როგორც ამას ზოგიერთი ამხანაგები ფიქრობენ. ამ მუშაობაში ქალთა განყოფილებებიც მოისუსტებდნენ.

ჩვენ მტკიცე კურსი უნდა ავიღოთ სადელეგატო კრებების სოც. შემადგენლობის გაუმჯობესებისაკენ, ვეცადოთ ეროვნულ უმცირესობათა ქალების უკეთ ჩაბმას ქალთა ორგანიზაციებში და მივიღოთ ზომები სადელეგატო კრებების მუშაობის ღირსების ამაღლებისათვის.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. **ბაბაიანმა, ანდრიაძემ, ლეთოდიანმა, ოტიაშვილმა, ძინძიბაძემ, ჯაბურიამ, გეგეშიძემ** და სხვებმა.

ამხ. ვ. ჯაფარიძის საბოლოო სიტყვის შემდეგ სხდომამ მიიღო რეზოლიუცია ამხ. პშენიცინის მოხსენების გამო საქართველოში ქალთა შორის მუშაობის გამოკვლევის შედეგთა შესახებ.

პარტორგ. არსებულ სარევ. კომისიების შესახებ

საკ. კ. პ. (ბ) ცეკას მიმართვა

ნაციონალური კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, საოლქო, საგუბერნიო კომიტეტებს და მათთან არსებულ სარევიზიო კომისიებს.

I.

სარევიზიო კომისიებს პარტიის წესდების თანახმად ეკისრება ორი ძირითადი ამოცანა: 1) პარტორგანოებში საქმეების გატარების სიჩქარისა და სისწორის შემოწმება და 2) პარტორგანოების ფულადი საშუალებების რევიზია.

თუ რა წესით უნდა სრულდებოდეს მეორე ამოცანა, ამის შესახებ ცენტრალურმა კომიტეტმა და ცენტრალურმა სარევიზიო კომისიამ სათანადო მითითებები მისცეს სარევიზიო კომისიებს 1926 წლის 7 ოქტომბრის თარიღით დაგზავნილ წერილში და ინსტრუქციაში პარტორგანოების ფინანსების რევიზიის წესის შესახებ (იხ. „ცენტრალური კომიტეტის უწყებები“, 1926 წ. № 39)

ამ წერილის მიზანია მისცეს პარტორგანოებს მითითებანი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მუშაობდეს სარევიზიო კომისია პარტორგანოების საქმიანობაში სხვადასხვა დეფექტების აღმოსაფხვრელად. სარევიზიო კომისიები გამუდმებით და სისტემატიურად უნდა მუშაობდნენ იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ ხელმძღვანელ პარტორგანოებს მათი აპარატის სათანადოთ დაყენების საქმეში. სარევიზიო კომისიები უნდა ამოწმებდნენ პარტკომის აპარატის მუშაობას, რისთვისაც პარტკომის ბიუროს მუშაობის გეგმიდან მათ უნდა გამოჰყონ რამდენიმე მთავარი საკითხი და იმის მიხედვით, თუ როგორ ტარდება პარტაპარატში გადაწყვეტილებანი ამ საკითხებზე, გამოარკვიონ აპარატის მუშაობა — საქმეების გატარების სიჩქარე და სისწორე. მუშაობის გეგმა (საკითხების ნუსხა) სარევიზიო კომისიებმა წინასწარ უნდა აცნობონ პარტკომის ბიუროს და მუშაობის დამთავრების შემდეგ მოხსენება გაუკეთონ მას ჩატარებული რევიზიის შედეგების შესახებ. საკითხების ნუსხის შედგენის დროს სასურველია იმ ნუსხის დაცვა, რომელსაც ადგენს ცენტრალური სარევიზიო კომისია ცეკას საქმეების რევიზიის მოსახდენათ.

ამ შემოწმების დროს სარევიზიო კომისიებმა განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდნენ იმას, რომ ხელმძღვანელ პარტორგანოს მიერ შესასრულებლად გადაცემულ გადაწყვეტილებას პარტაპარატი მხოლოდ ფორმალურად არ ასრულებდეს (დაწერილია „მიმართვა“, შედგენილია ინსტრუქცია, მიცემულია მითითებანი და სხვ.). აუცილებლად საჭიროა იმის შემოწმება, თუ რა გააკეთა პარტაპარატმა იმისათვის, რომ, ესა თუ ის გადაწყვეტილება ფაქტიურად და არსებითად შეესრულებიათ იმ ორგანიზაციებს ან პარტიის წევრებს, რომლებსაც გაეგზავნა იგი. სარევიზიო კომისიის ერთ-ერთ მთავარ მუშაობას უნდა წარმოადგენდეს თვალყურის დევნება იმისათვის, თუ როგორ არის დაყენებული აპარატში დირექტივების შესრულების, ფაქტიური და არა ფორმალური შესრულების, შემოწმება.

სარევიზიო კომისიები დახმარებას უნდა უწევდნენ პარტკომებს პარტაპარატის გაუმჯობესების საქმეში, რისთვისაც პარტაპარატის მუშაობის შესწავლის საფუძველზე ისინი უნდა იმუშავებდნენ ღონისძიებებს აპარატის რაციონალიზაციისათვის და ყურადღებით ეპყრობოდნენ ყოველ განცხადებას პარტაპარატის ნაკლის შესახებ.

ნახევარწლიურ ანგარიშებში, რომლებსაც სარევიზიო კომისიები, ცეკას ინსტრუქციის თანახმად, უგზავნენ ცენტრალურ სარევიზიო კომისიას, უნდა შეტანილ იქნეს ცნობები იმ მუშაობის შესახებ, რომელიც ჩაატარეს სარევიზიო კომისიებმა პარტკომების აპარატის მუშაობის გასაუმჯობესებლად.

II

ცენტრალური კომიტეტი და ცენტრალური სარევიზიო კომისია წინადადებას აძლევენ პარტორგანოების სარევიზიო კომისიებს, წარუდგინონ ცენტრალურ სარევიზიო კომისიას, ცეკას მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის თანახმად, საანგარიშო მოხსენებები პარტკომების საფინანსო ნაწილთა რევიზიის შესახებ და აგრეთვე ყველა მასალები იმის შესამოწმებლად, თუ როგორ ატარებენ ცხოვრებაში პარტიული კომიტეტები საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას დადგენილებებს რომელიც შეეხება ბიუჯეტის ცენტრალიზაციის საკითხს, ადგილობრივ საშუალებებით სარგებლობის დაუშვებლობასა და პარტიული კომიტეტების მიერ პერიფერიის პარტკომებსა და პარტორგანოებს შორის სახსრების განაწილების წესს.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას მდივანი **ლ. კაგანოვიჩი.**

ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე **მ. ფ. ვლადიმირსკი.**

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტი

წინადადებას იძლევა:

ერთიან პარტიულ დღეს 19 ოქტომბერს

კომუჯრედების კრებებზე დამუშავებულ იქნეს

„საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის მიმართვა თბილისის ორგანიზაციის ყველა წევრებისადმი“

თბილისის კომიტეტის მდივანი—**ასრიბეკოვი.**

ა.-კ. სარეწაო კოოპერაციის წარმომადგენელთა თათბირი

შინასამრეწველო კოოპერაციის მდგომარეობა ამიერ-კავკასიაში

აზერბეიჯანი

აზერბეიჯანში აღრიცხულია 55.819 შინამრეწველ ხელოსანი (41,7 პროც.) ამ მასის ორი მესამედი მუშაობს სოფლად და ხმარობს ადგილობრივ ნედლეულს, დანარჩენი ერთი მესამედი თავმოყრილია ქალაქში და შეადგენს ხელოსანთა კლასს. 16.183 შინამრეწველი მუშაობს მატყლის დამუშავების დარგში. აქედან 13.251 მისდევს ნოხ-ხალიჩების ქსოვას, ტანსაცმელისა და ტუალეტის დარგში მომუშავეთა რიცხვი 11.449 უდრის (20,9 პროც.) ორი მესამედი ამ მასისა თავის საქმიანობას ქალაქში ეწევა. მესამე ადგილი უჭირავს (11,2) გემო-კვების მრეწველობას. ამ დარგში დასაქმებულ 6.157 კაციდან ორი მესამედი სოფლად მუშაობს ადგილობრივ ნედლეულზე. ხის დამმუშავებელთა რიცხვი უდრის 4.143 კაცს (7,6 პროც.) შემდეგი ადგილი უჭირავს თიხის და სხვა მინერალის დამამუშავებლებს, ტყავის დამუშავების დარგს და სხვ.

1928 წლის 1-ლ აპრილისათვის აზერბეიჯანში მოწყობილი იყო 190 სამრეწველო-სარეწაო ამხანაგობა 9.711 წევრით. ამ ამხანაგობებიდან კავშირ—„აზსენპრომსოიუზის“ სისტემაში შედის მხოლოდ 65 ამხანაგობა — 2.338 წევრით. დანარჩენები წარმოადგენენ ველურ ამხანაგობებს. კოოპერატიული გაერთიანების მხრივ სომხეთისა და საქართველოს წინ უსწრებს აზერბეიჯანი, სადაც გავრცელებულია კოოპერატიული გაერთიანებების უბრალო ფორმები. 65 არტელიდან 13 არის უბრალო ტიპის გაერთიანება. რომელიც აკავშირებს მთელი კოოპერატიული მასის ოთხ მეხუთედს, ანუ 6.734 კაცს. საწარმოო არტელების უმრავლესობა თავმოყრილია ქალაქებში. ამგვარათ წვრილ მწარმოებელთა დიდი უმრავლესობა (84,8 პროც.) ისევ კოოპერატიულ მოძრაობის გარეშე რჩება და განიცდის კერძო კაპიტალის ექსპლოატაციას.

აზერ. შინა-მრეწველთა ამხანაგობების საერთო პროდუქცია 1926—27 წელს შეადგენდა 12.835 ათას მანეთს. საერთო პროდუქციის ერთ მეოთხედს წარმოადგენს პურის მცხობელთა არტელების პროდუქცია. მეტყავე ფეხსაცმელის მკერავ არტელებზე მოდის საერთო პროდუქციის 13,9 პროც., ნავთის ამომღებ წვრილ არტელებს 10,9 პროც., აბრეშუმის ძაფის ამომღებ არტელებზე 10 პროც. მკერავებზე—9,4 პროც. საპნის დამამზადებელ არტელებზე—7,5 პროც. ლითონის დამამუშავებლებზე—7 პროც. აბრეშუმის მქსოველ არტელებზე—6,5 პროც. თვითეულ წევრზე საშუალო წლიური პროდუქციის რაოდენობის მხრით პირველი ადგილი უჭირავს საპნის დამამზადებელ არტელებს, რომლებშიდაც თვითეულ წევრზე მოდის 106.600 მან.; პურის მცხობელთა არტელის თვითეულ წევრზე მოდის 6.000 მან. ფოტოგრაფებზე—4.000 მან. ტრიკოტაჟის არტელზე—4.800 მან. მკერავთა არტელზე—3.000 მან.

როგორც სჩანს ზოგიერთი ამ არტელთაგანი. კოოპერატიული ნიღაბ ქვეშ წმინდა კაპიტალისტურ ტენდენციას აშკარავებს.

აზ. შინა-მრეწველ სარეწაო კოოპერაციის საერთო-სამეურნეო ფინანსიური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მას ემჩნევა გაჯანსაღება და განმტკიცება.

კამათი

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების შინამრეწველთა კოოპერატიული კავშირებისა და ს. მ. უ. საბჭოების წარმომადგენელთა მოხსენებების დამთავრების შემდეგ დაიწყო კამათი შინა-მრეწველობს კოოპერაციის მდგომარეობის გარშემო.

როგორც რესპუბლიკების შინა-მრეწველ კოოპერატიულ ცენტრების წარმომადგენელნი, ისე ადგილებიდან გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ ამხ. პიჩიკიანის მიერ მოწოდებული სტატისტიკური ცნობები შინამრეწველობის საერთო მდგომარეობისა და ამ დარგში კოოპერატიულ მოძრაობის შესახებ არ შეესაბამება სინამდვილეს. ეს ცნობები სისწორით არ გადმოგვცემს არც შინამრეწველთა საერთო რაოდენობას და არც შინა-მრეწველობის ცალკე დარგების ხვედრითი წონას შინამრეწველობის საერთო პროდუქციაში. კერძოდ ამხ. პიჩიკიანის სტატისტიკურ ცნობებში, არამედ თვით რესპუბლიკების შესახებ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკაში დაძველებულია და სისწორით არ ახასიათებს შინამრეწველ კოოპერაციის ზრდას. პიჩიკიანი აღნიშნავს, თითქოს შინამრეწველ სარეწაო კოოპერაცია სომხეთში აერთიანებს შინამრეწველთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 3 პროცენტს. ნამდვილად კი ამჟამად კოოპერაციის ამ დარგის მიერ შეკავშირებულია შინამრეწველთა არა ნაკლებ ათი პროცენტისა. საქართველოში ამხ. პიჩიკიანის გადმოცემით, თითქოს კოოპერატიულად შეკავშირებული იყოს შინამრეწველთა 3,4 პროც. ნამდვილად კი შეკავშირებულია ათი პროცენტი. ამავე შეცდომას აქვს ადგილი აზერბეიჯანის მიმართ, სადაც კოოპერატიულად გაერთიანებულია შინამრეწველთა არა 15 პროცენტი, როგორც გადმოგვცემს ამხ. პიჩიკიანი, არამედ 25 პროც. ასეთივე შეცდომებია დაშვებული ამხ. პიჩიკიანის მიერ შინამრეწველთა არტელების საერთო პროდუქციის, მათი ხვედრითი წონის შესახებ. ორატორთა აზრით შეუსაბამობაა არა მარტო ამხ. პიჩიკიანის მიერ მოწოდებულ სტატისტიკურ ცნობებში, არამედ თვით რესპუბლიკანურ შ. მ. კოოპერატიულ კავშირების წარმომადგენელთა ციფრებში. ეს ცნობები ერთი მეორეს ეწინააღმდეგებიან და დაახლოებითაც ვერ იძლევიან შინამრეწველობის და შინამრეწველ კოოპერაციის დღევანდელ მდგომარეობის სურათს, ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიექცეს და უნდა იქნეს ზომები მიღებული, სწორი სტატისტიკის გამოსამუშავებლად სახალხო მეურნეობის ამ დარგისთვის.

შემდეგ რამოდენიმე ორატორი შეჩერდა არტელებში გაერთიანებულ შინამრეწველთა უფლებრივ მდგომარეობაზე. მათი გადმოცემით, — კოოპერატიულად გაერთიანებულ შინამრეწველთა ხელოსნებს ჯერ კიდევ ბევრი ორგანიზაციები უყურებენ როგორც კერძო მწარმოებლებს და არ აძლევენ კანონით გათვალისწინებულ შეღავათებს. ხელოსანთა და შინამრეწველთა დიდ ნაწილზე ჯერ კიდევ არ ვრცელდება სოციალური დაზღვევა და შრომის დაცვის კანონმდებლობა. სახელმწიფო-სავაჭრო ორგანიზაციები არ აწვდიან მათ საქონელს ისეთ პირობებში, როგორც სხვა დანარჩენ კოოპერატიულ გაერთიანებათ. ასეთი შეხედულება შინამრეწველთა არტელებზე არსებობს თვით სამომხმარებლო კოოპერაციის გამგეობათა ზოგიერთ წევრებს შორის. მაგალითად, მათი აზრით — ეს თვალსაზრისი ალაპარაკებს ამხ. პიჩიკიანს, როცა ის ამბობს თითქოს პურის მცხობელთა არტელებს ემჩნეოდეს კაპიტალისტური ხასიათის ტენდენციები და ეს დასკვნა გამოყავს თვითეულ წევრზე რაოდენობის პროდუქციის გამოანგარიშების მიხედვით. თუ ამ არტელებში საერთო პროდუქციის რაოდენობა დიდია, ეს აიხსნება მხოლოდ იმით, რომ საქონლის ბრუნვა შინამრეწველობის ამ დარგში უფრო სწრაფია, ვიდრე სხვა რომელიმე დარგში. ასეთი შეხედულებაა აგრეთვე იმ გარემოების მიზეზი, რომ დღემდე მოუგვარებელია ურთიერთობა სამომხმარებლო კოოპერაციასა და შინასამრეწველო სარეწაო კოოპერაციის შორის. სამომხმარებლო კოოპერაცია არტელებში გაერთიანებულ შინამრეწველთ არ აწვდის თავის დროზე და საკმაო რაოდენობით საჭირო საქონელს ერთი მხრით და მეორე მხრით არ კისრულობს მათი პროდუქციის გასაღებას. ეს გარემოება იწვევს იმას, რომ შინასამრეწველო კოოპერაციის ზრდა ბრკოლდება, ამჟამად ისეთი მდგომარეობაა შექმნილი, რომ სხვადასხვა გადასამუშავებელ საქონლის ნაკლებობის გამო შეუძლებელი ხდება იმ მცირერიცხოვან არტელების დაკმაყოფილებაც, რომელნიც ეხლა მოქმედებენ. მეორე მხრით თვით შინამრეწველობის პროდუქციის გასაღების საქმეც არ არის მოწესრიგებული იმის გამო, რომ ამის შესახებ არ არსებობს შეთანხმება შინასამრეწველო კავშირისა და სამომხმარებლო კოოპერაციის შორის. სამომხმარებლო კოოპერატიული ორგანოები ხშირად ამჯობინებენ შინამრეწველობის პროდუქციები შეიძინონ შემყიდველ ვაჭრებიდან, ვიდრე უშუალოთ თვით არტელებისაგან. შინასამრეწველო კოოპერაციის განვითარების ერთ-ერთ შემაფერხებელ მიზეზს წარმოადგენს ის გარემოებაც, რომ დღემდე გამიჯნული არ არის ფუნქციები სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის და შინასამრეწველო კოოპერაციის შორის.

ეს იწვევს პარალელიზმს ამ ორი სახის კოოპერაციის მუშაობაში. შინამრეწველობის და კერძოთ ამ დარგის კოოპერაციის შემაფერხებელი გარემოებაა აგრეთვე ნედლეულობის სიძვირე. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები ბევრ ალაგას შინამრეწველთა არტელებს საშუალებას არ აძლევენ თვითონვე უშუალოდ შეიძინონ მათი წარმოებისათვის საჭირო ნედლეული. თუმცა ამის შესახებ მთავრობის მხრივ არავითარი განკარგულება არ არსებობს. ვიდრე ნედლეული შინამრეწველ-მწარმოებლების ხელში მოხვდებოდეს, მან უნდა გაიაროს რამოდენიმე საფეხური: დამამზადებელი ორგანიზაცია, მისი ცენტრი, შემდეგ შინამრეწველობის კოოპერატიული ცენტრი და შემდეგ კიდევ არტელი და ბოლოს მიაღწიოს თვით მწარმოებელს. ეს ორგანიზაციები, რომელიც ნედლეულს ტვირთავენ ზედნადები ხარჯებით, თითქმის ერთიორად აძვირებენ მის ღირებულებას. ამ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს და არტელებს უნდა მიეცეს საშუალება თვითონვე თავიანთ რაიონებში შეიძინონ თავის წარმოებისათვის საჭირო ნედლეული.

კამათში მონაწილეობა მიიღო სრულიად საკავშირო შინამრეწველ სარეწაო კოოპერატიულ ორგანიზაციების ცენტრალურ საბჭოს წარმომადგენელმა **ენბაევმა**, რომელმაც ხაზი გაუსვა შინამრეწველობის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისათვის. შინამრეწველობს განვითარება ამიერ-კავკასიაში—ამბობს, იგი. სადაც მსხვილი სახელმწიფოებრივი მრეწველობა სუსტია და სადაც დიდია მოთხოვნილება საქონელზე, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, მეორე მხრით შინამრეწველობისათვის ხელის შეწყობას მოითხოვს ის მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა კერძო კაპიტალის ბაზრიდან დაწევის გამო. წინათ შუამავლის როლს მომხმარებელსა და შინამრეწველის შორის კისრულობდა კერძო ვაჭარი, დღეს იგი განდევნილია და ეს როლი უნდა შეასრულოს კოოპერაციამ. წინააღმდეგ შემთხვევაში შინამრეწველობას მოელის სრული განადგურება. ეს კი საზარალოა, რადგან სახელმწიფო მრეწველობას ჯერ კიდევ დიდხანს არ ექნება საშუალება დააკმაყოფილოს მომხმარებელთა ყველა მოთხოვნილებები.

ორატორი მოითხოვს ურთიერთობის მოწესრიგებას და შეთანხმებას სამომხმარებლო კოოპერაციისა და შინასამრეწველო კოოპერაციის შორის. შინამრეწველთა არტელებისათვის ნედლეულების დამზადების უფლების მინიჭებას. ღარიბ ხელოსანთა კოოპერატიულ შეკავშირების გაძლიერებას და გეგმიან მუშაობის შემცირებას შინამრეწველობის კოოპერაციის დარგში.

კამათი, რომელშიდაც მონაწილეობა მიიღეს დადეიანმა, ოგანეზოვმა, ჯაფაროვმა, კავკასიძემ, შახბაზოვმა, ალა-ზადემ, კარაევმა, ანდღულაძემ, ინბაევმა, ვექილოვმა და სხ. ჯერ არ დამთავრებულა და გაგრძელდება დღევანდელ სხდომაზე.

სამომხმარებლო კოოპერაცია სოფლად

სამომხმარებლო კოოპერაცია სწრაფად ვითარდება. — საჭიროა კოოპერატიული წრეების მუშაობის გამოცოცხლება.—კოოპერატიული თანხების გამფლანგველთა სასტიკად დასჯა.—ნოქრების მიერ მომხმარებლისადმი თავაზიანი მოპყრობა.—კოოპერაციის აპარატის შესანახი ხარჯების და ზედნადები პროცენტების შემცირება.

გავაჯანსაღოთ სამომხმარებლო კოოპერაცია

საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთ ამოცანას შეადგენს მშრომელი გლეხობის შეკავშირება სამომხმარებლო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში. განვლილი მუშაობა ამ მიმართულებით უსათუოდ დიდი მიღწევებით ხასიათდება. ეს განსაკუთრებით შეიძლება ითქვას სამომხმარებლო კოოპერაციაზე, რომლის წევრთა რიცხვი და ფინანსიური შესაძლებლობანი დღით-დღე იზრდება. მშრომელი გლეხობა უკვე გამოცდილებით დარწმუნდა, თუ რა დიდი სარგებლობა მოაქვს მისთვის კოოპერაციას. ამიტომ ის დიდი ხალისით ხდება კოოპერაციის წევრად, შეაქვს საპაიო ანარიცხები, მონაწილეობს კოოპერაციის გაჯანსაღების საქმეში და სხვ.

კოოპერაციის სწრაფი განვითარების შედეგად ჩვენ ვხედავთ, რომ კერძო ვაჭრობის როლი თანდათანობით მცირდება სამომხმარებლო ბაზარზე. კერძო ვაჭრები ვერ უძლებენ კოოპერაციის მეტოქეობას და იძულებული ხდებიან ვაჭრობას თავი მიანებონ.

მიუხედავათ დიდი მიღწევებისა, სამომხმარებლო კოოპერაციას ჯერ კიდევ აქვს ზოგიერთი ნაკლი, რომლის გამოსასწორებლად უნდა იზრუნოს პარტიულ, საბჭოთა და პროფესიონალურ ორგანოებმა და აგრეთვე კოოპერაციის თვითეულმა წევრმა.

სამომხმარებლო კოოპერაციის ერთ-ერთ ნაკლს შეადგენს კოოპერატიული თანხების გაფლანგვის ხშირი შემთხვევები. ამასთან ერთად გამფლანგველთა არა საკმაოდ დასჯა და ზოგჯერ სრულებით პასუხისგებაში მიუცემლობა.

მეორე ნაკლად უნდა ჩაითვალოს - მომზადებულ კოოპერატორების ნაკლებობა ადგილებზე, რაც საკმაოდ აფერხებს კოოპერაციის წინსვლელობას. ზოგჯერ ნოქრების არათავაზიანი მოპყრობა მომხმარებლისადმი და რაც მთავარია კოოპერატივების წევრთა შორის კულტურულ - აღმზრდელობითი მუშაობის სისუსტე. მართალია ზოგან არსებობენ კოოპერატიული წრეები, მაგრამ მათი მუშაობის ნაყოფი ჯერ კიდევ სუსტია. ბევრ ადგილას კი ასეთი წრეები სულაც არაა დაარსებული.

კოოპერატიული წრეების მუშაობის სასურველ ნიადაგზე დაყენებას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია კოოპერაციის წევრთა გათვითცნობიერების საქმეში და ეს კი მთავარი პირობაა სამომხმარებლო კოოპერაციის გასაჯანსაღებლად, წევრთა რიცხვის გასამრავლებლად და საპაიო ანარიცხების შეკრების გასაადვილებლად.

სამომხმარებლო კოოპერაციის ხელმძღვანელებმა ზემოდ მოხსენიებულ ნაკლთა აღმო[illegible] უნდა მიიღონ ენერგიული ზომები.

ლი.

კოოპერაციის საქმიანობა გლეხთა სასახლეში

ამ რამდენიმე თვის წინად, საქართველოს გლეხთა სასახლემ ერთ აუცილებელ საჭიროებას მიაქცია ყურადღება. ესაა კოოპერატიული სავაჭროს გახსნა სასახლის შენობაში, რომლითაც სარგებლობენ სოფლებიდან ჩამოსული გლეხები.

გლეხთა სასახლის საბჭოს პრეზიდიუმმა, შუამდგომლობა აღძრა სოც. უზრ. სახ. კომისარიატის წინაშე. ამ უკანასკნელის საგარანტიო ბარათით, გახსნილ იქნა საზოგადოება „მკერავი"-დან კრედიტი — პირველად 5.000 მანეთის რაოდენობით მზათ შეკერილ და გლეხობისათვის გამოსადეგი საჭირო ტანსაცმლებისა. ეს საქონელი ძლიერ ხელსაყრელ ფასებში მიყიდა ჩვენმა კოოპერატივმა გლეხობას. სამი თვის განმავლობაში სასახლეში სულ 7.000 მან. საქონელი არის გაყიდული. ეს ზაფხულის პერიოდში და თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ზამთრობით ჩამოსულ გლეხობის რიცხვი საგრძნობლათ იზრდება, ცხადია ვაჭრობაც გაიზრდება ერთი ორათ და სამათ.

სასახლის გამგეობა მადლობას უძღვნის საზოგადოება „მკერავს", რომელმაც 5.000 მანეთის საქონლის ნაცვლად 16.000 მანეთის საქონელი მოგვცა, რითაც დიდათ დაეხმარა სასახლის გამგეობას ამ საქმის მოწყობა-მოწესრიგებაში.

ვიმედოვნებთ, რომ მომავალშიაც საქონლის მოწოდებას არ შეგვიწყვეტს სასახლის კოოპერატიული სავაჭროს საჭიროებისათვის ეს ორგანიზაცია.

ამ საქმის მოწყობით ჩვენ გლეხობის მოთხოვნილება სათანადოთ დავაკმაყოფილეთ.

გლეხობამ ჩვენი კოოპერატივის არსებობას თანაგრძნობით უნდა შეხედოს და მათთვის საზრდო საგნები და საქონელი შეიძინონ სასახლის კოოპერატივში, რაც დიდ შეღავათს მისცემს მათ ეკონომიური მხრივ.

გლ. სასახლის გამგე ი. მჭედლიშვილი.

გამფლანგველები დაუსჯელი დარჩნენ

გამოჩინებულის თემი, ქუთ. მაზრა

გამოჩინებულის თემში კოოპერატივის გამგეთ 1925 წლამდე ითვლებოდა სანდრო მსხილაძე, რომლის უგეგმო მუშაობამ და ზედმეტ ხარჯებმა გაკოტრების პირას მიიყვანა კოოპერატივი. აღნიშნული მსხილაძე სასამართლოს განკარგულებით დაპატიმრებულ იქნა, მაგრამ ნათესაობის დახმარებით, მალე გაათავისუფლეს.

ამის შემდეგ კოოპერატივის გამგეთ დაინიშნა ამხ. სამსონ კიკაჩეიშვილი, რომლის ენერგიულმა საქმიანობამ ნაყოფი გამოიღო და კოოპერატივიც ეკონომიურად გაძლიერდა.

1927 წელში კოოპერატივის ერთ-ერთ სავაჭროდან — სახელდობრ მაიდნიდან, სადაც ნოქრად იყო აკაკი მსხილაძე, ღამით მოქ. ესე დევაძის მიერ გატაცებულ იქნა 600 მანეთი. დევაძე შეიპყრეს ორი კვირის შემდეგ, მაგრამ მალე გაანთავისუფლეს და კოოპერატივის 600 მანეთი დაუსჯელად შერჩა.

გასულ წლის ბოლო რიცხვებში კოოპერატივის გამგე სამსონ კიკაჩეიშვილი ამავე თანამდებობაზე გადაყვანილ იქნა სამტრედიაში.

წელს კოოპერატივის ცენტრალურ მაღაზიაში ნოქარმა ილია მეგრელიძემ გაფლანგა 300 მანეთი, რისთვისაც მეგრელიძე მოხსნეს სამსახურიდან, მაგრამ უფრო უკეთეს ადგილზე გადაზავნეს ბათომში. ეს კიდევ არაფერი. ამ რამოდენიმე ხნის წინად კოოპერატივის მთავარი კანტორის კასიდან ვიღაცების მიერ გატაცებულ იქნა 1.800 მანეთი, რის გამო დაპატიმრებულია კოოპერატივის თანამშრომლები, მაგრამ ჯერ-ჯერობით დამნაშავის კვალს ვერ მიაგნეს. ამრიგად კოოპერატივის მდგომარეობა თანდათანობით უარესდება.

საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება და ყველა დამნაშავეთა სასტიკად დასჯა, წინააღმდეგ შემთხვევაში კოოპერაცია ჩვენს თემში სავსებით გაქრება.

გ.აბუსერიძე.

სამომხმარებლო კოოპერატივები ზემო-სვანეთში

(წერილი სვანეთიდან)

ზემო-სვანეთის მაზრაში არსებობს ორი ტიპის კოოპერაცია: სამომხმარებლო და საკრედიტო, რომელიც დიდ დახმარებას უწევს გლეხობას მასიურ მოთხოვნილების საგნების ყიდვებაში და მასთან სასოფლო მეურნეობის გაჯანსაღების საქმეში. სამომხმარებლო კოოპერატივი თითქმის ყველა თემშია (სულ 14 თემია).

გლეხობა დიდი ნდობით ეპყრობა ამ დაწესებულებას და ის მიაჩნია ერთადერთ საშუალებათ თავიანთ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. იშვიათია ისეთი სვანი, რომელიც არ იყოს კოოპერატივის წევრი. მაგრამ საუბედუროთ კოოპერატივის ზოგიერთ მასიურ მოთხოვნილების საგნები მიუწვდომელია როგორც გლეხობისათვის, აგრეთვე მუშა-მოსამსახურეებისთვისაც.

ყველასათვის ცხადია სვანეთის ტრანსპორტის მდგომარეობა, მაგრამ ვითვალისწინებთ რა ამ მდგომარეობას, ვამბობთ, რომ ხავთი კერძოთ უფრო იაფი ჯდება, ვინემ კოოპერატივის საშუალებით მოტანილი, ასე მაგ. კოოპერატივში ნავთი ღირს ფ. 10 მან. იმ დროს, როდესაც ს. ჯვარში ფუთი ნავთი ღირს 2 მ. და ნაკლები. გადმოტანა ფუთის ს. ჯვარიდან მესტიამდე ჯდება 3 მ. 50 კაპ. სულ ჯდება 5 მ. 50 კაპ. კოოპერატივმა ყოველ შემთხვევაში არ უნდა დაუშვას ასეთი თვალსაჩინო განსხვავება. კოოპერატივს შეუძლია გაყიდოს ფ. ნავთი 6-7 მანეთად. ასევე ითქმის ზოგიერთ სხვა საგნებზედაც ეს გარემოება მხედველობაში უნდა მიიღონ სვანეთის სამომხმარებლო კოოპერაციის ხელმძღვანელებმა.

პ—შვილი.

რისთვის გაადიდეს ხარჯები

(წერილი ონიდან)

ფასების დაკლების ფრონტზე ბრძოლის დროს, აუცილებლად საჭიროა ხარჯების და მით უმეტეს ადმინისტრატიული ხარჯების შემცირება აპარატის რაციონალიზაციის გზით. ამ საქმეს კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლევა დღეს, როცა კოოპერაცია თანდათანობით გადადის საკუთარ ფინანსებზე.

ასეთ დროს ჩვენ მიზანშეუწონლად მიგვაჩნია ონის კოოპერატივის გამგეობის სხდომის (აგვისტოს თვეში) დადგენილება კოოპერატივის მომუშავეთათვის ხელფასის საგრძნობლად გადიდების შესახებ, როგორიც არის: ბუღალტერისთვის 100 მანეთის ნაცვლად 120 მან. თვეში, თავმჯდომარისათვის 70 მან. ნაცვლად 120 მან. და სხვ. კანტორის მომუშავეთა ორი თანამშრომლით გადიდება, კოოპერატივის შენობის შეღებვა და სხვა. ყველა ის ხარჯები ზედმეტ ტვირთად დააწვება მომხმარებელს, რაც დაუშვებელია.

კომკავშირელი.

კოოპერაციის ნაკლი და მიღწევები

(სენაკის მაზრა)

სენაკის მაზრის მშრომელი მოსახლეობა ფართოდ ჩაება კოოპერაციაში. მაზრაში იშვიათია ისეთი თემი ან სოფელი, სადაც ერთი ან 2 კოოპერატიული სავაჭრო არ იყოს. თითქმის ყველა კოოპერატივებს ყავს რამდენიმე ასეული წევრები. დაახლოვებით მოსახლეობის 75 პროცენტი გაერთიანებულია კოოპერაციაში. მშრომელი გლეხობა კოოპერატივებს დიდი ნდობით ეპყრობა.

მაგრამ ჩვენი კოოპერაციის მუშაობას თან ახლავს ნაკლიც, რომლის გამოსწორება აუცილებელია. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს კოოპერატივების ზოგიერთი ნოქრების მიერ მომხმარებლისადმი ცუდი მოპყრობა. ისინი უყვირიან მუშტრებს: „ჩვენ ამდენი დრო არა გვაქვს, თუ რაიმეს ყიდვა გსურს, მალე იყიდე, თუ არა და აქედან მიბრძანდით". საჭიროა უფრო თავაზიანი მოპყრობა მომხმარებლისადმი. გარდა ამისა სრულიად არ სწარმოებს კოოპერატიული აგიტ-პროპაგანდა სოფლად. არ ვრცელდება კოოპერატიულ საკითხებზე ლიტერატურა, არც კოოპერატიული გაზეთი, არ არსებობენ კოოპერატიული წრეები და სხვა, რომლის გამოსწორება აუცილებელია. ზომა-წონის საქმეც არ არის კარგად დაყენებული, რის გამო ხშირად ღებება გაუგებრობა. ნოქრების, გამგების და სარევიზიო კომისიის წევრების შერჩევაც ვერ სწარმოებს სასურველად.

ცეკავშირმა ყველა ამ დეფექტების გამოსასწორებლად უნდა მიიღოს გადამჭრელი ზომები.

ან. ბეთლემელი.

კოოპერატივის „ენერგიული" გამგე

პატარძეული, გარე-კახეთი

პატარძეულში არსებობს სართიჭალის მთლიანი კოოპერატივის განყოფილების მაღაზია, რომლის გამგედ ითვლება ყოფ. აზნაური ვასო ფიცხელაური. საჭიროა გავეცნოთ ამ „კოოპერატორის" მოღვაწეობას. პირველი და უმთავრესი ისაა, რომ ყოველ რევიზიის დროს დანაკლების მაგივრად, ფიცხელაურს რაღაც მიზეზებით ემატება 20 — 40 თუმანი.

მეორე: იშვიათად თუ გაყიდულა ისეთი მანუფაქტურა, მეტრზე თითო-ოროლა სანტიმეტრი არ დაკლებოდეს, ან ისეთი წონა, კილოგრამზე რამდენიმე გრამით ნაკლები არ იყოს.

მესამე: ძლიერ შეწუხებულია ვასოს ნათესავ-მოყვარეები, აბა წარმოიდგინეთ: ყოველი კარგი ნაჭერის, ყველაზე უფრო ბევრის კაისიც ფარულად სახლში წაღება ალბად ძნელ საქმეა.

მეოთხე—ყველაზე უფრო გულშემატკივრობას იჩენს ვასო გლეხ-ქალებზე, რომ საჭიროა არ მოსცდენ სწრაფად უპასუხებს: „არ გაბლავს", „გაიყიდა", „არ გაძლევ" დას ხვა.

მეხუთე—თემში 40-მდე მუშა-მოსამსახური წელმა-უკულმა ჰყავს დატრიალებული. ერთ მეტრი ჩითის საყიდლად სად შეუძლია რიგში დგომა იმ მასწავლებელს, რომელიც სკოლაში მუშაობს დილის 9 საათიდან 3 საათამდე. კრედიტზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. რა გინდ გამგეობამ ნება დართოს, „მას ასეთები არ უყვარს".

მეექვსე—ხშირია შემთხვევა, როცა 5—6 ვასო სხვაგან მიავლენს თავის-თავს და თანამდებობაზე თავის დას სტოვებს.

ასეთია მოკლედ პატარძეულის კოოპერატიული მაღაზიის გამგის „მოღვაწეობა" და ნეთუ არავინ დაუფასებს?

ბიჭუ.

წერილებიდან

ოზურგეთის მახლობლად გაკირულ ხიდზე 5 ოქტომბერს გაიხსნა კოოპერატივი გლეხობა აღფრთოვანებით შეხვდა კოოპერატივის გახსნას.

გაკ.ხიდელი.

სურამის კოოპერატივის სამანუფაქტურო სავაჭროში მოლარედ ითვლება დიმიტრი ჯაგოშვილი, რომელსაც ხმის უფლება ჩამორთმეული აქვს და არც პროფკავშირის წევრია. არც კოოპერატივის გამგეობა და არც პროფკავშირი ამის წინააღმდეგ არავითარ ზომებს არ იღებენ.

კონჯო.

მუხრანში 200-მდე საბჭოთა მოსამსახურეა, რომლებიც თბილისიდან ჩამოტანილ გირვანქა პურში აძლევენ 11 კაპეიკს. აქ კოოპერატივს ორ ალაგას ქონდა პურის საცხობი, მაგრამ ფქვილის მიცემა ცენტრიდან შეუწყვიტეს. ამის გამო ზოგჯერ თანამშრომლები უპუროდ რჩებიან. საჭიროა ადგილობრივ კოოპერატივს უსათუოდ დაეთმოს ფქვილის განსაზღვრული ნორმა.

გლეხკორი.

ნაოსნობა მდ. რიონზე და მისი პერსპექტივები

(საუბარი ა.-კ. ნავთსადგურების სამმართველოს უფროს ამხ. თ. სპრინკველთან)

ამიერ- კავკასიის ნავთსადგურების და ა.-კ. შინაგან წყლებზე მიმოსვლის სამმართველოს უფროსმა ამხ. თ. სპრინკველმა მდ. რიონზე ნაოსნობის წარმოებისა და საერთოდ დასავლეთ საქართველოში ნაოსნობის განვითარების უახლოეს პერსპექტივების შესახებ ჩვენს თანამშრომელს გადასცა:



გემი „შ. ელიავა" მიდის ფოთში მგზავრებით და ტვირთით

— ქვეყნის კულტურულ- ეკონომიური განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს საერთოდ ტრანსპორტს და განსაკუთრებით კი წყლის ტრანსპორტს, ანუ ნაოსნობას. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ნაოსნობის დაწყება მ. რიონზე. როგორც ცნობილია, ოფიციალურად მ. რიონზე ნაოსნობა გაიხსნა მხოლოდ აგვისტოს ბოლო რიცხვებში. ჯერ ორი თვეც არ გასულა და რიონის სანაპიროებზე მთელ რიგ ადგილებში გლეხებმა უკვე დაიწყეს დასახლება და, ალბათ, არ გაივლის დიდი ხანი, რომ ფოთიდან სამტრედიამდე რიონის სანაპიროები მოფენილი იქნება ახალი სოფლებით და დაბებით. გლეხების დასახლება ახალ ადგილებზე ხდება სტიქიურად და საჭიროა, რომ ამ საქმეს გეგმიანი ხელმძღვანელობა გაუწიოს სათანადო ორგანიზაციამ.



'გასახსნელი ხიდი რიონზე

ეკონომირათ ნაოსნობა მდ. რიონზე უთუოდ მომგებიანი საქმეა, წელს, სხვათა შორის, მოსავალი, დასავლეთ საქართველოში არ ყოფილა იმდენი, რომ იგი სხვაგან გაიტანონ გასასაღებლად, მაგრამ ჩვეულებრივ მოსავლიან წლებში ნაოსნობის საშუალებით შესაძლებელი გახდება რამოდენიმე მილიონი ფუთი სიმინდის გატანა. სიმინდის მოსავლით განთქმულია სწორედ ის რაიონი, რომელზედაც გადის მდ. რიონის სანაოსნო ხაზი.

წელს მდ. რიონზე გემებს გადააქვთ უმთავრესად შეშა, ხე-ტყის საამშენებლო მასალა, ქუჩების მოსაკირწყლავი ქვები, თხილი და სხვა. გემების მიმოსვლა ამჟამად სწარმოებს რეგულიარულად ფოთიდან იმ პუნქტებამდე, სადაც გაკეთებულია გემების დასატვირთავი ბაზები. აღსანიშნავია, რომ გემებით გადაყვანილ მგზავრთა რიცხვი და გადატანილ ტვირთების რაოდენობა თანდათან მატულობს.

უკანასკნელი წყალდიდობის დროს სამტრედიის რაიონში საფრთხეში ჩავარდა მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი. წყალდიდობის ადგილებისაკენ დაუყოვნებლივ გაიგზავნა რიონზე მომუშავე სამი გემი, რომელთაც საჭიროების დროს შეეძლოთ დაზარალებულთათვის მნიშვნელოვანი დახმარების გაწევა. გლეხებმა ნახეს მათ საშველად მისული გემები, რამაც მოსახლეობაში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია.

— დასავლეთ საქართველოში ნაოსნობის განვითარების პერსპექტივები— განაგრძობს ამხ. სპრინკველი— ასეთია: პირველ რიგში ჩვენ გვინდა რიონის სანაოსნო ხაზი მივიყვანოთ რკინისგზის სადგურ რიონამდე, რისთვისაც უკვე სწარმოებს შესაფერი გამოკვლევები და მუშავდება სათანადო პროექტიც. შემდეგ გადაწყვეტილია, რომ სოფ. ვარციხიდან (სად. რიონის მახლობლად) გაყვანილ იქნეს სანაოსნო არხი ზესტაფონამდე. ისე, რომ ფოთიდან წამოსული გემი პირდაპირ მივიდეს შავი ქვით დასატვირთ ადგილამდე. აღნიშნული არხის გაყვანა ჩვენი წინასწარი ვარაუდით დაჯდება დაახლოებით 3 მილიონი მანეთი, მაგრამ ის ეკონომიური სარგებლიანობა, რომელიც მდგომარეობს მარგანეცის პირდაპირ გემებით გადატანაში, საქმეს რენტაბელურს ხდის. გამოკვლევები ამ მიზნით დაიწყება მომავალი საკალენდარო წლიდან.

შემდეგი ამოცანაა, გავიყვანოთ სანაოსნო არხი ანაკლიიდან (სამურზაყანო) ფოთამდე და შემდეგ ეს ხაზი გავაგრძელოთ სოხუმამდე. ამ არხს განსაკუთრებული ეკონომიური მნიშვნელობა ექნება, ვინაიდან მარტო ანაკლიის რაიონიდან მოსავლიან წლებში გააქვთ სხვადასხვა ქალაქებში და საზღვარგარედაც 2 მილიონი ფუთი სიმინდი, ნახევარი მილიონი ფუთი თხილი და სხვ.

ამჟამად ფოთიდან სამტრედიამდე მიმოსვლა სწარმოებს ორი გემით „ეგნატე ნინოშვილი"-თ და „შალვა ელიავა"-თი. ნაოსნობის რიონის სადგურამდე გაგრძელებისა და ვარციხე-ზესტაფონს შორის არხის გაყვანის შემდეგ რიონის ნაოსნობას შეემატება კიდევ რამოდენიმე ახალი სამგზავრო და საბარგო გემი.

გემი „ეგნატე ნინოშვილი" (ფოთის ნავთსადგურში) სამტრედიისაკენ გასვლის წინ

პროფესიონალური მუშაობა ადგილებზე

პროფესიონალური მუშაობა ადგილებზე მოისუსტებს.—კავშირის წევრთა შორის პროფდისციპლინა ვერ სდგას თავის სიმაღლეზე.—საწევრო ანარიცხების დავალიანება თანდათან იზრდება.—პროფკავშირების ცენტრალურმა გამგეობებმა უნდა გააძლიერონ ხელმძღვანელობა ძირითად ორგანიზაციებზე

ავწიოთ პროფდისციპლინა

კავშირის წესდებაში გარკვევით არის ნათქვამი იმაზე, თუ რა წესით და რა შემთხვევებში სწარმოებს, როგორც კავშირის წევრობიდან გამორიცხვა, ისე აღდგენა საკავშირო უფლებებში. მაგრამ მიუხედავად ამისა წესდების ამ ნაწილს სრულებით არ ექცევა ყურადღება დაბლამდგომ პროფორგანიზაციების მიერ.

ყველა გამორიცხული ჰკარგავს თავის პროფსტაჟს და შეიძლება ისევ მიღებული იქნეს კავშირში საერთო წესით, როგორც ახლად შემსვლელი. მაგრამ ეს ასე არ ხდება. ხშირია შემთხვევა, როდესაც აღდგენა ხდება ძველი საკავშირო სტაჟის შენახვით. წესდება კი გვეუბნება, რომ კავშირის წევრი, რომელსაც არ გადაუხდია საწევრო გადასახადი 3 თვეზე მეტი, წითელარმიის რიგებიდან დაბრუნებული, რომელიც არ გამოცხადებულა კავშირის განყოფილებაში სარეგისტრაციოდ საპატიო მიზეზების გარეშე ექვსი თვისა და უმუშევარი 3 თვის განმავლობაში—ითვლებიან მექანიკურად გამორიცხულად და მათი აღდგენა შეიძლება მხოლოდ ახალი სტაჟით და შესავლელი გადასახადის შეტანით.

წესდების დარღვევა იწვევს ერთგვარ უკმაყოფილებას, როგორც კავშირის წევრებ შორის, ისე დაბლამდგომ პროფორგანიზაციების ხელმძღვანელებშიც. საჭიროა ფართოდ იქნეს გაშუქებული ეს საკითხი კავშირის წევრების შორის, რათა მათ ქონდეთ ნათელი წარმოდგენა კავშირის წესდებაზე. უნდა მოეთხოვოს პასუხი იმ პროფორგანიზაციის ხელმძღვანელებს, რომლებიც არღვევენ წესდებას და ამით აფერხებენ პროფდისციპლინის განმტკიცებას კავშირის წევრთა შორის.

ალ. ფრუიძე.

საწევრო ანარიცხებს არ იხდიან

პროფესიონალური მუშაობის ერთ დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ დღემდე ვერ მოეღო ბოლო საწევრო ანარიცხების დავალიანებას. ბევრია კავშირის ისეთი წევრი, რომელსაც ერთი წელიწადი და მეტიც არ გადაუხდია საწევრო გადასახადი ასეთ წევრთა წინააღმდეგ არავითარი ზომები არ არის მიღებული. ისინი კიდევ ითვლებიან კავშირის წევრებად და სარგებლობენ ყოველგვარ უფლებებითა და შეღავათებით.

კავკასიის წითელდროშოვან ლაშქრის სტამბის განყოფილების გამგეს ამხ. მალაიან. 1927 წ. აპრილიდან დღემდე არ გადაუხდია საწევრო გადასახადი. გამგის თანაშემწეს, კუბიშს, იანვრიდან არ გადაუხდია, ხოლო სტამბის ბუღალტერს, ნეროიძეს 1927 წ. დეკემბრიდან მაგრამ ყველაზე აღმაშფოთებელია ის გარემოება, რომ თვით პასუხისმგებელი პროფმუშაკი არ იხდის საწევრო ანარიცხს თავის დროზე. წითელდროშოვანი ლაშქრის სტამბის ადგილკომის პასუხისმგებელ მდივანს ამხ. ტოარევს—1927 წ. მაისიდან არ გადაუხდია საწევრო ანარიცხი. ასეთმა მდივანმა როგორ უნდა დაიცვას პროფდისციპლინა?

მბეჭდავთა კავშირის გამგეობას არავითარი ზომები არ მიუღია ხსენებულ პირთა წინააღმდეგ. კავშირის წესდებაში ნათლად არის ნათქვამი, რომ ის პირნი, რომლებიც არა საპატიო მიზეზებით 3 თვის განმავლობაში არ აიხდიან საწევრო გადასახადს, კავშირიდან გამოირიცხებიან, მაგრამ წესდების ეს მუხლი არ ტარდება ცხოვრებაში.

საწევრო ანარიცხი ძირითადი საფუძველია კავშირის მუშაობისა. მისი თავის დროზე გადაუხდელობა მიუტევებელი დანაშაულია. მბეჭდავთა კავშირის ც. გ. ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებას და მიიღოს სასტიკი ზომები კავშირის საწევრო ანარიცხების თავის დროზე ასაკრებად.

უწვერი.

თავისებურად მუშაობენ

(წერილი გორიდან)

გორის სამპროფბიუროში შექმნილ ბიუროკრატიზმს ბოლო არ მოეღო. თანამშრომლები,—უმეტესად ქალები, 15—20 წუთით გვიან მოდიან სამსახურში. მოვლენ, შეხედავენ საათს და ისევ უკან ბრუნდებიან. იმ დროს, როდესაც სხვა დაწესებულებებში გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს, გორის სამპროფბიუროს თანამშრომლები თავისუფლად დასეირნობენ ქალაქში. გარდა ამისა ქალები მუშაობის ნახევარ დროს კერძო ლაპარაკს ანდომებენ. ეს გარემოება აფერხებს პროფბიუროს მუშაობას და სცემს პროფდისციპლინას კავშირის წევრებში.

სამპროფბიუროს ბუღალტერი, ვლადიმერ სოლომაშვილი დიდი ბიუროკრატია. თავმჯდომარემაც რომ გასცეს განკარგულება ფულის გაცემის შესახებ, კავშირის უმუშევარ წევრებზე, ის მაინც არ მისცემს ფულს და დღეს ხვალეობით აწვალებს უმუშევარს. გარდა ამისა სოლომაშვილს ძალიან უყვარს შვებულებაში წასვლა; ამას წინად იგი ერთი დღით წავიდა თბილისში, მაგრამ სინამდვილეში 5 დღე არ დაბრუნებულა სამსახურში საერთო საქმეს კი ბუღალტერი ძალიან გაურბის. იგი კავშირის წევრთა არც ერთ საერთო კრებას ჯერ არ დასწრებია.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ გორის სამპროფბიუროში არავითარი, არც შრომის დისციპლინა და არც პროფდისციპლინა არ არსებობს, თანამშრომლები ისე მუშაობენ, როგორც მათ მოეპრიანებათ.

საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ გამოსწორდეს ეს ნაკლი და განმტკიცდეს პროფდისციპლინა კავშირის წევრებში.

ისარი.

გავაძლიეროთ პროფმუშაობა

26 კომუნარის სახელობის მექანიკურ ქარხანაში პროფდისციპლინა ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე. მართალია ქარხკომი სცდილობს გააძლიეროს პროფმუშაობა და აწიოს კავშირის წევრების კულტურული დონე, მაგრამ იმისათვის, რომ ყველა მუშამ იგრძნოს თავისი პასუხისმგებლობა პროფკავშირის წინაშე და დაიცვას პროფდისციპლინა, არ არის საკმარისი მარტო მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრების მოწვევა და ამ კრებაზე რაიმე პროფესიონალური სახის საკითხების განხილვა. საჭიროა პროფკავშირის თვითეული წევრი უშუალოდ იყოს ჩაბმული ყოველდღიურ პროფმუშაობაში, რათა მან იგრძნოს პასუხისმგებლობა დაკისრებულ მოვალეობის შესრულებაში და ამით ხელი შეუწყოს პროფდისციპლინის გაძლიერებას კავშირის წევრებში.

მაგრამ 26 კომუნარის სახელობის ქარხანაში ეს ასე არ ხდება. აქ ჯერ ერთი, რომ საერთო კრებებს არ ესწრება კავშირის წევრთა მთელი ასი პროცენტი და მეორეც გარდა გამოყოფილ დელეგატებისა, არც ერთი პროფკავშირის წევრი არ არის დატვირთული პროფდავალებით. ამიტომ არის, რომ პროფდისციპლინა კავშირის წევრებში დაცემულია. ამასვე აიხსნება ის გარემოება, რომ კავშირის წევრები, რომლებსაც 8—10 თვის და მეტისაც არ გადაუხდიათ საწევრო გადასახადი, არც ქარხკომი და არც კავშირის ცენტრალური გამგეობა ამ გარემოებას არ აქცევს ყურადღებას. კავშირის წესდების მუხლს, კავშირიდან მექანიკურად გამორიცხვის შესახებ საწევრო ანარიცხების გადაუხდელობის გამო, არ ატარებენ ცხოვრებაში, ეს უარესად სცემს პროფდისციპლინას მასაში.

გარდა ამისა სამქროებში არავითარი მუშაობა არ სწარმოებს პროფდისციპლინის ახსნა-განმარტების მისაცემად მუშებისათვის. ეს გარემოებაც ცოტა არ იყოს აფერხებს მუშების კულტურული დონის ამაღლებას და ხელს უშლის პროფდისციპლინის განმტკიცებას. ამ ნაკლის გამოსასწორებლად საჭიროა ქარხკომმა გააძლიეროს პროფესიონალური მუშაობა მუშებში, ჩააბას კავშირის ყველა წევრი მუშაობაში და მათი კულტურული დონის აწევით განამტკიცოს მუშებში პროფდისციპლინა.

კომუნარელი.

პროფმუშაობის ნაკლი და მიღწევები

(წერილი ბორჩალოდან)

გასულ წლებში ბორჩალოს მაზრაში პროფმუშაობა ძალზე მოისუსტებდა. მიზეზი ამისა, ის იყო, რომ პროფკავშირს არ ჰყავდა სათანადოთ მომზადებული მუშაკები. ამ ბოლო ხანებში ამ გარემოებას მიექცა ყურადღება. ბორჩალოს მაზრაში გადმოგზავნილი იქნენ შერჩეული პროფმუშაკები, რამაც შესაფერი ნაყოფი გამოიღო. წინად კავშირი ვერ იცავდა წევრების ინტერესებს, დღეს კი კავშირი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს თავის წევრებს და იცავს მათ ინტერესებს. ასეთმა მუშაობამ ასწია კავშირის წევრთა აქტიობა და გააძლიერა კულტურული და პროფესიონალური მუშაობა.

ყველა რაიონებში დანიშნული არიან პროფრწმუნებულები, რომლებიც ადგილებზე აწარმოებენ მუშაობას. წინათ ამ მუშაობას ადგილობრივი პარტორგანიზაციები აწარმოებდენ. ამიტომ ვერ იყო სათანადო სიმაღლეზე დაყენებული პროფმუშაობა. დღეს ეს ნაკლი გამოსწორებულია.

მაგრამ ამ მიღწევებთან ერთად პროფკავშირს ნაკლიც აქვს. მაგალითად, კოოპერაციის მუშაობაში პროფკავშირი მოისუსტებს კავშირის წევრების ძალიან მცირე ნაწილი ჩაბმული კოოპერაციაში. ამ გარემოებას მთავარი ყურადღება უნდა მიაქციოს პროფბიურომ და ჩაატაროს კამპანიები აღნიშნულ ნაკლის გამოსასწორებლად.

საკლუბო მუშაობაც ვერ არის სათანადო სიმაღლეზე დაყენებული, ეს უმთავრესად კულტმუშაკთა ნაკლებობით აიხსნება. მიუხედავად იმისა, რომ მაზრაში რამდენიმე კლუბი არსებობს, კავშირს საშუალება არა აქვს ყველგან გააცხოველოს კულტმუშაობა.

სხვა ნაკლთა შორის უნდა აღინიშნოს აგრეთვე კლუბების წევრებისათვის შეღავათების მიუცემლობაც. ეს უკარგავს კლუბის წევრებს კლუბში სიარულის ინტერესს და მისდამი პატივისცემას.

რაც შეეხება სოფლებსა და თემებში კულტმუშაობას, ჯერ-ჯერობით იგი გაცილებით სუსტია. ადგილობრივი კულტძალები ჯერ კიდევ არ არიან გამოყენებული მთლიანად. მომავალში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ პროფკავშირებმა სოფლად კულტურულ მუშაობის გაძლიერებას.

ფიზკულტურის დარგში მუშაობა საკმაოდ გაძლიერდა. ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობაა, მაგრამ თუ ამ თავითვე არ შეუდგნენ საზამთრო ბინების მოწყობას ფიზკულტურისათვის, მომავალში ეს მუშაობაც შენელდება.

იმედია გამოსწორდება აღნიშნული ნაკლი და მომავალში უფრო გაჯანსაღდება პროფმუშაობა მთელს მაზრაში.

ჟანელი.

საბჭოთა მედიცინის ათი წლის თავი

დღესასწაულის ჩატარება თბილისში

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებულმა საბჭოთა მედიცინის 10 წლისთავის დღესასწაულის ჩამტარებელმა კომისიამ დაამუშავა დღესასწაულის თბილისში ჩატარების გეგმა.

დღესასწაულის ჩატარების დღეთ დანიშნულია 21 ოქტომბერი. ამ დღეს თბილისში მოწვეული იქნება სხვადასხვა ადგილას კრებები და მიტინგები, უმთავრესად თბილისის გარნიზონის ნაწილებისათვის. ნავთლუღში—სამხედრო ჰოსპიტალის ეზოში შესდგება რუსული ნაწილების მიტინგი, იქვე რკინისგზელთა კლუბში გაიმართება ქართული ნაწილების წითელარმიელთა კრება. სანიტარული განათლების კლუბში შესდგება თბილისში მყოფ მედსანშრომის მუშაკთა საქალაქო კრება, ხოლო წითელარმიელთა ცენტრალურ საგარნიზონო კლუბში შესდგება გარნიზონის რუსულ ნაწილთა წითელარმიელების კრება.

ყველა კრებებზე და მიტინგებზე დანიშნული არიან მომხსენებლები.

საიუბილეო დღესასწაულის ჩასატარებლად იმ ადგილებში, სადაც დაბანაკებული არიან სამხედრო ნაწილები, წითელი ჯვარი გააგზავნის მოძრავ კინოს. ამავე დღეს გაიმართება წითელარმიელთა ექსკურსიები სანიტარული განათლების სახლის და სხვა სამკურნალო დაწესებულებების დასათვალიერებლად.

მეტი ყურადღება ახტალის კურორტს

ჩვენში ტალახით მკურნალობა დაკავშირებულია ამჟამად საკმაოდ ცნობილ ახტალის ტალახებთან. ახტალა, როგორც ვიცით, მოთავსებულია კახეთის ცენტრში, ამჟამად უკვე ქალაქად აღიარებულ გურჯაანში. ის დაჯილდოებულია საკმაო დებეტიანი მინერალური სამკურნალო ტალახით, და ლამაზ ადგილმდებარეობით, სათანადო თბილი ჰავით. იგი ერთად ერთია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ამიერ-კავკასიაშიაც.

საბჭოთა ხელისუფლება უდიდეს ყურადღებას აქცევს კურორტებს, როგორც მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის ერთ-ერთ მძლავრ ფაქტორს. ჩვენ თვალწინ აღორძინდენ ბორჯომი და აბასთუმანი და ყოველწლიურად ძლიერდება მათი გაფართოება და კეთილმოწყობა.

გაიზარდა წყალტუბო, რომლის აღმშენებლობა დღითი-დღე მატულობს და ამაზე სახელმწიფო დიდი თანხებიც იხარჯება. მაღალმთიან კლიმატიურ კურორტთა შორის გამოირჩევა ბახმარო. უკანასკნელად ცნობილი ხდება მრავალმნიშვნელოვანი და ძალიან კურორტი შოვი, ამიერიდან „შამბოვად" წოდებული. ყველა ეს კურორტები სახელმწიფოს დახმარებით შენდებიან და ეწყობიან აჩქარებული ტემპით.

ჯერი ეხლა ახტალის კურორტზეც უნდა მიდგეს. იგი აქამდე მხოლოდ თავისი საკუთარი მცირედი შემოსავლით არსებობს და ნელა ნაბიჯით ვითარდება. მაგრამ დღევანდელი ცხოვრება, მშრომელთა ინტერესები უყენებს მას სადღეისო მრავალ სანიტარულ, ტეხნიკურ მოთხოვნილებებს და საერთოდ კეთილმოწყობის აუცილებლობას.

თუ რა დიდი სამკურნალო მნიშვნელობა აქვს ახტალას და როგორ იზრდება მისი პოპულიარობა, ამას ჩვენ დავინახავთ, თუ გადავხედავთ მის ავადმყოფთა მოძრაობის ცხრილს 1922—1928 წ. წ. ავადმყოფთა რიცხვი ამ კურორტზე იყო: 1922 წ.—710, 1923 წ.—922, 1924 წ.—1.489, 1925 წ.—2.682, 1926 წ.—2.717, 1927 წ.—2.764 და 1928 წ.—2.500.

თუ მივიღებთ მხედველობაში ახტალაში საბინაო ფონდის უქონლობას, სამკურნალო დაწესებულებების, ტალახით სამკურნალოს სივიწროვეს, და კურორტის დღევანდელ მდგომარეობის ზოგიერთ სხვა მხარეებსაც, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ იგი საკმაოდ არის დატვირთული.

აღსანიშნავია, რომ ახტალაზე მოსიარულე ავადმყოფების 90 პროც. ფიზიკურ შრომის წარმომადგენლები, ე. ი. მუშები და გლეხებია.

საგულისხმოა აგრეთვე ის, თუ საიდან მოდიან ახტალაზე ავადმყოფები, იმ დროს, როცა რეკლამას არ მივმართავთ და ხშირი განცხადებებით არავის ვაწუხებთ.

მაგალითად, წელს ახტალაში გატარებულ 7.500 ავადმყოფთა შორის საბჭოთა რუსეთიდან იყო 13, უკრაინიდან—10, თურქმენისტანიდან—2, აზერბეიჯანიდან—140, სომხეთიდან—127. დანარჩენები მოდიან საქართველოსა და მასში შემავალ ავტონომიური რესპუბლიკების მცხოვრებლებში.

ამგვარად ჩვენ ვხედავთ, რომ ახტალა, მიუხედავად ყოველგვარი მოუწყობლობისა, ცნობილი ხდება არა მარტო საქართველოს ფარგლებში, არამედ იგი უკვე მთელ საბჭოთა კავშირიდან იზიდავს ავადმყოფებს. ეს შესძლო მან მხოლოდ თავისი ბუნებრივი სამკურნალო თვისებების წყალობით.

შეუწყნარებელი იქნება ახტალის შემდეგშიაც ასეთ უმწეო მდგომარეობაში დატოვება. ეს მით უმეტეს, რომ მის გვერდით შენდება ქალაქი გურჯაანი, რომელიც ალბათ ნიმუში იქნება თანამედროვე განვითარებული სანიტარულ ტეხნიკის, უკანასკნელი სიტყვის. ახტალა უნდა აშენდეს ქალ. გურჯაანთან ერთად, როგორც ერთად-ერთი საქართველოში ტალახით სამკურნალო კურორტი. ამისათვის საჭირო თანხები უნდა გამოინახოს.

ქ. დ. ჯავახიშვილი.

ა.-კ. სახკომსაბჭოში

მილის ველის მორწყვა

ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს და უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე მოსმენილ იქნა პროფ. ვასილიევის მოხსენება—„მილის ველი და არაქსის წყალთა მეურნეობა" და ამხ. ლანსბერგის თანამოხსენება მილის ველის მიწების მორწყვის სარგებლობის შესახებ.

ა.-კ. სახკომსაბჭომ და უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ აუცილებლად სცნეს მილის ველის მორწყვის საკითხი დაკავშირებულ იქნეს ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობის გენერალურ გეგმასთან. საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭოს ყოფ. კომისიის (ამჟამად ა.-კ. სახკომსაბჭოს კომისიის) მიერ შემუშავებული პროექტი მილის ველის მორწყვისა გადაწყვეტილია ჩაითვალოს გეგმის ერთერთი ვარიანტათ. იმის გამო, რომ ამ კომისიის მუშაობას დიდი მნიშვნელობა აქვს, აუცილებლად იქნა ცნობილი მუშაობის მასალების დაბეჭდვა.

ა.-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს დაევალა შეიმუშაოს პრაქტიკული ღონისძიებანი მილის ველის მორწყვის გასატარებლად და დასამტკიცებლად წარუდგინოს ა.-კ. სახკომსაბჭოს. ა.-კ. სახკომსაბჭოს კომისიამ მის მიერ ჩატარებულ მუშაობის ყველა მასალები უნდა გადასცეს ა.-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს.

ადმინისტრატიულ - სამმართველო ხარჯები

ა.-კ. სახკომსაბჭოს და უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე მოსმენილ იქნა ა.-კ. ფინსახკომის და ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის მოხსენება იმის შესახებ, თუ რამდენათ იქნა შესრულებული ა.-კ. სახკომსაბჭოს მიერ ა.-წ. აგვისტოში გამოცემული დირექტივები ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების დაწესებულ ნორმამდე დაყვანისათვის საჭირო ღონისძიებების შემუშავების შესახებ. ა.-კ. ფინსახკომის და ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ გატარებული ღონისძიებები მოწონებულ იქნა.

მაგრამ, ამასთანავე, აღნიშნული იქნა, რომ თუმცა სახელმწიფო ფინკონტროლის სამმართველოსა და ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ ჩატარებულ მუშაობის წყალობით შესაძლებელი გახდა ზოგიერთი შედეგების მიღება ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების შემცირების შესახებ გამოცემულ დირექტივის შესრულებიდან, მაგრამ მიუხედავად ამისა დირექტივა მთლიანად შესრულებული არ არის.

ა.-კ. ფინსახკომს დაევალა წარადგინოს სახკომსაბჭოში მოხსენება იმის შესახებ, თუ რა შედეგები გამოიღო ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების 20 პროც. შემცირებამ სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტში.

საქ. სახკომსაბჭოში

რაჭა-ლეჩხუმის და სვანეთის ელსადგურის შესახებ

სახკომსაბჭოს და ეკ. საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ დაავალა ფინანსთა სახ. კომისარიატს გაითვალისწინოს რაჭა-ლეჩხუმის და სვანეთის მაზრების 1928-29 წ. ადგილობრივ ბიუჯეტში 10.000 მან. ხსენებულ მაზრებში ელსადგურის გამოკვლევისა და ტეხნიკური ხარჯთ-აღრიცხვის შესადგენად.

ღონისძიებანი კურორტ ბორჯომის გასაუმჯობესებლად

სახკომსაბჭოსთან დაარსდა კომისია ამხ. თოდრიას (თავმჯდომარე), ვარძიელის, მ. ორახელაშვილის, მამალაძისა და ქურდაძის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა წარმოუდგინოს სახკომსაბჭოს თავისი მოსაზრებანი იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელიც საჭიროა კურორტ ბორჯომის გასაუმჯობესებლად და კურორტთა სამმართველოს და ბორჯომის აღმასკომის ფუნქციების გასაზღვრისათვის.

აღნიშნულ კომისიას დაევალა აგრეთვე გამოარკვიოს საკითხი იმის შესახებ, თუ საკურორტო მნიშვნელობის მქონე რომელი საგნები უნდა გადაეცეს საკურორტო სამმართველოს.

რესპუბლიკანური გზების შეკეთება

სახკომსაბჭოს და ეკ. საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ საჭიროთ სცნო აღიძრას შუამდგომლობა ა.-კ. სახკომსაბჭოს წინაშე, რათა ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს მიეცეს 1928-29 წ. ანგარიშში 50.000 მან. რესპუბლიკანური გზების საჭიროებისათვის.

მინერალური სასუქების წარმოება და მათი გამოყენება სოფლის მეურნეობაში

ხელოვნების სასუქის რაციონალურად და მაქსიმალურად გამოყენების მიზნით საჭიროდ იქნა ცნობილი მოეწყოს 1928-29 და 1930-31 წ. წ. განმავლობაში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ისეთი საცდელი და სამეცნიერო - საგამომკვლევო სამუშაოები, რომელნიც მიმართული იქნება ხელოვნურ სასუქის გამოყენებისა და გეო-ბოტანიკური ნიადაგო და ეკონომიური გამოკვლევის წარმოებისაკენ.

აღიძრა შუამდგომლობა სათანადო ორგანოების წინაშე, რათა გადიდებულ იქნეს ასიგნობა 193.851 მან. რაოდენობით საქართველოში სამეცნიერო - საგამომკვლევო მუშაობის ჩასატარებლად და ა.-კ ს.ფ.ს. რესპუბლიკაში შემოსაზიდ მინერალურ ნასუქებზე რკინის გზის ტარიფის შესამცირებლად. დაევალა ს.მ.უ. საბჭოს შეისწავლოს საკითხი საქართველოში მინერალურ სასუქის წარმოების შესაძლებლობის შესახებ.

ა.-კ. პროფსაბჭოში

მთლიანი კოლექტიური ხელშეკრულება

მთლიანი კოლექტიური ხელშეკრულების გამოსამუშავებლად ამ.-კავკასიის პროფსაბჭომ გადასწყვიტა ახლო მომავალში თბილისში მოიწვიოს სპეციალური თათბირი.

სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრები

ამ.-კავკასიის პროფკავშირთა საბჭომ დაადგინა ახლო მომავალში მოიწვიოს თათბირი ამ.-კავკასიის საგეგმო კომისიისა და რესპუბლიკათა პროფსაბჭოების მონაწილეობით ამ.-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრების საბოლოოდ განსახილველად.

თბილისის სატრიკოტაჟო ქარხანა

ს. მ. უ. ს. საწარმოო-საგეგმო განყოფილებაში მიღებულია იმ სატრიკოტაჟო ნაწარმოების ნიმუშები, რომლებიც დამზადებული იქნება თბილისის სატრიკოტაჟო ქარხნის მანქანებით, ნიმუშებს შორის არის ქალის და ვაჟის წინდები და სხვ. სატრიკოტაჟო ნაწარმოებები. ამავე დროს უცხოეთის, უმთავრესად, გერმანიის სამანქანო ფირმებიდან მიღებულია წინადადება, რომ მათ შეუკვეთონ სატრიკოტაჟო ნაწარმოების დამამზადებელი მანქანები. მანქანების შეძენა და სათანადო ტიპის მანქანების შერჩევა დავალებული აქვს ინჟ. გ. კოჩინაშვილს, რომელიც მივლინებულია გერმანიაში ქაღალდის წარმოების საქმის გასაცნობათ.

ს. მ. უ. ს საწარმოო-საგეგმო განყოფილების ცნობით თბილისის სატრიკოტაჟო ქარხნისათვის შეძენილი იქნება ავტომატიური თვითმომუშავე მანქანები, რომელთაც მეთვალყურეობას ეყოლება მხოლოდ ერთი მუშა. თვითეული მანქანა დღე-ღამეში დაამზადებს არაუკლებ 6—7 თორმეტეულ ქალის და ვაჟის წინდებს.

მანქანების მიღებისთანავე დაწყებული იქნება მათი დადგმა მე-3 თამბაქოს ფაბრიკის შენობაში, სადაც მოწყობილი იქნება სატრიკოტაჟო ქარხანა. ქარხანა მუშაობას დაიწყებს 1929 წლის გაზაფხულიდან თუ ამ ხნისათვის მოესწრო თვითეულ სატრიკოტაჟო მანქანისათვის შესაფერი ძალოვნების ელექტრო-მოტორის დამზადება. ელექტრო-მოტორებს შეუკვეთენ საბჭოთა კავშირის ელექტრო-მანქანათა დამამზადებელ ქარხნებს.

თბილისის სატრიკოტაჟო ქარხანაში დამზადებული ნაწარმოები ღირსებით და გარეგნულად გაცილებით უკეთესი იქნება, ვიდრე საზღვარგარეთიდან შემოტანილი ასეთივე ნაწარმოები, ვინაიდან აქ ნაწარმოები დამზადდება წმინდა ბუნებრივი აბრეშუმიდან.

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი

მთელ საბჭოთა კავშირში გასაღებულია 400,000,000 მან. ობლიგაცია

მოსკოვი, 18 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის ფინსახკომის წინასწარი არა სრული ცნობებით, ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი განაღდებულია 400 მილ. მანეთის რაოდენობით (ადს).

სესხის რეალიზაციის შედეგები ამიერ-კავკასიაში

ამიერ-კავკასიის ფინსახკომის სავალიუტო სამმართველოს ცნობით, ამჟამად მთელ ამ.-კავკასიაში გასაღებულია დაახლოებით 14 მილ. მანეთის ინდუსტრიალიზაციის მე-2 სესხის ობლიგაციები.

აქედან საქართველოზე მოდის 6.000.000 მანეთამდე, აზერბეიჯანზე—6.500.000 მანეთი და სომხეთზე 2.000.000 მანეთზე ცოტა ნაკლები. ცალკე ქალაქებში სესხის რეალიზაციის საქმე იძლევა შემდეგ სურათს: თბილისში გასაღებულია 4 მილიონ მანეთამდე, ბაქოში 5 მილიონზე მეტი და ერევანში 1.500.000 მან. რესპუბლიკანური ფინსახკომები ა.-კ. ფინსახკომს ატყობინებენ, რომ უკანასკნელი კვირის განმავლობაში სოფლად ფართოდ სწარმოებს სესხის სარეალიზაციო კამპანია. სესხის რეალიზაციაში ებმებიან როგორც გლეხები, აგრეთვე ხელოსნები და შინამრეწველები. ქალაქებში მიღებულია ზომები ე. წ. კერძო სექტორის ჩასაბმელად სესხის რეალიზაციაში.

გარდა ამისა რესპუბლიკების ზოგიერთ რაიონებში მოხდა სესხის რეალიზაციის კამპანიის ჩატარების შემოწმება. ბევრგან აღმოჩენილია დეფექტები, რომელთა გამოსასწორებლად ყველგან მიღებულია სასწრაფო ზომები.

სესხის რეალიზაცია აჭარისტანში და აფხაზეთში

თბილისში დაბრუნდა საქ. ფინსახკომის სავალიუტო სამმართველოს უფროსი ნ. ქოიავა, რომელიც მივლინებული იყო აჭარისტანში და აფხაზეთში ინდუსტრიალიზაციის მე-2 სესხის რეალიზაციის კამპანიასთან გასაცნობათ.

აჭარისტანში სესხის რეალიზაციის შესახებ ნ. ქოიავამ ჩვენს თანამშრომელს შემდეგი აცნობა.

— ყველა ავტონომიურ რესპუბლიკებზე უფრო წარმატებით სესხის გასაღება მიმდინარეობს აჭარისტანში. სესხის გასაღებაში და მოსამზადებელ კამპანიის ჩატარებაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ ყველა საზოგადოებრივი და პროფესიონალური ორგანიზაციები. აჭარისტანისათვის სესხის გასაღების საკონტროლო ციფრი განსაზღვრული იყო 265.000 მანეთით. მაგრამ ამჟამად ეს თანხა ბევრად გადაცილებულია და გასაღებულია 500.000 მანეთზე მეტის ობლიგაცია. საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ აჭარისტანში სულ გასაღდება 600.000 მან. სესხი.

სესხის რეალიზაცია წარმატებით მიმდინარეობს აგრეთვე აჭარისტანის სოფლებშიაც.

აფხაზეთში საკონტროლო ციფრი—280.000 მან. გადაცილებულია და ამჟამად უკვე გასაღებულია 312.000 მან. ობლიგაცია, მაგრამ ორგანიზაციულად სესხის კამპანიას აფხაზეთში ძალიან ბევრი ნაკლი აქვს. 8 ოქტომბრამდე სესხის სარეალიზაციოთ აფხაზეთის სოფლებში არავითარი კამპანია არ ყოფილა დაწყებული. მუშაობა სესხის პოპულიარიზაციისათვის მუშა-მოსამსახურეებში სუსტია. არავითარი ყურადღება არ აქვს მიქცეული სესხის გასაღებას შინა-მრეწველებში და ხელოსნებში და აგრეთვე კერძო ვაჭრებს შორის.

სესხის კამპანია მთლიანად სწარმოებს აფხაზეთის პროფკავშირების ძალებით. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ დანარჩენი საზოგადოებრივი ორგანიზაციები სესხისადმი არავითარ ინტერესს არ იჩენდენ. საქართველოს ფინსახკომმა მიიღო ზომები, რომ აფხაზეთში შემჩნეული დეფექტები დაუყოვნებლივ იქნეს გამოსწორებული.

ფოთში და მის რაიონში სესხის გასაღების საქმე დიდი წარმატებით მიმდინარეობს. უკვე გასაღებულია 140.000 მანეთის ობლიგაცია, საკონტროლო ციფრი კი უდრიდა 40.000 მანეთს.

დასავლეთ საქართველოში

ქუთაისის მაზრიდან დაბრუნდა საქ. ფინსახკომის სავალიუტო სამმართველოს ინსტრუქტორი, რომლის ცნობებით ხელის მოწერის კამპანია ყველა რაიონებში გაცხოველებით მიმდინარეობს. გლეხები ხელის მოწერის კამპანია ყველა რაიონებში გაცხოველებით მიმდინარეობს. გლეხები ხელის მოწერის ადგილებზე ჯგუფ-ჯგუფად ცხადდებიან და სესხზედაც კოლექტიურად აწერენ ხელს. სესხის რეალიზაცია განსაკუთრებული წარმატებით მიმდინარეობს ხონის, სამტრედიის და ბაღდადის რაიონებში. უკანასკნელი კვირისათვის ქუთაისის მაზრაში უკვე გასაღებული იყო 120.000 მანეთის ობლიგაცია.

რაჭა-ლეჩხუმის მაზრაში დღემდე სესხის გასაღება დაბრკოლებული იყო იმ გარემოებით, რომ სწარმოებდა მუშაობა რაჭა-ლეჩხუმის მაზრების გასაერთიანებლად. ამჟამად მაზრაში უკვე დაწყებულია სესხის კამპანია და არის საბუთი ვიფიქროთ, რომ სესხის რეალიზაცია უკვე გაერთიანებულ მაზრაში წარმატებით იქნება ჩატარებული. დღემდე მთელ მაზრაში გასაღებულია 70.000 მანეთის ობლიგაცია.

ქუთაისის მაზრაში

ქუთაისი, 17 ოქტომბერი. ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაციამ ქუთაისის მაზრაში ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა. მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე გამოტანილ რეზოლიუციები სესხზე ხელის მოწერის შესახებ ერთი თვის სამუშაო ხელფასის რაოდენობით. ამჟამად სესხზე ხელის მოწერამ 495,507 მანეთამდე მიაღწია. ეს ციფრი თვალსაჩინოთ სჭარბობს საკონტროლო ციფრებს (370.000 მან.). სესხი გლეხთა შორისაც დიდის წარმატებით ვრცელდება.

წითელი ჯვრის წარმომადგენელთა კონფერენცია

18 ოქტომბერს საღამოს გაიხსნა საქართველოს წითელი ჯვრის ც. კ.-ის პრეზიდიუმისა და ადგილობრივი განყოფილებათა წარმომადგენელთა რესპუბლიკური კონფერენცია.

პირველ სხდომაზე წითელი ჯვრის საზოგადოების მუშაობის შესახებ საინფორმაციო მოხსენებით გამოვიდა წ. ჯვ. თავმჯდომარე ამხ. ი. მამულია.

შეეხო რა საზოგადოების მუშაობასა და ადგილობრივი კომიტეტების საქმიანობას, ამხ. მამულიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ადგილობრივი კომიტეტების ორგანიზაციული სტრუქტურა არ შეეფერება იმ ამოცანებს, რომლებიც მათ წინაშე სდგას. თუ ადგილობრივი კომიტეტების სტრუქტურა ახლო მომავალში არ შეიცვალა, წითელი ჯვრის მუშაობა ადგილებზე ვერასოდეს ვერ დადგება შესაფერ სიმაღლეზე. განვლილ პერიოდში ადგილებზე მუშაობა არ ტარდებოდა ისე, როგორც ეს სასურველია და ამის მიზეზი მხოლოდ ორგანიზაციული მუშაობის სისუსტე იყო.

მიუხედავათ იმისა, რომ განვლილ პერიოდში წითელი ჯვრის სამეურნეო დაწესებულებები ადგილებზე კარგად მუშაობდენ და მოსახლეობაც ამ დაწესებულებების მუშაობით კმაყოფილია, მაინც მთელი სიგრძე-სიგანით იშლება მასიური მუშაობის გაძლიერების საკითხი. მომხსენებლის სიტყვით, ადგილობრივი კომიტეტები თავის საქმიანობაში არ ემყარებიან საზოგადოების წევრთა მასებს, რადგან ადგილებზე საზოგადოების წევრთა რიცხვი არც ისე მრავალრიცხოვანია. ამიტომ მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია, რომ მომავალში გაძლიერდეს მშრომელთა ჩაბმა წითელი ჯვრის საზოგადოებაში. საზოგადოების წევრთა რიცხვის გასამრავლებლად მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია შემდეგი ღონისძიებების მიღება: საზოგადოების [illegible] მიეცეს ზოგიერთი შეღავათები წითელი ჯვრის აფთიაქებიდან წამლების გატანის დროს, მოეწყოს კურსები სანიტარული [illegible] სალიკვიდაციოთ, ჩატარებულ იქნეს ფართო საგიტაციო საპროპაგანდო კამპანიები საზოგადოებაში ახალ წევრთა მოსაზიდავათ და სხ. ყველა ღონისძიებები ცხოვრებაში გატარებული უნდა იქნეს იმ ვარაუდით, რომ 1929 წლის 1-ლი ნოემბრისათვის წითელი ჯვრის წევრთა რიცხვი უდრიდეს 100.000-ს.

გადავიდა რა საზოგადოების ფინანსიური მდგომარეობის დახასიათებაზე, მომხსენებელმა საჭიროდ აღიარა, რომ ადგილობრივმა კომიტეტებმა (მაზრებში) ხელი აიღონ ახალი წარმოებების გახსნაზე, თუ მათ სამისოდ არ ექნებათ დასტური საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისაგან. იყო შემთხვევა, როდესაც ადგილები ხელს კიდებდნენ ახალ წარმოებების მოწყობას და მოგების მაგიერ ზარალს იღებდენ. ეს კი იწვევდა საზოგადოების საერთო ფინანსიური მდგომარეობის გაუარესებას.

შემდეგ კონფერენციამ მოისმინა ექიმ სა. თელავას მოხსენება საორგანიზაციო საკითხების შესახებ. მომხსენებელმა წაიკითხა საზოგადოების საორგანიზაციო მუშაობის გეგმა და დაწვრილებით განმარტა გეგმის ზოგიერთი მუხლები.

მესამე მოხსენებით საექიმო-სასანიტარო მუშაობის ამოცანების შესახებ გამოვიდა ექ. ა ძიძაძე.

მან აღნიშნა, რომ არსებული საექიმო-სასანიტარო დაწესებულებების მუშაობით მოსახლეობა თითქმის ყველგან ძლიერ კმაყოფილია და საჭიროა, რომ მომავალში აღნიშნულ დაწესებულებათა რიცხვი არა თუ შემცირდეს, არამედ უფრო გაფართოვდეს. სოფ. ბაისუბანში (კახეთი). მაგალითად, მომხსენებლის განცხადებით, წითელი ჯვრის სამკურნალო პუნქტმა შესძლო თითქმის სრულებით აღმოეფხვრა მალარია და ამჟამად ადგილობრივი მოსახლეობა გადაარჩინა გადაგვარებისა გადაშენებისაგან.

დასასრულ მომხსენებელმა წაიკითხა საექიმო სასანიტარო საქმის განვითარების 5 წლიანი პერსპექტიული გეგმა.

კამათი სამივე მოხსენების გარშემო გაიმართება კონფერენციის დღევანდელ სხდომაზე.

ხორბლეულის დამზადება

ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახ. კომისარიატის ცნობებით, ხორბლეულის დამზადება ამ.-კავკასიაში გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობს.

ხორბლეულის დამზადების კამპანიის დასაწყისიდან ა.-წ. 11 ოქტომბრამდე აზერბეიჯანში დამზადებულია 349.500 ფუთი პური, ხოლო გეგმით კი უნდა დამზადებულიყო 539.600 ფუთი, მაშასადამე დამზადების გეგმა შესრულებულია 64,7 პროცენტით.

ამ ხნის განმავლობაში დამზადებულია 788.800 ფუთი ქერი, გეგმით კი უნდა დამზადებულიყო 602.500 ფუთი. მაშასადამე დამზადების გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით (130,9 პროც.).

მარგანეცის ექსპორტი

ჭიათურის მარგანეცის ტრესტმა, რომელიც ჰარიმანის კონცესიის ლიკვიდაციის შემდეგ მოეწყო, 1-ლ აგვისტოდან 15 ოქტომბრამდე გაიტანა საზღვარგარეთ: აგვისტოში—23.360 ტონა მარგანეცი, სექტემბერში — 17.500 ტონა და ოქტომბრის პირველ ნახევარში — 5.450 ტონა. ტრესტის მიერ აგვისტოში საზღვარგარედ გატანილი მარგანეცი შესყიდულია ამერიკისა, იტალიისა და საფრანგეთის მიერ. სექტემბერში გატანილი 15.200 ტონა მარგანეცი შეისყიდა ამერიკამ, დანარჩენი გერმანიამ.

5.450 ტონა ჭიათურის მარგანეცით დატვირთული გემი, რომელიც ფოთიდან ოქტომბრის დამდეგს გავიდა, ამერიკისკენ გაემართა.

საკრედიტო ამხანაგობის მუშაობა სამაგალითოა

(წერილი სენაკიდან)

1927 წლის 1 ოქტომბრისათვის სენაკის საკრედიტო ამხანაგობის ფინანსიური მდგომარეობა ისე იყო აწეწილი, რომ 3600 მან. ზარალი ლამის გაკოტრებას უქადდა მას. ამ წაგების გამო წევრებში გაისმოდა ყრუ და ზოგან კი აშკარა უკმაყოფილება. ზოგიერთი წევრი გასვლითაც იმუქრებოდა და პაის დაბრუნებას ითხოვდა. ასეთ მდგომარეობაში იყო სენაკის საკრედიტო ამხანაგობა, როცა ახალი გამგეობა ჩაუდგა მას სათავეში.

მართალია ძნელი იყო საქმის გამოსწორება, დაკარგული ავტორიტეტის აღდგენა, მაგრამ რას ვხედავთ ჩვენ ამას წინად მომხდარ საკრ. ამხ. რწმუნ. ყრილობაზე? აქ ჩვენს თვალწინ გადაიშალა გამგეობის, რომლის თავმჯდომარეთ ამხ. პ. ნაჭყებია ითვლებოდა, საღი, ნაყოფიერი მუშაობა.

რა გაუკეთებია გამგეობას ამ ათი თვის განმავლობაში?

თუ 1927 წლის 1 ოქტომბრისათვის ამხანაგობაში მხოლოდ 834 წევრი ითვლებოდა, 1928 წლის აგვისტოში ის გაიზარდა არაჩვეულებრივად: ამხანაგობაში ჩაეწერა 1068 ახალი წევრი. იმ წევრებმა კი, რომელთაც საპაიო თანხა ნაწილობრივ ჰქონდათ შეტანილი, შესძლეს საპაიო თანხის მთლიანად შეტანა, რითაც გააუმჯობესეს ამხანაგობის ფინანსიური მდგომარეობა.

გამგეობა დიდ ყურადღებას აქცევდა, რომ თანხეები აუცილებლად თავის მიზნებს მოხმარებოდა. მართლაც, თუ წინეთ შემჩნეული იყო გლეხობაზე სესხად გაცემული თანხების არა თავის მიზანზე დახარჯვა მიმდინარე წლის ასეთს ბოლო ეღება და ჩვენ ვხედავთ, რომ გლეხობას მიეცა 26 ათასი მოკლე და 48 ათასი გრძელვადიანი სესხი. ეს თანხა, რომელიც, დაბანდებულ იქნა რამოდენიმე ასეულ გლეხის ხელში მოხმარდა პირდაპირ დანიშნულებაზე, რამაც საკრ. ამხ. ავტორიტეტი ძალზე ასწია.

გამგეობა დიდ ყურადღებას აქცევდა, რომ გლეხობა დროზე მომარაგებია სას.-სამ. იარაღებით და სხვადასხვა წამლებით. ამიტომ იყო, რომ გუთანი, ფარცხი, სამარგლავი მანქანა, შაბი, გოგირდი იმდენი იქნა მოტანილი, რომ დაკმაყოფილდა გლეხობაც და ზედმეტიც დარჩა. ამ მხრივ გლეხობა მეტად კმაყოფილი იყო.

დიდი ყურადღება მიექცა სოფლად გლეხობაში თათბირების და საუბრების მოწყობას. ამის შედეგი იყო სხვათა შორის ის გარემოება, რომ წევრთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა.

სასოფლო მეურნეობის პროდუქციის დამზადებაც არ იყო დატოვებული გამგეობის ყურადღების გარეშე. დამზადდა 147 ათასი მანეთის დაფნა, 53 ათასი მან. თხილი. 10 ათასი მანეთის კვერცხი და 105 მან ბამბა

რაც შეეხება ანაბარების საკითხს, აქაც ათითი იზრდებოდა და თითქმის 50 პროც. გადააჭარბა 1917 წლის ანაბარების რაოდენობას. ასეთი მუშაობის შედეგი ის იყო, რომ საკრ. ამხ. მოიგო 9.966 მან., რომელი თანხიდან დაფარა წინანდელი ზარალი 3.600 მან. რაოდენობით, შეიძინა ახალი ორსართულიანი სახლი 2.200 მანეთად და დანარჩენი კი დარჩა როგორც ფულადი მოგება.

ამგვარად, გამგეობის ათი თვის მუშაობა იყო მეტად ნაყოფიერი. რწმუნ. ყრილობამ გამგეობის მუშაობა სცნო ფრიად დამაკმაყოფილებლად.

გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ქ. ნაჭყებია, რადგანაც ის გადაიყვანეს საპ. ზრ. აღმასკომში, განთავისუფლებულ იქნა თავმჯდომარის მოვალეობიდან და მის ადგილზე აირჩიეს ამხ. ილ. ჭანტურია.

ახალ გამგეობაზეა ეხლა დამოკიდებული, თუ როგორ ნაყოფიერად გაუძღვება ის ვაჩარხულ საქმეს და რამდენად გააფართოვებს მის მუშაობას.

სენაკის საკრ. ამხ. უკვე ჯანსაღია; სწორ გზაზე დგას. საჭიროა მტკიცე ნებისყოფით დაწყებული მუშაობის გაგრძელება.

ბ. უჩანეიშვილი.

ქრონიკა

გადასვლა 7 საათის სამუშაო დღეზე

საქართველოს საგეგმო კომისიამ ეკონომიურისა და ტეხნიკურის თვალსაზრისით შესაძლებლად აღიარა 1928—29 წელს საქართველოში შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადაყვანილ იქნან შემდეგი წარმოებები: ქუთაისის მაუდის ქარხანა, ორი სტამბა—ერთი—გაზ. „ზარია ვოსტოკა“-სი და ერთი—ამ.-კავკ. რკინის გზებისა, ორი ლიტოგრაფია, ტყავის ქარხანა № 1, აგურის ქარხანა —თბილისში. საქართვ. თამბაქოს ტრესტის სარემონტო-მექანიკური სახელოსნოები, შუშის ქარხანა—ბორჯომში, აბრეშუმის სართავი ფაბრიკა—თბილისში, ბორჯომის სატკეჩე ქარხანა, თელავის აბრეშუმის სართავი ფაბრიკა და ლითონის ჩამომსხმელი ქარხანა თბილისში.

საგლეხო სესხის ტირაჟი დაიწყება დღეს

ამიერ-კავკასიის ფინსახკომის ცნობით, დღეს ეჩმიაძინში (ვაგარშაპატში) დაიწყება გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის მე-17 ტირაჟის გათამაშება, რაც დასრულდება 22 ოქტომბერს.

ტირაჟს ყველა რესპუბლიკებიდან დაესწრებიან მაზრებიდან გამოგზავნილი დელეგატები. სულ გათამაშებული იქნება 1386 მოგება. მათ შორის ერთი მოგება 1000 მანეთიანია, 5—ხუთასმანეთიანი, 800—ასმანეთიანი და 1080 მოგება 50 მანეთიანი თითო. სულ ყველა მოგებათა თანხა უდრის 87.500 მანეთს.

სასოფლო-სამეურნეო სკოლა ორთაჭალაში

ორთაჭალის ბაღებში თბილისის აღმასკომის სადგილ-მამულო განყოფილება აწარმოებდა საცდელ-საჩვენებელ მეურნეობას, მაგრამ ამ მეურნეობას თბილისის მაზრის გლეხები ვერ ეცნობოდნენ უშუალოდ სიშორის გამო. ამიტომ თბილისის აღმასკომმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა ორთაჭალაში გადაიტანოს მუშტაიდის ქუჩაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო სკოლა, რომელსაც პრაქტიკულ საწარმოებლად გადაეცემა ორთაჭალის ყველა ბაღები.

ორთაჭალის ნაცვლად საცდელ-საჩვენებელი მეურნეობა კი მოეწყობა დუშეთის მაზრაში ხიმშიაშვილისეულ მამულში.

თბილისის აღმასკომში

◆ „მოსავლის დღე“-ს ჩასატარებლად მაზრაში თბილისის აღმასკომმა გადადო 2000 მ.

◆ აღბულაღის სასოფლო-სამეურნეო კომუნას დახმარების სახით მიეცა 1500 მანეთი.

◆ კეთილმოწყობის განყოფილებასთან დაარსდა სექცია, რომლის განკარგულებაში გადავიდა ქალაქში არსებული სასაფლაოები.

ზაჰესის ენერგია. თელასი ამჟამად იმუშავებს ზაჰესის ენერგიით სარგებლობის იაფ ტარიფს.

წითელ ჯვარში

— **წითელი ჯვრის კომიტეტი რკინისგზებზე:** ახლო მომავალში ა/კ. რკინის გზებზე დაარსდება წითელი ჯვრის კომიტეტი.

— **ლექციები და საუბრები** — საქ. წითელმა ჯვარმა გადასწყვიტა, კახეთის მაზრაში ჩაატაროს ლექციები და საუბრები პირველ საექიმო დახმარების შესახებ.

—**ახალი სამკურნალო დაწესებულებები:** წითელი ჯვარი რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთში ხსნის ახალ სამკურნალო დაწესებულებებს.

სხვადასხვა

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები.** ბათომიდან—ლილონტს, სირდარიიდან — მამულაშვილს ცხინვალიდან—იუფოტს, ახტალიდან—ავეტისიანს.

დედათა და ბავშვთა დაცვის საქმე ჩვენში

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდანვე დედათა და ბავშვთა დაცვის საქმეს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

დედათა და ბავშვთა დაცვის გაძლიერების მიზნით და მოსახლეობის შორის შესაფერი კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის ჩასატარებლად პირველ რიგში დაარსებული იქნა კონსულტაციები. ვინაიდან საქართველოში დედათა და ბავშვთა დაცვის საქმეში არ იყო შესაფერი გამოცდილება, მიღებული იქნა ზომები მედპერსონალის სათანადოთ მოსამზადებლად. დედათა და ბავშვთა დაცვის საქმე მკვიდრ ნიადაგზე იქნა დაყენებული 1927 და 1928 წლებში.

1928 წლიდან დედათა და ბავშვთა დაცვის საქმისათვის მუდმივი ფონდის დაარსების გამო მუშაობა განსაკუთრებით გამოცოცხლდა.

ჯანმრთელობის კომისარიატის დედათა და ბავშვთა დაცვის განყოფილების ცნობით 1927 წელში მთელ საქართველოში არსებობდა 20 საბავშო კონსულტაცია, ამჟამად კი არსებობს 31 კონსულტაცია.

კონსულტაციები ჯერ არ არის მოწყობილი ბორჩალოს, ახალქალაქის, დუშეთის, შორაპნის და ოზურგეთის მაზრებში.

მიმდინარე წელს საქართველოში გაიხსნა ქალთა 14 კონსულტაცია. ამჟამად რესპუბლიკაში არსებობს სულ ქალთა 16 კონსულტაცია; მათ შორის თბილისში 5, თბილისის მაზრაში—1, დანარჩენი კონსულტაციები მოწყობილია რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეებში.

შედარებით მცირეა საბავშო ბაგების რაოდენობა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში თბილისში არსებობდა 7 ბაგა, ხოლო 3 ბაგა საქართველოს დანარჩენ მაზრებში. ბაგების ასეთი სიმცირე გამოწვეულია მით, რომ თვითეული ბაგის გახსნა და შენახვა უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე 4—5 კონსულტაციის შენახვა. მიღებულია ზომები, რათა გამონახული იქნეს თანხები ბაგების გასახსნელად საჭირო რაოდენობით.

ჩამოთვლილ დაწესებულებებს გარდა არსებობს ძუძუმწოვარ ბავშთა სახლები თბილისში, ქუთაისში და სოხუმში.

სამივე სახლში მოთავსებულია 240 ბავში. სახლების მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესების გამო უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად შემცირდა ბავშთა სიკვდილიანობის პროცენტი.

დღემდე ვერ მოხერხდა ამ სახლებთან სარძეო სამზარეულოების მოწყობა. წელს გადაწყვეტილია ასეთი სამზარეულო გაიხსნას თბილისის ძუძუმწოვარ ბავშების სახლთან.

საბავშო დაწესებულებების მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით საბავშო კონსულტაციებთან დაარსებული იქნა საბჭოები, რომელშიაც შედიან მშობელთა, პარტიულ, პროფესიონალურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სახელმწიფო ხარჯით წელს საბებიო-გინეკოლოგიურ ინსტიტუტთან მოეწყო ცენტრალური კონსულტაცია ძუძუმწოვარ ბავშებისა და ქალებისათვის. ცენტრალური კონსულტაცია ხელმძღვანელობას უწევს მაზრებში არსებულ კონსულტაციებს.

საქართველოს ცაკის მიერ გადადებულ თანხით წელს სვანეთში მოეწყო 2 მოძრავი ტიპის კონსულტაცია.

დახმარება კოლმეურნეობებს

საქართველოს კოლმეურნეობათა ცენტრის ცნობით, 1927 წლის 1-ლ იანვრისთვის საქართველოში ითვლებოდა 85 კოლმეურნეობა. აქედან 19 სასოფლო - სამეურნეო არტელი, 59 მიწის საზოგადო შრომით დამმუშავებელი ამხანაგობა და 7 კომუნა. ყველა ამ კოლექტივებში გაერთიანებული იყო 1454 გლეხის მეურნეობა.

შემდეგ კოლმეურნეობათა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა და მათი რაოდენობა 1928 წლის 1-ლ იანვრისათვის მთელ საქართველოში უდრიდა 212, რომელშიაც გაერთიანებული იყო 3537 გლეხის მეურნეობა.

1926-27 წლის განმავლობაში 76 კოლმეურნეობას სესხად მიეცა 200.550 მანეთი. თითო კოლექტ. მეურნეობაზე საშუალოდ მოდიოდა 263 მანეთი, ხოლო კოლმეურნეობის თვითეულ წევრზე საშუალოდ 120 მანეთი.

1927-28 წლის განმავლობაში საქართველოში არსებულ კოლექტიურ მეურნეობებს სესხად მიეცა 338.253 მ. აქედან მანქანა-იარაღების შესაძენად — 112.072 მანეთი, მევენახეობისათვის — 83.650 მ., თესლის დასამზადებლად — 20.000 მ., ჯიშიან და მუშა-საქონლის შესაძენად — 40.000 მ., საჭირო შენობების ასაგებად — 23.400 მ., მებაღეობისათვის — 6.500 მ., სუბტროპიკულ მცენარეების გასაშენებლად — 32.625 მ., მეფუტკრეობისათვის — 5.400 მ., მეფრინველეობისათვის — 5.308 მ., მეთამბაქოეობისათვის — 500 მ., გარდა ამისა მოკლევადიან სესხის სახით კოლმეურნეობებმა მიიღეს 26.500 მ.

უკანასკნელ გამოკვლევის მიხედვით თვითეულ კოლმეურნეობის წლიური შემოსავალი საშუალოდ შეადგენს 3.868 მანეთს. შემოსავალი საგრძნობლად გაიზრდება, როცა კოლმეურნეობები დაამთავრებენ ორგანიზაციულ მუშაობას და მიეცემა ჩამოყალიბებულ ორგანიზაციის სახე.

განზრახულია მიმდინარე 1928-29 წელში კოლმეურნეობებს სესხი მიეცეს მეტი რაოდენობით, ვიდრე გასულ საანგარიშო წელში. გარდა ამისა კოლმეურნეობებს გაეწევათ შესაფერი ხელმძღვანელობა და გაძლიერებული იქნება აგრონომიული დახმარება.

კორპის კულტურა ამიერ-კავკასიაში

ამიერ-კავკასიაში კორპის (პრობკის) ხის კულტურის მოშენების საკითხის დამმუშავებელმა კომისიამ, რომელშიაც შედიან საქართველოს მიწათმოქმედების წარმომადგენლები და ბევრი როგორც ადგილობრივი, ისე რუსეთის სპეციალისტი, მიზანშეწონილად სცნო, კორპის ხის დასარგავად გამოჰყოს 24.000 ჰექტარი მიწა, აქედან 16.000 ჰექტარი—საქართველოში და 8.000—აზერბეიჯანში. კომისიამ საჭიროდ სცნო დაავალოს საქართველოს და აზერბეიჯანის ტყეთა სამმართველოებს, წარუდგინონ საპერსპექტივო გეგმები განვითარებისა ხუთი წლის განმავლობაში. და ამ დარგში მუშაობის საოპერაციო გეგმები მიმდინარე წლისათვის.

ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისიამ დაამტკიცა ზემო აღნიშნული კომისიის მიერ დასახული ღონისძიებანი.

რადიო-ექსპედიცია მყინვარწვერზე

18 ოქტომბერს ამიერ-კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველომ სად. ყაზბეგიდან მიიღო ცნობა, რომ რადიო-ექსპედიციას ჯერ არ შეუძლია დაიწყოს მყინვარწვერზე ასვლა. რადგან არ არის ამისთვის ხელსაყრელი ამინდი. მყინვარი დაფარულია სქელი ნისლით, მოდის თოვლი, ჰქრის ძლიერი ქარი. თუ ორი დღის შემდეგ ამინდი არ შეიცვალა, ექსპედიცია მყინვარზე ასვლას თავს დაანებებს და თბილისში დაბრუნდება.

შემოდგომის თესვა

ცენტრალური სახელოსნო

შემოდგომის თესვის ჩამტარებელმა რესპუბლიკურმა კომისიამ წინადადება მისცა „სოფლის კავშირს“ სასოფლო სამეურნეო მანქანების შესაძენად გადადებულ 210.000 მანეთიდან დარჩენილი თანხები გადაეცეს სასოფლო სამეურნეო მანქანების შემკეთებელ ცენტრალურ სახელოსნოს მუშაობის გასაფართოებლად.

თესლი აგრონომიულ ფაკულტეტს.

კომისიამ დაადგინა სახ. უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტს საცდელ-სასწავლო მინდვრების დასათესად გადაეცეს 120 ფუთი სათესი მასალა.

თბილისის სამაზრო გლეხკომი

თბილისის სამაზრო გლეხკომის მუშაობა უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გაუმჯობესდა თბილისის აღმასკომის დახმარების გამო.

თბილისის აღმასკომმა სამაზრო გლეხკომს სრულიად უსასყიდლოთ გადასცა ორი ბაკი და 1174 მანეთი დოტაციის სახით.

გარდა ამისა, თბილისის აღმასკომს გადაწყვეტილი აქვს თბილისში მოაწყოს თბილისის მაზრის გლეხთა სასახლე. თბილისის სამაზრო გლეხკომს დღემდე ჰყავდა ერთი ინსტრუქტორი მაზრაში არსებულ გლეხკომებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევათ. ამიერიდან კი ეყოლება სამი ინსტრუქტორი, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივ გლეხკომების მუშაობას გაუმჯობესების საქმეს. მაზრაში ამჟამად არსებობს 100 სასოფლო გლეხკომი.

სამაზრო გლეხკომს გადაწყვეტილი აქვს მოახდინოს მათი რეორგანიზაცია და სუსტად მომუშავე გლეხკომები გააერთიანოს მახლობელ სოფლის მძლავრ გლეხკომთან.

ამ მიზნით შესაძლებელი გახდება ზედმეტი ხარჯების და ძალების დახარჯვის თავიდან აცილება. გაერთიანებულ გლეხკომებს უფრო მეტი საშუალება ექნებათ გააცხოველონ თავიანთი მუშაობა და გააძლიერონ ღარიბ გლეხებისათვის დახმარების გაწევის საქმე.

ფიზკულტურა და სპორტი

მორიგი კალენდარული შეჯიბრებები

კვირას, 21 ოქტომბერს, გაიმართება პროფკავშირების გუნდების 12 კალენდარული შეჯიბრება.

დინამოს სტადიონზე თამაშობენ მეორე კატეგორიის გუნდები, დილის 8 საათზე: „რკინისგზის საფაბრიკო-საქარხნო სკოლა“—პლეხანოვის სახელობის გუნდი (დეპო); 10 საათზე კომუნალური მუშაკების პირველი გუნდი—საბჭოთა მუშაკების მეორე გუნდი; 12 საათზე „მექანიკური ქარხანა“—„ოვო“.

ლენინის სახელობის სტადიონზე დანიშნულია პირველი კატეგორიის გუნდების შეჯიბრება. დილის 8 საათზე თამაშობენ მილიციონერები და რკინისგზელები (პირველი გუნდი), ნაშუადღევის 2 საათზე: საბჭოთა მუშაკების პირველი გუნდი—მედსანშრომის მუშაკთ. პირველი გუნდი; 4 საათზე: გემო-კვების მუშაკები—ქალაქის მილიცია.

ამას გარდა, მეორე და მესამე კატეგორიების გუნდების შეჯიბრება დანიშნულია ა/კ. ქვეითი ჯარის სკოლისა და ყოფ. სამხედრო სკოლის მოედანზე.

ა.-კ. პირველობის გათამაშება ფეხ. ბურთში

ამიერ-კავკასიის შემოდგომის პირველობის გათამაშება ფეხბურთში და კალათბურთში გაიმართება ერევანში.

·ვის ჩამოერთვა

საქ. ცაკ-ის მიერ გაცემული რკინისგზით უფასოდ მგზავრობის ბილეთები

საქ. ცაკის საქმეთა მართველობის ცნობით, ქვემოდასახელებულ პირებს ჩამოერთვათ რკინისგზით უფასოთ მგზავრობის ბილეთები:

სანაკოევი ვასილი, ბილეთი № 83, დარახველიძე სიმონი—№ 90, ცინცაბაძე სიმონი—91, გაბუნია არტემ—94, ჯავახია იონა—95, ენუქიძე ლიუბა—97, კორძახია პლატონ—99 ნუცუბიძე გალაქტიონ—116, ნაზაროვი ალექსანდრე—125, კვიტაშვილი ვიქტორ—132, ვაშაკიძე იოსებ—137, ნიკოლაიშვილი ვახტანგ—138, კვაჭაძე ანდრია—139, კახიდელაკი გრიგოლ—143, მელქაძე კაპიტონი—145, ქაზირია გრიგოლ—161, მიროტაძე გრიგოლ—165, გალუსტოვი ევსტაფი—171, ლოლაძე ტიტიკო—174, ნადირაშვილი სერგო—176, კომახიძე ოტია—179, ცივაძე იუსუფ—190 და ჩარჩიძე—219.

სასამართლო

საწულუკიძოელ ნათავადარის ოინი

როგორც ვიცით, ხონის მახლობლად მდებარეობს სოფელი საწულუკიძეო. თვით სოფლის სახელწოდება ალბად იმ დროიდან მოდის, როცა თავად წულუკიძეების ხელში იყო ამ მიდამოებში ყველაფერი, როგორც სულიერი, ისე უსულო, როცა ისინი სახედრებივით ამუშავებდენ გლეხებს და მათი ნაოფლარით განცხრომით სცხოვრობდენ.

ერთ-ერთმა ნათავადარმა ს. საწულუკიძოდან, სახელდობრ **ნიკოლოზ წულუკიძემ**, რაღაც ოინებით 1924 წლამდე შეინარჩუნა კარგა მოზრდილი მამული, რომელსაც ის არ ამუშავებდა. წულუკიძე დარწმუნდა, რომ ამ თვალუწვდენელ მამულის „მალვას“ დიდხანს ვერ შესძლებდა, ადრე, თუ გვიან საადგილ-მამულო კომისია ყურადღებას მიაქცევდა აქამდე ხელუხლებელ მამულს და ღარიბ გლეხებს გადასცემდა დასამუშავებლად.

და ამიტომ წულუკიძემ გადასწყვიტა მამულის გაყიდვა ფარულად, ხელისუფლების შეუმჩნევლად და ჩერვონცების ჩაწყობა ჯიბეში.

სხვების დასანახავად წულუკიძემ მოქ. **ესტატე ჩირგაძეს** თითქოს მარტო ის სახლი მიჰყიდა, რომელიც მამულში იყო ჩადგმული. ნამდვილად კი ზედ მიაყიდა 9 ქცევა სახნავ-სათესი მიწა.

— კარგი, სახლი გაყიდა წულუკიძემ, მაგრამ მყიდველს რატომ არ მიაქვს?—კითხულობდენ გლეხები.

გავიდა ცოტა ხანი და ესტატე ჩირგაძემ შეალამაზა წულუკიძის სახლი და შიგ ჩასახლდა, ხოლო ეს ცხრა ქცევა მიწა გადახნა თავისი გუთნით.

დაიბადა ეჭვი. ალიძრა საჩივარი წულუკიძის და ჩირგაძის წინააღმდეგ, რომლებიც პასუხისგებაში იქნენ მიცემული მიწის კანონის დარღვევისათვის.

— რას მეუბნებით! მე თვითონ სხვები მიმიცია პასუხისგებაში მიწის ყიდვა-გაყიდვისათვის! განა მე, რომელსაც საადგილ-მამულო კომისიაში მიმუშავია ბათომში რამდენიმე წელი, ჩავიდენდი ასეთ ბოროტმოქმედებას, განა მე არ ვიცი, რომ მიწის გაყიდვა სასტიკად აკრძალულია. მე შესწავლილი მაქვს მიწის კანონი. მიწით სარგებლობის წესები.—„განცვიფრებით“ ლაპარაკობდა წულუკიძე ხონის უბნის სახალხო სასამართლოში.

— თუ არ გაგიყიდიათ, მაშ ესტატე ჩირგაძე რად ამუშავებს თქვენს მიწას?

— მიწა იჯარით (!) მივეცი. იჯარა ხომ აკრძალული არ არის,—უპასუხებს მიწის კოდექსის „მცოდნე“ წულუკიძე.

მიწის მყიდველი ჩირგაძის კვერს უკრავს წულუკიძეს და აცხადებს — კი ბატონო ცხრა წლით მაქვს იჯარით აღებული.

ორი რამ არ სცოდნია მიწის კანონის „მცოდნე“ წულუკიძეს: ჯერ ერთი—მიწის იჯარით გაცემა სათანადო ორგანოებმა უნდა დაადასტურონ, უნდა გატარებულ იქნეს რეგისტრაციაში და, მეორე—9 წლის ვადით მიწის იჯარით გაცემის უფლება ჯერ არავის ჰქონია საბჭოთა კავშირში.

სასამართლოს გამოაქვს განაჩენი. ნიკოლოზ წულუკიძეს მიესაჯა ერთი წლის და 8 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა, ესტატე ჩირგაძეს—ერთი წლის ვადით.

მსჯავრდადებულთ შეეფარდათ გასული წლის ამნისტია. წულუკიძეს სასჯელი შეუმცირდა ერთი მესამედით, ჩირგაძე პატიმრობიდან განთავისუფლდა.

გაყიდული 9 ქცევა მიწა ჩამოერთვა ჩირგაძეს და გადაირიცხა ქუთაისის მაზრის საადგილ-მამულო ფონდში.

—:—

„გაფუჭებულია“ თუ გაფლანგული?

ამიერ-კავკასიის სამხედრო სამომხმარებლო საზოგადოების № 30 მაღაზიაში ა. წ. 14 ივნისს საქონლის აღწერა გამოიწვია ძველი პასუხისგებელი ნოქრების **ნიკოლოზ სიმონის ძე არჩვაძის** და **სერგო აგაბეგოვის** სამსახურიდან მოხსნამ და მათ მაგიერ ახლების დანიშვნამ.

რამ გამოიწვია მათი მოხსნა?

ამაზე პასუხს იძლევა თავისი ჩვენებით საზოგადოების მაღაზიების ზედამხედველი **ლეონიდ მონშტეინი**, რომელიც ლაპარაკობს:

— მათი მოხსნა გამოწვეული იყო მით, რომ ჯერ ერთი—მათ დანაკლისი აღმოაჩნდათ, რომელიც შემდეგ დაფარეს და გარდა ამისა მათი ყოფა-ქცევა. ფართო ცხოვრება, ეჭვებს იწვევდა...

ნოქრების მოხსნის შემდეგ რევიზიამ მაღაზიაში აღმოაჩინა დანაკლისი 3087 მანეთამდე. ამ თანხიდან სარევიზიო კომისიამ ნოქრებს გამოურიცხა საქონლის დანაკლების ნორმალური პროცენტი, როგორც ეს მიღებულია, ივარაუდეს სხვადასხვა სანოვაგის გაფუჭების შესაძლებლობა, ესეც გამოქვითეს, მაგრამ დანაკლისი მაინც კარგა მოზრდილია—2530 მანეთი.

ნოქრები არ სცნობენ ამ თანხას მითვისებულად. მათაც უკვირთ, როგორ მოხდა, რომ რაღაც ორიოდე თვის განმავლობაში ამდენი დანაკლისი შედგა (!), მაგრამ ამის მიზეზი მათი აზრით ხილეულობის და მწვანილის გაფუჭებაა...

ასეთი თავის მართლება ძალიან უკვირს სამომხმარებლო საზოგადოების გამგეობას, რომლის ერთ-ერთი წევრის სიტყვით, დანაკლისის რაოდენობა ხილეულობის და მწვანილეულობის მთელი წლიური ბრუნვის 70 პროცენტს შეადგენს.

უსათუოდ დაუჯერებელია, რომ ორი თვის განმავლობაში ხილის და მწვანილის მთელი წლიური ბრუნვის 70 პროცენტი გაფუჭდეს! საბრალმდებლო დასკვნის მიხედვით, სანოვაგის არავითარი გაფუჭებაზე ლაპარაკი არ შეიძლება.

საქმე გაირჩევა 13 ნოემბერს.

—·—

განაჩენი მ. ვარონკინას საქმეზე

სასამართლომ გუშინ დილით გამოიტანა განაჩენი.

მატრონე ვარონკინას თავისი ქმარის ნიკოლოზ ვარონკინის დაჭრისათვის მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 2 წლით.

სასამართლომ მსჯელობაში მიიღო სულიერი მღელვარება, რომელსაც იგი განიცდიდა ბოროტმოქმედების ჩადენის დროს. აგრეთვე მისი სოციალური მდგომარეობა და სასჯელი შეუცვალა პირობით 5 წლის ვადით.

გერ.

ბრძოლა უბედურ შემთხვევებთან

ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატმა ამ დღეებში შეიმუშავა თბილისის ტრამვაის ვაგონების მოძრაობის ახალი წესი, რომელიც საგრძნობლად შეამცირებს უბედურ შემთხვევებს.

ახალი წესი პირველ რიგში ითვალისწინებს მუშების იზოლიაციას ელდენისაგან და ვატმანისა და კონდუქტორისათვის ტრამვაის ვაგონებში მუშაობის პირობების გაუმჯობესებას.

ახალი წესით მოძრაობის მოწესრიგება გათვალისწინებულია შრომის პირობების გაუმჯობესების გზით. ასე მაგ. ტრამვაის ლიანდაგის არც ერთი ნაწილი ღამით არ დარჩება გაუნათებელი, შეიცვლება ხელის მუხრუჭები (ახალ ვაგონებშიაც), მოწესრიგდება ვაგონებში განათების საქმე, მგზავრები დაცულ იქნებიან ყოველგვარ საშიშროებისაგან ვაგონის მხრით და სხვა.

ზემოთ აღნიშნულ წესების გატარება არსებულ ვაგონებში შეუძლებელია, ამიტომ ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატმა საჭიროდ სცნო ეს წესები გატარდეს მომავალში დამზადებულ ვაგონებში და ამჟამად არსებულ ვაგონებზედაც, როდესაც ისინი კაპიტალურ რემონტში იქნებიან გაშვებული.

შემთხვევები

გადმოვარდნა

სამხედრო ქუჩაზე მდებარე სახლის დანგრევის დროს სახურავიდან გადმოვარდა მიხაკო ზაქარიას ძე დეკანოსიძე და მძიმედ დაშავდა.

გამოტყუება

17 ოქტომბერს დადე ალიევის დედას (ქსენიევის ქ. № 4) მისი შვილის სახელით უცნობმა პირმა გამოსტყუა სხვადასხვა ნივთები და რევოლვერი.

„თვალხუჭუნა“

17 ოქტომბერს გიორგი მიხეილის ძე მარკლაჩის უცნობმა პირმა აუხვია თვალები თვალხუჭუნას სათამაშოდ, რის დროსაც ამოართვა 15 მ. და მიიმალა. მიღებული ზომებით ბოროტმოქმედი გულამ მამედ-ოღლი შეპყრობილი იქნა.

შეპყრობა

17 ოქტომბერს შეიპყრეს სამსონ პეტრეს ძე ტოროსიანცი. რომელმაც პლეხანოვის ქ. მდებარე მუშკოოპის მაღაზიაში სიმონ გარისელოვს ჯიბიდან ამოაცალა საფულე. მუშკოოპის პასაჟიდან სხვადასხვა ნივთების მოპარვისათვის შეიპყრეს მართა აბოს ასული სანანაშვილი. დააპატიმრეს ისაკ ვართანის ძე კარაპეტიანცი, რომელსაც ბრალდება რუბენ მოთაშვილისათვის ფულის ამოცლა. ვასილ სიმონიანცის საპარიკმახეროდან (პლეხ. პრ. № 116) 250 მანეთის ხელსაწყოების მოპარვისათვის შეიპყრეს ბაგრატ ოგანესის ძე ბახტაშიანი.

ცეცხლი

17 ოქტომბერს კალისტრატე ფირცხალაიშვილის ბინას (გრიბოედოვის ქ. № 14) გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩაქრობილი იქნა ადგილობრივი ძალების საშუალებით.

ქურდობა

17 ოქტომბერს კედლის გამონგრევის საშუალებით გაქურდეს ივანე გიხნაშვილის სავაჭრო (უნივერსიტეტის ქ. № 9) ნიკოლოზ ტალანტაროვის ბინის აივნიდან (ლერმონტოვის ქ. № 14) მოიპარეს 2 საბანი. ნიკოლოზ დლეუროვის ბინიდან (რანგეთის ქ. № 5ა) მოიპარეს 200 მ. ნივთები.

ჯიბგირობა

ცენტრალურ ბაზარში რახილ ცისკარაშვილს ჯიბიდან ამოართვეს 85 მანეთი. ყოფ. ზემელის აფთიაქთან ტრამვაის ვაგონში მნაცაკან მელქონიანცს ჯიბიდან ამოაცალეს ქალის ოქროს საათი, სამაჯური და 3 მან. ფულად.

მეცნიერება და ტეხნიკა

პროფ. ვესტონის ოპერაცია

ამერიკელ პროფესორ **ვესტონს** საოპერაციოდ მიუყვანეს ორი და, რომლებიც ტანით იყვნენ შეზრდილი. პროფ. ვესტონმა შესძლო მათი განცალკევება. როგორც ამერიკული გაზეთები იუწყებიან, დები კარგად გრძნობენ თავს.

პიესის გადაცემა რადიოთი

ამერიკაში წარმატებით ჩაატარეს ცდა თეატრიდან პიესის გადაცემისა რადიოთი 800 მეტრის მანძილზე. მოქმედების გადაცემა ხდებოდა სპეციალურ ეკრანზე, ამავე დროს ხმის გამაძლიერებელი აპარატები გადასცემდნენ მსახიობების სიტყვებს.

უცნობი ავადმყოფობა

თურქეთის მრავალ ქალაქში გაჩნდა უცნობი ეპიდემიური ავადმყოფობა, რომელიც მთელ სხეულზე იწვევს მუწუკების გაჩენას. ადრიანოპოლში ამ ავადმყოფობისაგან 20 კაცი მოკვდა.

მეტეორიტის ჩამოვარდნა

კანფში (ინდოეთი) ჩამოვარდა დიდი მეტეორიტი. მიწაზე დაჯახების დროს მეტეორიტი დაიმტვრა. ნამტვრევებმა 2 კაცი მოჰკლა. იმ ადგილას, სადაც მეტეორიტი ჩამოვარდა, გაჩნდა 9 მეტრის სიმაღლე ჭა.

ადამიანის გამოცნობა ყურით

გერმანელმა კრიმინოლოგმა (სისხლის სამართლის საქმეთა სპეციალისტმა) დ-რმა **ნელსონმა**, შეიმუშავა მეთოდი, რომლის საშუალებით პიროვნების გამოსაცნობათ საკმაოა ყურის ფოტოგრაფია.

რკინის გზებზე

უკანასკნელ დღეებში მეტად გახშირდა უბედური შემთხვევები, როგორიცაა სადგურებში გავლა გაუჩერებლად, დაჯახება, მატარებლების გაწყვეტა და სხვა.

ყველა ეს შემთხვევები უმთავრესად გამოწვეულია მემანქანეების დაუდევრობით.

მარტო უკანასკნელი 7 დღის განმავლობაში ადგილი ჰქონდა 7 ასეთ შემთხვევას.

17 ოქტომბერს ადგილი ჰქონდა მერვე შემთხვევას:

სადგ. ჯაჯურიდან—კალტახჩაში გაშვებულმა მატ. № 148, რომელსაც მართავდა მემანქანე **ხაჩატუროვი** და მატარებელს მიჰყვებოდა. მთ. კონდუქტორი **სარქისიანი** შეუჩერებლად გაიარა სადგ. კალტახჩი.

მიუხედავად იმისა, რომ სადგურიდან აძლევდენ გასაჩერებელ ნიშნებს, მატ. № 148 მაინც არ შეჩერდა და განაგრძობდა გზას, მხოლოდ კალტახჩი-ნალბანდის გადასარბენზე მემანქანე ხაჩატუროვმა შეაჩერა მატარებელი.

საბედნიეროთ აღნიშნულ მატარებელს მოპირდაპირე მხრიდან არ შეხვედრია მატარებელი, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს დაუდევრობა დასრულდებოდა კატასტროფით, რომელიც რამდენიმე ათასი მანეთით აზარალებდა რკინისგზას.

ყველა ჩამოთვლილ შემთხვევების გარშემო სწარმოებს სასტიკი კვლევა-ძიება და დამნაშავეები მიიღებენ ღირსეულ სასჯელს.

ბრძოლა ხანძართან

ამიერ-კავკასიის რკინისგზების გამგეობამ ტაშკენტის რკინისგზის მთავარ სახელოსნოებს დაუკვეთა ფედოროვის სისტემის, სამი ოვლის მშენდელი.

ახალი პლატფორმა

მიმდინარე წლის პირველ ნოემბრიდან სადგ. ზესტაფონსა და სვირს შუა გაიხსნება ახალი პლატფორმა.

რადიო-გადაცემა

პარასკევი, 19 ოქტომბერი

დღეს, 19 ოქტომბერს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

საუბარი—„მეცნიერების და ტეხნიკის მიღწევები“—ქართულ ენაზე; საუბარი ზოოლოგიაზე—რუსულ ენაზე; ტეხნიკური კონსულტაცია; მუსიკალური ანტრაქტი; რადიო-გაზეთი—თურქულ ენაზე; ოსური გაზეთი; გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები—ქართულ და რუსულ ენებზე; ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—ქართულ და რუსულ ენებზე; კონცერტი სტუდიიდან.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 19 ოქტომბერს, თბილისის შრომის ბირჟიდან სამუშაოზე იგზავნებიან შემდეგი უმუშევრები:

კვალიფიციურ მუშათა სექციიდან: არუთან ხარატოვი, ბორის ბადალიანი, ივანე ზეთურიძე, მალვოვი, ალექსანდრე როველაძე, მიხეილ გოროდეზიანი, გარეგინ მიკირტუმოვი, მარიამ ამეროვა, ელისაბედ კარმონი. დავით ჯარშიაშვილი. **გონებრივ მუშაკთა სექციიდან:** ნიკოლოზ ივანოვი, ივანე ბარაგოვი, მიხეილ ანტიპოვიჩი, ოლღა გიგიშვილი, გიორგი მიქაილოვი, იოსებ ცირეკიძე, ვალენტინა ასტაფიევა, პარეის ვართანიანი, ნიკოლოზ ორდენაძე ილია მახარაძე, მარიამ თოიძე. პარმენ ვარდანოვი, მარიამ არუთინოვა, ივანე კაპანაძე. **შავ მუშათა სექციიდან:** სიმონ შერბაქოვი, ვასილ ჭუბაბრია, ელისაბედ ტელეპნიკოვა, ევდოკია ჟაბინა, ალექსანდრა დედოვა, ელენე გოიაშვილი, სოფიო გასპარიანცი, მარიამ ოგანესოვა, ელისაბედ კანანოვიჩი. **მშენებელ მუშათა მეხუთე სექციიდან:** დავით გუდაძე, რუბენ ლუკაშინი და არშაკ მირზოიანი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

შაბათს, 20 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, აგიტპროპმუშაობის ცენტრალურ კაბინეტში (შესავალი რუსთაველის თეატრის ეზოდან) **მოწვეულია ულმერთოთა კავშირის თბილისის საბჭოს პირველი პლენუმი.** საბჭოს ყველა წევრებისა და კანდიდატების და სარევიზიო კომისიის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

ქართულ მუშფაკის კოლექტივთა ბიურო აცხადებს, რომ, დღეს, 19 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე შესდგება კანდიდატების შემმოწმებელ კომისიის სხდომა. ყველა კანდიდატები, რომლებიც ირიცხებიან მუშფაკის უჯრედში, ვალდებული არიან გამოცხადდნენ აღნიშნულ დროზე. ვინც არ გამოცხადდება, მექანიკურად დარიცხებიან პარტიის გარედ. აღნიშნულ სხდომას უნდა დაესწრონ კოლექტივის, უჯრედების ბიუროების და სარევიზიო კომისიის ყველა წევრები.

საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი უჯრედების ბიუროების გადარჩევის შესახებ თბილისის კომიტეტის მიმართვის დასამუშავებლად პარტწევრების და კანდიდატების ჯგუფური კრებების მოსაწვევად აქვეყნებს შემდეგ წესრიგს:

1-ლი ჯგუფური კრება შესდგება დღეს, 19 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, საბჭოთა და სავაჭროთა მუშაკების კლუბში. მოხსენებას ქართულ ენაზე გააკეთებს ამხ. **ურუშაძე.** უნდა დაესწრონ შემდეგი უჯრედები: მიწსახკომის, რუსთაველის თეატრის, ცეკავშირის, განათლების კომისარიატის, სახკომსაბჭოს, სახ. გამომცემლობის, საქ სტ. სამმართველოს, შრომის სახკომისარიატის, საქ. ვაჭრობის კომისარიატის, ტელეგრაფის, სახკვების, „სოფლის კავშირის“, ამ.-კ. და საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის, გინეკოლოგიური ინსტიტუტის, „საქართველოს ღვინის“ და სახმეღვაჭრობის.

მეორე ჯგუფური კრება შესდგება დღეს, საღამოს 6 საათზე **ახალ მუშათა კლუბში.** მოხსენებას რუსულ ენაზე გააკეთებს ამხ. **სეიფი.** უნდა დაესწრონ შემდეგი უჯრედები: „მუზმრეწვის“, მანქანების ტრესტის, კავკ. წითელ დროშოვან არმიის სტამბის, ლენინის სახელობის თუთუნის ფაბრიკის, კოლოფების ფაბრიკის, რეზინოტრესტის, კავკ. წითელდროშოვან არმიის ტიპო-ლიტოგრაფიის, ამ.-კავკ. შრომის სახკომის, ამ.-კავკ. ფინსახკომის, ამ.-კავკ. მებამბეობის კომიტეტის, ამ.-კავკ. კოოპერ. კავშირის, ავეჯეულობის ქარხნის, საგზაო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს, „ზარია ვოსტოკას“ კანტორის და „ზარია ვოსტოკას“ სტამბის.

მე-3 ჯგუფური კრება შესდგება დღეს, საღამოს 6 საათზე **თბ. აღმასკომის დარბაზში.** მოხსენებას ქართულ ენაზე გააკეთებს ამხ. **თოდრია.** უნდა დაესწრონ შემდეგი უჯრედები: ცენტრ. პარტკაბინეტის, თბ. აღმასკომის, კავშირთა ბმულობის, კომუნალური ბანკის, საქართველოს სოცდაზღვევის, საბინაო კოოპერაციის, სატყეო ტრესტის, შინსახკომის, სამხატვრო აკადემიის, სახელმწიფო კონსერვატორიის და გემოკვების.

მე-4 ჯგუფური კრება შესდგება დღეს, საღამოს 6 საათზე **ბაღ სტელაში.** მოხსენებას რუსულ ენაზე გააკეთებს ამხ. **ბალოტნიკოვა.** უნდა დაესწრონ შემდეგი უჯრედები: ცენტრალის მქრობელთა რაზმის, სახელმწიფო ბანკის პოლიგრაფტრესტის საქარხნო - საფაბრიკო სკოლის, სახელმწიფო საელექტრონო ტრესტის ამ.-კავკ. სოცდაზღვევის, ამ.-კავკ. სტატისტიკურ სამმართველოს, „ტემპას“, ფოლაქების ფაბრიკის, რესპუბლიკის მთავარი საავადმყოფოს, მანქანების ტრესტის, სახ. პოლიტ. ინსტიტუტის, ამ.-კავკ. საგეგმო კომისიის, ამ.-კავკ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს, განათლების მუშაკების, მესამე სტამბის, ელექტროსელსტროის და ლუდის ქარხნის.

მე-5 ჯგუფური კრება შესდგება დღეს, საღამოს 6 საათზე **განათლების მუშაკთა სახლში** მომხსენებლები ქართულ და რუსულ ენებზე ამხ. **სტურუა და ეფენდიევი.** უნდა დაესწრონ შემდეგი უჯრედები: მუშკოოპის გადასაზიდ საშუალებებზე მომუშავეების, ფ. ტ. ამ.-კავკ. ოლქის სამმართველოს, მუშათა სასახლის, თელასის, ფოსტის, ზაკავტოპრომტორგის, სამშენის, სახელმწიფო ოპერის, სოც. უზრუნველყოფის კომისარიატისა და გლეხთა სასახლის, ამ.-კავკ. და საქ. სას.-სამ. ბანკის, კოლოფების ფაბრიკის რადიოს, მე-2 სტამბის და ხელოვნების მუშაკების.

მე-6 ჯგუფური კრება შესდგება დღეს, საღამოს 6 საათზე კლუბ **„კატორ“-ის შენობაში.** უნდა დაესწრონ შემდეგი უჯრედები: საქ. პოლიტსამმართველოს, ამ.-კავკ. კომუნისტური უნივერსიტეტის და მე-8 პოლკის.

მე-7 ჯგუფური კრება შესდგება დღეს, საღამოს 6 საათზე **ქართულ მუშფაკის შენობაში.** მოხსენებას ქართულ ენაზე გააკეთებს ამხ. **კახიანი.** უნდა დაესწრონ შემდეგი უჯრედები: სახ. უნივერსიტეტის, ქართული მუშფაკის, მუშკოოპის, მე-5 სტამბის და 1-ლი სტამბის.

მე-8 ჯგუფური კრება შესდგება დღეს, საღამოს 6 საათზე **მშენებელთა მუშების კლუბში** (პლეხანოვის პროსპ.) მოხსენებას სომხურ ენაზე გააკეთებს ამხ. **მინასიანი.** უნდა დაესწრონ შემდეგი უჯრედები: მშენებელი მუშების, აგურის ქარხნების და მეეზოვეების. სავალდებულოა დაუგვიანებლივ და მთლიანად დასწრება ჯგუფურ კრებებზე როგორც პარტწევრების, ისე კანდიდატების.

ქალ. რაიკომის პას.-მგ. მდივანი
მ. არჩილაძე.

დ. ჩოხატაურში (ოზ. მაზ.)—ზემო-ფარცხმის სასაფლაოზე, 21 ოქტომბერს, კვირას, 2 საათზე, გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი უდროოდ დაკარგულის, ძვირფას და მუდამ დაუვიწყარის:

ჭიჭიკო არსენის ძე
ოსეფაშვილის

ხსოვნის აღსანიშნავათ, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ მეგობრებს მწუხარებით გულმოკლულნი: დედა ივდითი, ძმები: იოსებ და ალისტრო, დები: ქეთო, ელენა და შაშიკო; ბიძები: ერმალო, იასონ და ესე; სიძეები: ალექსანდრე და აქვსენტი; მამიდები: მარო, ნინა, თეო—თავის ქმრებით და შვილებით. ნ.ს.

ღრმად დამწუხრებულნი: ცოლი ნატალია, შვილები: შუშანა, ნიკოლა და მიშა ოჯახობით, ლიუბა, ძმა ანტონ თოთიბაძე ცოლშვილით და სიძე ანდრო ლოლონტი აუწყებენ ნაცნობ-ნათესავთ, რომ 20 ოქტომბერს, დღის 3 საათზე ქ. ოზურგეთში მოიდანახის სასაფლაოზე გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

მანასე მაქსიმეს-ძე თოთიბაძის

ხსოვნის აღსანიშნავად. (ნ. ე.)

ექიმი კლიმენტი გიორგის ძე ასათიანი ძმით, დებით და [illegible] სიმონის ასული და ანტონ თედორეს ძე გალდავაძეები თავის შვილებით და სიძეებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ უძვირფასეს, მუდამ დაუვიწყარ უდროოდ გარდაცვალებულ საყვარელ ცოლის ექიმის

ალექსანდრა (შურა) ანტონის ასული
გალდავაძე-ასათიანის

ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ქ. ოზურგეთში. კვირას, 21 ოქტომბერს, ნაშუადღევის 5 საათზე 4479

დამწუხრებულნი მეუღლე ელენე: შვილები: სერგო მეუღლით, ვარო და თამარა, სიძე ქ. გიორგაძე, შვილის შვილი არჩილი. ცოლის ძმა სანდრო ბახტაძე ცოლშვილით, ცოლის დები: ვერა, ქეთევანი, ლიპა, ნინო, ქვისლები: ვარლამ პირაქაძე და გიორგი ქოიავა აუწყებენ ნათესავთ, რომ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

კონსტანტინე ალექსის ძე ბოროზდინი

გამოსვენება 19 ოქტომბ. ბინიდან (ახალშენის გასავალი № 1) ნაშუადღევის 4 საათ.
4578

დამწუხრებული მეუღლე მაკო. შვილები შალვა, თინო, ვერა, კაციკო, რიმა და ცოლისძმები კოლა, პავლე და ანტონ თ ელიძეები აუწყებენ საზოგადოებას მათთვის დაუვიწყარ

სიმონ კაციას-ძე ნემსაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 19 ოქტომბერს. სოფ. მეჯვრითში შორ. მაზრა). (ა)

სახკინმრეწვის კინო-თეატრები

განთიადი	ყაზახები	ლ. ნ. ტოლსტოის ნაწარმოების მიხედვით
არფასტო	ყოველდღე ანშლაგები!!	
კალასი	ზღვის ტყვეები	
სოლეი	რეჟისორი—მ. ფ. ვერნერი. ოპერატორი—სლავინსკი	
მინიონი	ტამილა	დიუმენის პოპულიარულ რომანის მიხედვით
აპოლო	კარმენ ბონი სურათში	ნამდვილი მამაკაცი
დარბაზი	პირლ უაიტ სურათში	მოხერხებული ხალხი
კოლ. ტარი იალაბარი	სპორტსმენი ა. ბოკოლინი სურათში	სასიკვდილო ნახტომი

ანონსი ვალე ახალი სურათი „ყინულის სახლი“ 0-14

ორშაბათიდან, 22 ოქტომბრიდან
„პალასი“
კინო-თეატრში „არფასტო“
„სოლეი“
„მეჟრაბპომ-რუს“-ის
ახალი მხატვრული სურათი
„ყინულის სახლი“
რეჟისორი კ. ეგერტ
მთავარი მოქმედნი პირნი:
ანა იოანეს ასული — ა. დმოხოვსკაია
ელისაბედ პეტრეს ასული—ა. გელიაკოვა
მარიორიცა — ვ. მალინოვსკაია
ბირონი — პ. ბაკშეევი
თავადი ვოლინსკი — ნ. რიბნიკოვი
(რესპ. დ. მსახ. არტისტი).
ნ. 1721

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყურლანოვის ქ., № 20 25—1

ექიმი
გ. ო. ზანდუკელი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი. ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი.
ავადმყოფების მიღება გარდა შაბათისა და კვირა უქმე დღეებისა საღამოს 7-დან 8 საათამდე. ლენინის ქ. (ყოფილი ოლღას ქ.) № 11.
ტელ. 4—82. 25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ
ტელეფ.—1267. 25—1

განათლების მუშაკთა კავშირის უმუშევარ წევრთა
საერთო კრება
რომელიც დანიშნული იყო 17 ოქტომბერს და არ შესდგა, **მოწვეულია შაბათს 20 ოქტომბ. ხალ 4 ნახ. ს.** საათზე განათლების მუშ. სახლში (კალოუბნის ქ. № 3)
დღის წესრიგში:
1. ც. გ. საანგარიშო მოხსენება.
2. განათლების მუშაკთა მე-7 ყრილობაზე დელეგატების არჩევნები.
ც. გ.
2—1 ნ. 1720

სატელეფონო გადასახადის გადახდის ვადა
საბონემენტო გადასახადი ყველა აპარატების და სხვა მოწყობილობისათვის ამიერიდან გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ვადებში:
ა) როცა გადახდა სწარმოებს ყოველ თვიურად—გადასახდელ თვის 7 რიცხვამდე
ბ) როცა გადახდა სწარმოებს კვარტალობით—7 იანვრამდე, აპრილამდე, ივლისამდე და ოქტომბ.-დე
საურავის გარეშე
გადახდის ვადის გასვლის შემდეგ სატელეფონო გადასახადს ემატება საურავი გასული ვადის თვითეულ დღისთვის:
ა) სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებისაგან—ნახ. პროც.
ბ) დანარჩენ აბონენტებისგან—1 პროც.
დავალიანების თანხიდან.
იმ შემთხვევაში, თუ გადასახადის შეტანა დაგვიანდა 14 დღეზე ზევით, ტელეფონი მოხსნილ იქნება და დავალიანება აბონენტს გადახდება სასამართლოს საშუალებით.
ტელეფონების ხელახლა დადგმა ხდება საერთო წესით, არსებულ ტარიფის მიხედვით, ხოლო ხელახლა შეერთებისათვის, თუ ეს ხდება გადაუხდელ თვის გასვლამდე, აბონენტს გადახდება 5 მანეთი.
შენიშვნა: საურავის მოხსნას დაწესებულებებისაგან, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე იმ შემთხვევაში, როცა გადასახადის შეტანა დაგვიანდა ამ დაწესებულებებისგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო (მათ მიერ თავის დროზე მოთხოვნილ კრედიტების დაგვიანებით მიღება და სხვ.)—ახდენს ოლქის უფროსი, ხოლო თუ საურავი თანხა არ აღამატება 25 მანეთს—ქსელის გამგე.
ნ. 1719

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოლსოვის) ჩასახვევი ოლღას ქუჩიდან. სპეციალ. სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
იღებს: დილის 7—8 საათამდე
საღამოს 6—8 კაცებს
5—6 ქალებს.
25—1

ექიმი ივ. გველესიანის
პარაზიტოლოგიური
კაბინეტი
იღებს გამოსაკვლევად ყოველგვარ მასალას სპეციალურად სისხლის პარაზიტებზე (მალარია, სპიროხეტოზი და სხვა) და ნაწლავების პარაზიტებზე (amoeba, trichomonas, giardia intestinalis და სხვა protozoa: ჭიებზე) მასალა გამოსაკვლევად მიიღება: დილის 8—9, საღამოს 5—7 საათ. ლენინის (ყოფ. ოლღას) ქუჩა 38
ელსმ. 6—22 4364 25—1

თბილისის შრომის ბირჟასთან არსებული
კოლექტივი
„ზინ დამმუშავებელი“
ღებულობს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებისა და კერძო პირებისაგან დაკვეთებს
1. ყოველ ვარი სიდიდისა და სახის ყუთებისა და
2. სალვინე კასრების დასამზადებლად და სხვა ასეთ სამუშაოთა შესასრულებლად
შესრულება კეთილსინდისიერია და ფასები ზომიერი
დაკვეთები ყუთებისა და კასრების დიდი პარტიების დასამზადებლად მიიღება ხელშეკრულებებით. საჭირო ცნობების მიღება შეიძლება კოლექტივების გაერთიანების სამმართველოში, ვოლოდარსკის ქ., № 3 (შრომის ბირჟის შენობა). ტელ. 5—34.
0—8 ნ. 1649

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები.
ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. №10

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.
ტელ. 10—14 25—2

ექიმქა
ი. ვ. ხანდამოვა
განაახლა სიფილისით, კანისა და ვენერიული ავადმყოფობით დაავადებულთა მიღება დღის 1—3 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.
ძნელაძის ქ. № 35, (ყოფ. საპიორის) ქ.), კადეტთა კორპუსის უკან.

ექიმი
ანასტასი ლევის ძე
ორლოვსკი
დაბრუნდა და განაახლა შინაგან და საბავშო სნეულებით ავადმყოფთა მიღება. (სპეციალურად მალიარია) ამოს ქუჩა (ყოფ. ქსენიევის ქუჩა) № 9 მიღება დილით 1—2 საათამდე და საღამოთი 6—7 საათამდე. 25—1

ექიმი
დარეჯან ე. თაყაიშვილი-
კაკუბერი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება სემიონოვის (ვარდციხის ქ.) მე-9-რე უბანი, № 16,
მიღება დილის 8—9 საათ. საღამ. 5—8 საათ.

ნ. გ. კანტოროვიჩისა
მიღებულია საზღვარ არეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მჭამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგან ავადმყოფობა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებ თა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაპერეჟნაია) № 7— ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02 ნ.

ექიმი
ტერ-ოვაკიმოვი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. სპეციალურად: სქესობრივი ფუნქციონალური აშლილობა და სიფილისი. (ფსიხოტერაპია)
ავადმყოფების მიღება: დილაობით: 11—1 საათ; საღამოობით 5—8 საათ საბჭოთა (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ქ., № 48, ლორესის (ყოფ. კირკის) ქუჩის. კუთხე. 25—1

ექიმი—ვენეროლოგი
ნინო მირიანაშვილი
იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს)
დღის 2—3 საათ. და საღამოს 6—8 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4
ტელ. 14—23.

ექიმი
გიორგი ნიკოლოზის-ძე
ონანოვი
სიფილისი, ვენერიულ და კანის ავადმყოფობანი. სქესობრივი ნევრასტენიის მკურნალობა. ავადმყოფების მიღება დილის 8—10 ს დღ და საღამოს 4—5 ნახ. ს- დღ. ქალების საღამოს—7-დან 8 საათამდე. კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ ელისაბედის) № 3. 25—1

ა. გ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის
ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის ხელების და ხვ ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5-8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 25—1

კბილის ტეხნიკოსთა
კურსებზე
შეღავათიან ფასებში
სწარმოებს ყოველგვარ
ხელოვნურ კბილების ჩასმა
და
პროტეზების მომზადება.
იღება ავადმყოფებს ყოველ დღე კვირა უქმის გარდა საღამოს 4—6 საათამდე.
მისამართი: პლეხანოვის პროსპექტი № 126. 25—1

ხუნევის თემ-აღმასკომს
დაეკარგა
ხარაგოულის უბნის სახ. დაზღვევის სააგენტოსაგან მიღებული საქვითარო წიგნი ი ფ. № 4 25 ფურცელი № 154001—154025-მდე ჩათვლით. რომელიც ჩ. გ. 4581

თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. 15 მარტის № 12, ცირკულიარ სა, ადმინგანის მმართველობის ბიურო აცხადებს, რომ მოქ. იაკობ ტიგრანის ძე ტერ-აირაპეტოვმა თავისი გვარი გამოიცვალა ახალ გვარზე „აირაპეტოვზე“.
მაჩის ბიუროს გამგე
ა შარაშენიძე
სა მის მწარმოებელი
გ. კიკალიშვილი.
4576

დავკარგე, კავშირის წიგნაკი № 1763 ნადეჟდა ქაჯაიას სახელზე ჩ. გ. 4574

დავკარგე: საბინაო დავთარი საერთო № 9931 განყოფ. № 958/901 ივ ილია ჯალიაშვილის სახელზე არაგვისპირელის ქუჩა (ყ. თამარის ქუჩა) № 3, ჩ. გ. 4573

დავკარგე: მეტრიკული ამონაწერი ნათელა მეკრავიშვილის სახელზე, ჩ. გ. 4577

დავკარგე: ლომბარდის ქვითარი № 044585 და წითელ არმიელის წიგნაკი იოსებ თვალაძეს სახელზე, ჩ. გ. 4583

დავკარგე: განათლების მუშაკთა კავშირის საწევრო წიგნაკი მიხეილ გოცირიძეს სახელზე, ჩ. გ. 4527

დავკარგე: მეტრიკული ამონაწერი № 222 ვიქტორ ბაბუაძეს სახელზე, ჩ. გ. 4582

დავკარგე: საინვალიდო სანსიო წიგნაკი № 3493 მიხეილ მირიაბაშვილის სახელზე, ჩ. გ. 4582

დავკარგე: მუშკოოპის საწევრო სრულ პაიანი წიგნაკი № 43275 გაცემული გ. ჩიკვაიძის სახელზე, ჩ. გ. ნის.

პოლიგრაფტრესტის მე-6 სტამბა, ცამის ქუჩა № 68.
მთავლიტი № 904.